

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რუსთველოლოგიური ძეგლები. 3.

ივანე ლოლაშვილი

რუსთაველი და თამარის
ისტორიკოსთა უინაობის
პრობლემა

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт грузинской литературы им. Руставели

Руствелологические разыскания. 3.

И. А. ЛОЛАШВИЛИ

Руставели и проблема
личности историков
царицы Тамары

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ—1961

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რუსთველოლოგიური ძიებანი. 3.

იუანე ლოლაძეელი

რუსთაველი და თამარის
ისტორიკოსთა უინაობის
პრობლემა

ნაშრომში „რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა“ განხილულია რუსთველოლოგიისა და კლასიკური ხანის ქართული საისტორიო მწერლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები: არის თუ არა შოთა რუსთაველი თამარ მეფის ცხოვრების აღმწერი, სანდოა თუ არა ანტონ ბაგრატიონის ცნობა რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ, როგორია შედგენილობა თამარის მატრიანებისა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“ და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაისა“. რა საისტორიო წყაროებით სარგებლობდნენ ვახტანგის „სწავლული კაცები“, როდესაც მათ თამარ მეფის ცხოვრების შესვებული რედაქცია შეიმუშავეს, და ვინ არიან ამ „ისტორიათა“ ავტორები?

ანტონ ბაგრატიონის ბიბლიოგრაფიული ცნობის თანახმად და თამარის მატრიანეთა ისტორიულ-ფილოლოგიური და ენობრივ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ რუსთაველი არის თამარის პირველი ისტორიკოსი, ავტორი „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტისა.

რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა კინაობის პრობლემა

1. ბიბლიოგრაფიული ცნობები რუსთაველის არმოდწეული თხზულებების შესახებ

ჩვეულებრივ, როდესაც მკვლევარი შოთა რუსთაველის არ-
მოდწეულ თხზულებებზე მსჯელობენ, ცნობებიან ზოგად მოსაზრე-
ბას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს შეუძლებელია სხვა თხზუ-
ლებაც არა ჰქონოდა დაწერილი. „ქილილა და დამანანი“ ნათქვა-
მია: „ვიდრემდის კალამი მრავლის ფერჯით არ ეტარება, იგავთ-
შვენიერების დახატვა ქალაღმზედ არ გამოინდებოა“. რუსთაველის
კალამი „მრავლის ფერჯით ნატარია“, წერაში გამოწრთობილია
და ამიტომ ზუნებრივად იბადება კითხვა: ნუთუ დიდმა შოთამ
მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა? თუ მისმა კალამმა სხვა „იგავთ-
შვენიერებაც დახატა ქალაღმზედ“, სად არის ის? მოაღწია თუ
არა ჩვენამდე მისი სახელით სხვა თხზულებამაც? ან იქნებ ის ოდეს-
ღაც არსებობდა და დღეს დაკარგულია? აი კითხვები, რომელნიც
ძველიდანვე ყველა რუსთაველოლოგს აინტერესებდა და დღესაც
მკვლევართათვის მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში თეიმურაზ ბაგრა-
ტიონმა აღნიშნა: „ვეფხისტყაოსანს“ გარდა „სხჳანიცა წიგნნი,
მსმენიეს მრავალთაგან, შოთა რუსთაველისა ნათხზვენი არიანო,
მაგრამ ჯერეთ ვერა მივემთხვივე ესევეთარსა სურვილისა ჩემისა
სატრფილოსა ნიჳსა, რომელიცა უძვირფასესისა დატკობითა აღა-
ვსებდა სულსა ჩემსა“¹.

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 294.

ასევე, 1830 წელს „ეურნალ აზიატიკ“-ის მეექვსე წიგნში მარბროსემ გაკვრით შენიშნა: რუსთაველს „ვეფხისტყაოსანს“ გარდასხვა თხზულებაც ჰქონია დაწერილი. ეს უნდა იყოს „თამარიანი“, თამარ მეფის საქებრად შეთხზული სახობო ძეგლი, რომელსაც შეცდომით ჩაბრუხადეს მიაწერნო. მაშინ ფრანგი ისტორიკოსი ყურადღებას ამახვილებდა რუსთაველის სიტყვებზე: „თამარს ვაქებდეთ მეღესა“, „ვთქვენი ქებანი ვისნი მე“, „მას ვაქებ, ვინცა მიქია“, და ამის მიხედვით ვარაუდობდა, რომ რუსთაველის „ქებანმა“ ჩვენამდე მოაღწია „თამარიანის“ სახითო².

1902 წელს ეს მოსაზრება განავითარა ნ. მარმა წიგნში „Архивные документы о Т. Шевчере“. იგი წერდა: „თამარიანის“ ოდები, ალბათ, დაწერილია შოთა რუსთაველის მიერ. „ჩაბრუხადე“, თუ მისი მოხსენიება სწორ გადმოცემაზეა დაფუძნებული, რუსთაველის გვარია...³ გამოჩენილი ქართველი პოეტის სრული სახელწოდება უნდა ყოფილიყო შოთა ჩაბრუხადე-რუსთაველი: ოდები („თამარიანი“) შემონახულა გვარით, პოემა-რომანი („ვეფხისტყაოსანი“) კი—პოპულარული პოეტის სახელითა და ზედწოდებით⁴.

„თამარიანის“ ავტორად რუსთაველს მიიჩნევდა აგრეთვე მ. ჯანაშვილი. ის უფრო შორს მიდიოდა: გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ „აბდულმესიანიც“ რუსთაველის დაწერილიაო. აი რას წერდა ისტორიკოსი: „იოანე შავთელი ჩვენ მიგვაჩნია ჩაბრუხადედ (შავთელი მას დაერქმეოდა შავმთაზე მოღვაწეობის გამო), ხოლო თამარიანის შემთხვეული, ჩვენის აზრით, არის იგივე ვეფხისტყაოსნის ავქსონი, შოთა რუსთაველი (მესხი)“⁵.

თანამედროვე მკვლევარნი არ იზიარებენ მ. ბროსეს, ნ. მარსა და მ. ჯანაშვილის ამ შეხედულებებს, მაგრამ რუსთაველის სხვა თხზულებათა ძიებას მაინც აგრძელებენ. ამ მხრივ უპირველესად მოსახსენებელია მკვლევარი პ. ინგოროყვა, რომელიც დღესაც დაბეჯითებით იცავს იმ დებულებას, რომ რუსთაველს დაუწერია „ვეფხისტყაოსანს“ გარდა ორი პოემა-რომანი—„ქებანი“ და ამბავი იოსებ მწვენიერისა.

² JA, 1830, VI, გვ. 375—376.

³ TP, IV, 1902, გვ. 76. ნ. მარის მოსაზრება გაიზიარა ი. ფანცხავამ წერილში „ვეფხისტყაოსნის ავტორის საკითხის შესახებ“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. № XI-B. 1941, გვ. 185—225).

⁴ იქვე, გვ. 59, სკოლიო 2.

⁵ ნ. ჯანაშვილი ი, თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი (მოამბე, № 2, 1904, გვ. 6).

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ნათქვამია:

თამარს ვაქედოთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული.
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული (4).

ან კილევ:

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს ღიდალ სახელად, არ თავი განმიქიქია! (19, 1—2).

ამის მიხედვით პ. ინგოროყვა აღნიშნავს: რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ გარდა დაწერია „ქებანი“, რომელიც მას თამარისადმი მიუძღვნია. ეს „ქებანი“ ყოფილა პოეტური ნაწარმოები, იმავე ფორმისა, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“, ე. ი. პოემა-რომანი. დაწერილი ყოფილა „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე, დაახლოებით 1196—1200 წლებს შორის. თხზულება ავტორისათვის საბედისწერო გამხდარა, რადგანაც რუსთაველს მასში გამოუხატავს მანიქველური იდეები. ამის გამო ორტოდოქსალურად განწყობილი საზოგადოება აღშფოთებულა, რასაც პოეტის სამშობლოდან განდევნა მოჰყოლია, „ქებანი“ კი მოუსპიათ⁶.

პ. ინგოროყვას მოსაზრება პრინციპულად უარყო კ. კეკელიძემ და მის სანაცვლოდ პოგევცა „ვეფხისტყაოსნის“ ციტირებული ტაეპების სხვანაირი განმარტება: „ვთქვენი ქებანი ვისნი მე“ ნიშნავსო: „მე უკვე ვთქვი, დავწერე მისი (თამარის) ქება ვეფხისტყაოსანში“. აქ „ქებანის“ სახით ნავარაუდევია „ვეფხისტყაოსანი“ და არა სხვა რაიმე ნაწარმოები. რაც შეეხება გამოთქმას „მას ვაქებ, ვინცა მიქია“, ის უნდა იკითხებოდეს არა ტრადიციული, წარყვნილი სახით, არამედ, როგორც აკად. ნ. მარმა ნათელჰყო—მას ვაქებ, ვინცა მიქია“ (ე. ი. „Я воспевая ту, кому небы отвелю у себя место“). ამრიგად, კ. კეკელიძის აზრით, მოსაზრება რუსთაველის „ქებანის“ შესახებ წარმოშობილია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სტროფთა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად⁷.

⁶ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1, 1926, გვ. 283—295; შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას შესავალი წერილით, 1937, გვ. XXII—XXVII; პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა (რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 12—13).

⁷ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, 1958, გვ. 123—124.

ა. ბარამიძე იზიარებს „თამარს ვაქებდეთ მეფესა“-სტროფის კეკელიძისეულ ინტერპრეტაციას⁸, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს: რუსთაველს „მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდა დაწერილი სახობო ნაწარმოებნი (ვეფხისტყაოსნის პროლოგი რამდენადმე ამჟღავნებს სახობო ტრადიციას), ოღონდ არსაიდან ჩანს, რომ საგულვებელი თხზულება მაინცდამაინც იყო „ქებანი“ და იგი წარმოადგენდა პოემა-რომანს“⁹.

შ. ნუცუბიძე „ქებანის“ შესახებ ავითარებს იმავე მოსაზრებას, რასაც იცავს პ. ინგოროყვა: თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „ამჟამად ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დავადგინოთ, თუ როგორი ხასიათისა იყო ეს ქებანი“¹⁰.

პ. ინგოროყვას და შ. ნუცუბიძის საერთო დებულება მისაღებია: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მე-4 და მე-19 სტროფებში ნამდვილად დაცულია ცნობა რუსთაველის სახობო თხზულების შესახებ და საჭიროა მას მეტი ნდობა გამოვუცხადოთ. პოეტი გარკვევით წერს (4, 1—2 და 19, 1—2):

ა. „(ჩვენ) სისხლისა ცრემლ-დათხეული ვაქებდეთ თამარ მეფეს, რომლის (ვისნი) ქებანი, არ-აყად გამოარჩეული, (უწინაც) ვაქვი (დაეწერე, შეეთხე)“.

ბ. „აწ ყველამ გაიგეთ ჩემი (ნათქვამი): ვინც მე (უწინ) შემოქია, (ახლაც) იმას ვაქებ. ეს მე დიდ სასახელო საქმედ მიმაჩნია, (ამიტომ თამარისადმი ქებანი) თავი არ შემირცხვენია“¹¹.

ორივე შემთხვევაში რუსთაველი უნდა გულისხმობდეს არა მარტო „ვეფხისტყაოსანს“, არამედ თავის ადრინდელ თხზულებასაც—ე. წ. „ქებანს“, რომელიც მას „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად თამარისადმი მიუძღვნია.

„ქებანში“ თამარი ყოფილა შექებული. მას წერის დროს, როგორც თვით პოეტი ამბობს, მელნად უხმარია გიშვრითით შავი ტბა (თამარის თვალები) და კალმად—რხეული ლერწამი (თამარი-სავე წერწეტი და რხევადი ტანი).

⁸ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1958, გვ. 44.

⁹ იქვე, გვ. 362.

¹⁰ Ш. Н у ц у б и д з е, Творчество Руставели, 1958, გვ. 217—220.

¹¹ ილ. აბულაძის განმარტებით, „თავი არ განმიქია“ ნიშნავს: „თავი (ჩემი მე) არ განიცხადებია ან არ გამიმჟღავნებია“ (თსუ შრომები, XXX—XXXI, გვ. 298).

კითხვა იბადება: რა ეანრით უნდა ყოფილიყო დაწერილი ეს „ქებანი“? მ. ბროსე, ნ. მარი და მ. ჯანაშვილი ვარაუდობდნენ, რომ „ქებანი“ წარმოადგენდა სახოტბო ლექსების კრებულს (თუ სახოტბო პოემას); პ. ინგოროყვა მას უწოდებს „პოემა-რომანს“, ხოლო შ. ნუცუბიძე—ხან „სიმღერებს“, ხანაც „ჰიმნებს“, მაგრამ შოთას ცნობიდან არ ირკვევა, რომ „ქებანი“ უეჭველად ლექსად იყო დაწერილი. არ არის გამორიცხული საწინააღმდეგო შესაძლებლობა. იქნებ „ქებანი“ შოთამ პრიოზულად დაწერა? ცნობილია, რომ კლასიკური ხანაში სახოტბო ხასიათის თხზულებანი იწერებოდა არა მარტო ლექსად, არამედ პროზულადაც. ასე რომ, რუსთაველის ამ არმოღწეული თხზულების წინააღმდეგ და მისი ეანრობრივი ხასიათის შესახებ ნსჯელობა ყოველთვის საკამათო იქნება. სანამ არ აღმოჩნდება თვით საძიებელი ცეგლი ან მის შესახებ რაიმე გარკვეული ბიბლიოგრაფიული ცნობა. თვით სათაურიც „ქებანი“ პირობითია. რაკი რუსთაველი ამბობს „ვთქვენი ქებანი“-ო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საცრებელ ცეგლს უეჭველად „ქებანი“ ეწოდებოდა. არალოგის ცნობიდან მხოლოდ ეს უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსთაველს რაღაც სახოტბო თხზულება ჰქონდა დაწერილი და მასში შექცეული ყაფილა თამარ მეფე.

* * *

მეორე ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომელიც აგრეთვე რუსთაველის სხვა ჩვენამდე არმოღწეულ თხზულებას შეეხება, შემოგვინახა ანტონ კათალიკოსმა „ქართული ღრამატიკის“ პირველ რედაქციაში. ანტონის ეს შრომა შედგება სამი ნაწილისაგან. კერძოდ მესამე ნაწილში ის საუბრობს „შეთხზუაობისათჳს ნაწილთა სიტყუსათა და მექმეობისა მათისა“, ხოლო მის მე-16 თავში განიხილავს „ცველთა შეთხზუაობათა“ სახეებს ძველ-ქართულ თხზულებათაგან ამოკრეფილი მაგალითების მიხედვით და აღნიშნავს: ცველნი შეთხზუაობანი განიყოფების სამ სახედ:

„პირველ იგი არს, რომელსა აქუს სიმცირე რჩეულ-მომზრახობისაგან, გარნა ადვილ გასაგონ“ (მაგ. „სითხზუ სჯნაქსარისა და მოთხრობათა“);

„მეორე უკუ არს, რომელსა საშუალ ქცევაჲ აქუს რჩეულ-მომზრახობისაგან და ტკბილ-სიტყუაობისაგან, გარნა—უფრორე ადვილ გასაგონ, ვიდრემე არს ყოველთა“ (მაგ. „სითხზუ უმეტესთა კერძოთა საღმრთოთა წერილთასა“);

„მე სა მე ვიდრემე არს, რომელსა სრულიად აქუს რჩეულ-
მომზრახობისაგან და ტკბილ-სიტყუაობისაგან და არა არს გასაგონ“
ყოველთა მკითხველთათვის, არამედ ის თავის ნაყოფს გამოიღებს
მხოლოდ მეცნიერთა შორისო.

მესანე სახის შეთხზვაობის ავტორებად „ვიტყვ უკუშ: დიონი-
სის, ღვთისმეტყუშლსა, დიდსა ათანასის, ვასილი კესარიელსა, გრი-
გორის ნოსელსა, ღირსსა ეფრემ სირიელსა, ღირსსა მაქსიმეს, ანა-
სტასი სინელსა, საღმრთოსა გერმანეს კონსტანტინეპოლელსა,
ტკბილ-მეტყუშლსა იოანეს მანსურსა, იოანე სინელსა, იოანე ფილო-
სოფოსსა ქართუშლსა, მეფესა აფხაზთა და ქართუშლთასა დავითს,
ეფრემს და არსენის—ღრამატიკოსთა ღირსთა, არსენის ქართუშლ-
თა ზამათმთავარსა, შოთა რუსთაველსა—გამომთქმელსა მეფის თა-
მარის ცხოვრებისასა, და სხუათა“¹².

ამის შემდეგ ანტონი ქართული შეთხზვაობის კლასიფიკაციას
ურთავს საილუსტრაციო ტექსტებს, რომელნიც მას ამოუწერიი
ძველ-ქართულ საღვ.ისმეტყუველო, ფილოსოფიურ თუ საისტორიო
თხზულებათაგან, და იქვე იძლევა იმ ამონაწერების განმარტებას.
კერძოდ მესამე შეთხზვაობის ნიშუშად ის იმოწმებს ზემოჩამოთვლილ
მწერალთაგან თორმეტი ავტორის თოთხმეტ ციტატას და ყველას
სათითაოდ განმარტავს. ამ ციტატების რიგში მეორე ადგილზე
მოთავსებულია ამონაწერი რუსთაველის თხზულებიდან. მას სათაუ-
რად აქვს: „წერილთაგან შოთასთა, რომელ აღწერა ცხოვრებაჲ
მეფის თამარისა“, რომელიც ხელნაწერებში ჩაწერილია წითურად
და ამას მოსდევს ციტატა:

„არა მოაკლდა შთაზიდუასა შინა საბლისასა,
არამედ მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონე-
ბისაგან იყოვლისფერა გარემოდ, რათა მოქცევი
თჳსი მარტიობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა
შეუყოფელად ვნებათა“.

ანტონ კათალიკოსის ამ ცნობას პირველად ყურადღება მიაქ-
ცია ა. ცაგარელმა და გამოთქვა ასეთი მოსაზრება:

«Антоний приводит в прибавлении же своей 1-ой Грамматики, как образец высокого слова, отрывок из сочинения Руставели «Жизнеописание царицы Тамары», между тем со псэму Вепхисткаосани, по которой этот поэт до сих пор только и был известен, он ни разу не цитирует. Этот образчик «высокого сло-

¹² А 531, ფ. 175v; Н 852, ფ. 208v; Q 881, ფ. 180 r—v.

დესაც მან ანტონის ცნობა, ა. ცაგარლის მიერ გაუფასურებული და დამარბული, ხელახლა აღმოაჩინა, გამოაქვეყნა და ქართული ლიტერატურის მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოაქცია.

ი. აბულაძის შრომას გამოეხმაურა კ. ქეკელიძე. მან კატეგორიულად უარყო არა მარტო მოსაზრება თამარის მეორე ისტორიკოსისა და რუსთაველის იგივეობის შესახებ, არამედ ანტონის ცნობის მეცნიერული ღირებულებაც ეჭვის ქვეშ დააყენა. მკვლევარი წერს: თამარის მეორე ისტორია (ანუ - ცხადდება შეფუთ-მეფისა თანარისი¹⁶) „საეკლესიო სვინაქსარული საკითხავია“, რის გამოც „ძალიან საეჭვოა, რომ რუსთაველს დაეწერა ამგვარი შინაარსის, ხასიათისა და ნიზანდასახულობის თხზულება. ანტონის ცნობა სწორედ რაღაც გაუგებრობაზეა აგებული, ამიტომ ეს საკითხი უნდა მოიხსნას და სხვა გზები გამოიძებნოს ამ საისტორიო თხზულების ნამდვილი ავტორის აღმოაჩენად“¹⁶.

მოსაზრება გამოთქვა აგრეთვე ა. ბარამიძემ: ციტატა, რომელიც ანტონს ანიუწერია რუსთაველის საისტორიო თხზულებიდან, „მართლაც ძლიერი ენაწყლიანობის ბეჭედს ატარებს, მაგრამ მხოლოდ ამის გამო არ შეიძლება თავის თავად ძვირფასი ცნობის შეფუჭასება და უყოყმანოდ უკუგდება. საზოგადოდ შესაძლებელია ერთისა და იმავე ავტორის ერთი ტიპის ნაწარმოები ერთი სტილით იყოს გამართული, მეორე კიდევ მეორე სტილით .. აღძრულ საკითხზე ჯერჯერობით მაინც შეუძლებელია რაიმე კონკრეტულისა და აბსოლუტუზის თქმა. ანტონის მოწმობა თავის თავად დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია და ანგარიშგასაწევი დოკუმენტი“¹⁷.

ამრიგად, მკვლევართა ერთმა ჯგუფმა (ა. ცაგარელი, კ. ქეკელიძე) ანტონის ცნობა რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ „რაღაც გაუგებრობად“ გამოაცხადა, მეორე ჯგუფმა კი (ი. აბულაძე, ა. ბარამიძე) მას მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი დოკუმენტი უწოდა. ჩვენ ვიზიარებთ მეორე ჯგუფის მკვლევართა მოსაზრებას. როგორც აღვნიშნეთ, ანტონი თავის „ღრამატიკაში“ მალალსიტყვაობის ნიშნულად იმოწმებს თორმეტი ავტორის თოთხმეტ ციტატას. ეს ციტატები ძველ ქართულ ხელნაწერებში დავებნეთ და ყველა აღმოჩნდა იმ ავტორთა ნაწერებში, რომელნიც

¹⁶ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 127.

¹⁷ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 365—366 (დაყოფა ჩემია, ა. ლ.).

დასახელებული არიან ანტონის „ლრამატიკაში“. ამონაწერები დედნებს ზუსტად ემთხვევა (შეინჩნევა მხოლოდ უწინშენელო ვარიანტული სხვაობა, რაც გადამწერთა კალმის შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს). ამის ცხადსაყოფად აქვე მოვიყვანთ „ლრამატიკიდან“ მაღალსიტყვაობის ნიმუშად ჩათვლილ ყველა ციტატას და მათ შესატყვის წყაროებს, რომელნიც ძველ-ქართულ ხელნაწერებს შემოუნახავთ:

**ციტატები ანტონის
„ლრამატიკიდან“**

1. წერილთაგან იოხიპოხისთა მეათსამეტის წიგნის დაწვებიხაგან

რომლითა უკუი სახითა იუდეულთა ნათესაემან, დამონებულმან ამან ძაკედონთაგან, მიილო თავისუფლებამ და რაოდენთა შინა და ვითართა ღუაწლთა მავალი მკედარამთავარი და იუდა მოკუდა, მათოჲს მბრძოლი, უწინარესსა ამისსა წიგნსა ცხადად გვიკმნიეს.

2. [„ხემოთ დამოწმებული ციტატა წერილთაგან შოთასთა, რომელ აღწერა ცხორებამ მეფისა თამარისა“].

3. ეფრემ მცირისა ქართუშლისა მოთხრობისაგან ქართუშლთა მოქცევისა

ხოლო მან ბეობითა კრებისათა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თუსთა თა მისცა ქართუშლთა განქსნითი, რათა თუთ მათისა სახლურისა ეპისკოპოსთაგან კელნი დაესხმოდინ ეამად-ეამადსა კათოლიკოსსა ქართლისასა.

**თხზულებანი, სადაც ეს
ციტატები დაცული**

1. იოხიპოს ფლავიოხი: „იუდეობი რივისა ძველ სიტყვაობისა წიგნი მეათსამეტე“

რომლითა უკუი სახითა იუდეულთა ნათესაემან, დამონებულმან ამან ძაკედონთაგან, მიილო თავისუფლებამ და რაოდენთა შინა და ვითართა ღუაწლთა მავალი მკედარამთავარი მათი იუდა მოკუდა, მათოჲს მბრძოლი, უწინარესსა ამისსა წიგნსა შინა ცხადად გვიკმნიეს“ (S 374, ფ. 4r).

2. მოთაყებულია „თამარ მეფის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის „ბოლოსიტყვაში“. რომლის ტექსტს სრულად დავიმოწმებთ ქვემოთ (იხ. გვ. 19).

3. ეფრემ მცირე: „უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისა“...

ხოლო მან ბეობითა კრებისადა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თუსთა თანა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს განქსნითი, რათა თუთ მათისა სახლურისა ეპისკოპოსთაგან კელნი დაესხმოდინ ეამად-ეამადსა კათოლიკოსსა ქართლისასა“ (თ. ბრეჟაძის გამოცემა, 1959, გვ. 9).

4. წერილთაგან დიონისიხთა ზეციერის მღვდელთმთავრობისა 1 თავისაგან

რამეთუ არცა შესაძლებელ არს ჩუენ- და სხუებრ გამობრწყინებულ ღთ- მთავრობითსა შარავანდედსა, არა თუ სახისმეტყუელებით დაბურვილ იყოს წმიდებითა მით კრეტსაბჰელებითა

5. წერილთაგან ღმრთისმეტყუელისათა ქრისტეს შობის ძლითისაგან

სიტყუათანი ნუ ფრიად მინდობილ ხართ სიტყუათა და ნუცა ჰბრძნობთ ნამეტნავად და ზესთა სიტყუისა.

6. იოანე ფილოსოფოსისა 11 თავის გან- მარტებისაგან კავშირისა

ესე ხედვამ მეტყუეს ჩუენ, ვითარმედ სამარადისოდ ერთ და იგივე ოქიამა სულისა, მით რომელ მიუდრეველისა სულისა მიზეხისა მიერ აღიქმნების.

7. მისივე მისვე კავშირის განმარტე- ბისაგან ორ (?) თავისა

ამას ყოველსა აღნამკსა შორის გონე- ბათა და გონიერთასა მოქმედება მიუ- დრეკ და იგივეობა და უძრავ და უზე- რებელ.

8. დამასკელის წერილთაგან 1 წიგნისა, 11 თავისა

ერთი ღმერთი ვუწყით და მხოლოდ თუთებათა შინა, ხოლო მამობისა და

4. დიონისე არეოპაგელი: „ზეცათა მღვდელთმთავრობისათჳს“ (თავი 1)

„რამეთუ არცა შესაძლებელ არს ჩუენ- და სხუებრ გამობრწყინებულ ღთ- მთავრობითსა შარავანდედსა, არა თუ სახის- მტყუელებით დაბურვილ იყოს წმი- დებითა მით კრეტსაბჰელებითა“ (A 110, გვ. 209).

5. გრიგოლ ღვთისმეტყუელი: „სიტყუათა მიმართ და ივლიანის განმასწორებე- ლისა თანამოხწყველ მისხა ყოფილისა წინაღღება ქრისტეს შობისასა აღწყე- რისათჳს“

„სიტყუათანი ჩუ ფრიად მინდობილ ხართ სიტყუათა და ნუცა ჰბრძნობთ ნამეტნავად და ზესთა სიტყუსა“ (იერუ- სალიმის ხელნაწ. № 8, ფ. 6r).

6. იოანე პეტრიწი: „განმარტებამ პო- კლესთჳს დიადოხოსისა და პლატონუ- რისა ფილოსოფიისათჳს“ (თავი 210)

„ესე ხედვამ მეტყუეს ჩუენ, ვითარმედ სამარადისოდ ერთ და იგივე ოქიამა სულისა, მით რომელ მიუდრეველისა სულისა მიზეხისა მიერ აღიქმნების“ (შრომები, II, 1937, გვ. 205).

7. მისივე „განმარტებამ პოკლესთჳს დიადოხოსისა“... (თავი 26)

„ამას ყოველსა აღნამკსა შორის გონე- ნებათა და გონიერთასა მოქმედებამ მიუდრეკ და იგივეობა და უძრავ და უზე- რებელ არს“ (შრომები, II, 1937, გვ. 71).

8. იოანე დამასკელი: „გარდამო- ცემაჲ უცილობელი მართლმადი- დებელიისა ხარწმუნოებისამ“ (არ- ხენ ვაჩეს ძის თარგმანი, წიგნი 1, თავი 11)

„ერთი ღმერთი უწყით და მხოლოდ თუთებათა შინა, ხოლო მამობისა და

ქობისა და გამოძველობისათა მიზეზობითა და მიზეზისგანობითა და სრულგობითა გუამოვნებისათა, ესე იგი გუარითა მყოფობისათა განყოფილებასა გულის-წმა-ვკყოფთ.

**9. დავით მეფისა ხინანულრხა
გალობათაგან, 3 გალობისა**

ამისთვის სისხლთა ქალწულებრივთა ქორცნი ღმრთისანი, და ახალი შეხავება, ღმერთი და კაცი, რათა იოხდეს დედა ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთათვს.

**10. ათანახისი ხაცხოვრებელია
ქრისტეს გამოჩინებისათვს თქმუ-
ლისაგან**

ყოველნი მიიხუნა ქალწულისაგან, რაოდენნი პირველთაგანვე ღმერთმან შესამტკიცებელად კაცისა მოიგონნა და შექმნნა, თვნიერ ცოდვსა¹⁸.

**11. არსენი ქართლისა კათალიკო-
სისა გალობათაგან შიო მღვიმე-
ლისათა**

სხუა მოაესი იუტბრი, სხვისა ილიასი ელისებრი, ევაგრი სულისა ტრფიალი, არა ხალენითა წყლისა გამბები, გარნა კუტრთხითა მოძღურისათა.

**12. წერილთაგან ეფრემისთა ნეტა-
რებისა ძლითისაგან**

ხენა იეროსალიმი, ქალაქი მეუფისა დიდისა, სადათ იგი წარვიდა საღმობა, მწუხარება და სულთქმა.

ქობისა და განძოძველობისათა, მიზეზობითა და მიზეზისგანობითა და სრულგობითა გუამოვნებისადათა, ესე იგი არს, გუარითა მყოფობისადათა, განყოფილებასა გულის-წმა-ვკყოფთ“ (N 1463, ფ. 57r; შდრ. ბექდურო გამოცემა, მოსკოვი, 1744 წ.).

**9. დავით აღმაშენებელი: „გა-
ლობანი ხინანულისანი“
(გალობა IV)**

ამისთვის სისხლთა ქალწულებრივთაგან ქორცნი ღმრთისანი, და ახალი შეხავება, ღმერთი და კაცი, რათა იოხდეს დედა ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთა“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954. გვ. 602).

10. ათანახე ალექსანდრიელი

ყოველნი მიიხუნა ქალწულისაგან, რაოდენნი პირველთაგანვე ღმერთმან შესამტკიცებელად კაცისა მოიგონნა და შექმნნა, თვნიერ ცოდვსა“.

**11. არსენ კათალიკოსი: გალობანი
შიო მღვიმელისანი (გალობა დ)**

„სხუა მოსესი ისუებრი, სავა ელიასი ელისებრი, ევაგრი სულისა ტრფიალი, არა ხალენითა წყლის განმბები, გარნა კუტრთხითა მოძღურისათა“ (A 160, გვ. 617—618).

**12. ეფრემ ახური: „ასკეტიკონი“
(წიგნი პირველი), ნეტარებისა
თავისაგან**

„ხენა იმწლი, რომელ არს ქალაქი მეუფისა დიდისა, სადათ იგი წარვიდა საღმობა, მწუხარება და სულთქმა“ (A 673, ფ. 52r).

¹⁸ ეგვე ტექსტი ამავე სათაურით ანტონს დამოწმებული აქვს „მხანეტყველებაში“ (პ. კარბელაშვილის გამოცემა, თბ., 1892, გვ. 137).

**13. წერილთაგან მაქსიმესთა
! ასეულის 8 რიცხვისაგან**

რომელი განაშორებდეს გონებასა ღმრთისა მიმართისა სიყუარულისაგან და გრძნობათაგანისა რაჲსამე თანაშეკრულად აქუნდეს, ესე წინა პატივს-ჰსცემს სულისა ჯორცთა და დამბადებელისა ღმრთისა უფროს მის მიერ დაბადებულთა.

**14. მიხივე მიხივე წიგნისაგან მახვი
ასეულის 9 რიცხვისაგან**

უკეთუ ცხოვრებაჲ გონებისა განათლებაჲ არს მეცნიერებისა, და ამას ღმრთისა მიმართ ჰშობს სიყვარული კეთილად, არა-რაჲ უაღრეს ითქუმის წმიდისა სიყუარულისა“¹⁹.

**13. მაქსიმე აღმხარებელი: ოთხ-
ხეულის პირველი ასეული
(მუხლი მე-8)**

რომელი განაშორებდეს გონებასა ღმრთისა მიმართისა სიყუარულისაგან და გრძნობათაგანისა რაჲსამე თანაშეკრულად აქუნდეს, ესე წინა პატივს-ჰსცემს სულისასა ჯორცთა და დამბადებლისა ღმრთისა [უფროს] მის მიერ დაბადებულთა“ (A 711, ფ. 26r).

**14. იმავე თხზულებიდან პირვე-
ლი ასეული (მუხლი მე-9)**

„უკეთუ ცხოვრებაჲ გონებისა განათლებაჲ არს მეცნიერებისა, და ამას ღმრთისა მიმართ ჰშობს სიყვარული კეთილად, არა-რაჲ უაღრეს ითქუმის სიყუარულისა“ (A 711, ფ. 26r).

რა ირკვევა ამ ამონაწერების შედარებიდან?

—სამი საგულისხმო გარემოება:

1. როდესაც ანტონი ძველი ქართული მწერლობიდან რაიმე ციტატას იმოწმებს, უშეცდომოდ ასახელებს წყაროს (დამოწმებული ციტატის შემცველ თხზულებას და ავტორს);

2. თორმეტი თხზულებიდან თერთმეტის სახელწოდება და ცნობები მათი ავტორების შესახებ დაკუთრებულია, ანტონის ციტაციის თანახმად, ჩვენ მიერ დაძებნილ ხელნაწერებში.

3. ანტონის ცნობები ამ თხზულებების ავტორთა შესახებ მომდინარეობენ იმ წყაროებიდან, რომლებშიც დაკუთრებულია ანტონის მიერ ამოწერილი ციტატები.

საერთოდ ანტონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ციტატების სწორად ამოწერას და წყაროს უშეცდომოდ მითითებას. საგულისხმოა, რომ ანტონის შრომებში ციტატები ხშირად ბრჭყალებშია ჩასმული ან ჩაწერილია ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით, ხოლო იმ თხზულების ავტორი და სახელწოდება, საიდანაც ციტატაა ამოღებული, მითითებულია იქვე სქოლიოში (ან ციტატის ბოლოს, ან გვერდით აშიაზე, ანდა სათაურში). ციტატები ანტონს ძველ ქართულ თხზულებათაგან დამოწმებული

¹⁹ Q 881, ფ. 182v—183v; A 531, ფ. 177v—179r; H 852, ფ. 211v—213r.

აქვს აგრეთვე „ზამეტყველებაში“, „მარტირიკასა“²⁰ და მხითარ სებასტიელის „რიტორიკაში“²¹. მათშიც ის სიზუსტეს ამჟღავნებს. განსაკუთრებით ეს ითქმის „მარტირიკაზე“, სადაც ნათლად მოჩანს ძველი ქართული მარტიროლოგიური ლიტერატურის საუცხოო ცოდნა. საყურადღებოა ისიც, რომ „მარტირიკაში“ დამოწმებული ციტატების წყალობით შესაძლებელი გახდა დადგენილიყო ისე წილკნელის, რაჟდენისა და არჩილის „წანებათა“ რეტაფრასული რედაქციების ავტორობის საკითხი. დიდხანს გაუზრკვეველი იყო, თუ ამ „წანებათა“ ავტორი ვინ უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, ეს ძეგლები ნიაჩნდათ X—XIII საუკუნეებში დაწერილად, ჩაგრამ ანტონის ცნობის თანახმად გამოიჩვენა, რომ მათი ავტორია X VII—X VIII საუკუნეების წერალი ბესარიონ ორბელიანი. ანტონის მიერ ამოწერილი ციტატებიდანვე ვიცოდით, რომ ლუარსაბ მეფისა და ბიძინას, შალვასა და ელიზბარცს „წანებანიც“ ბესარიონ ორბელიანს ეკუთვნოდა. ანტონის ცნობების სისწორე ცხადყოფილ იქნა ბესარიონ ორბელიანის ავტოგრაფის აღმოჩენით (S 3269)²².

ეს გარემოებანი გვიკარნახებენ, რომ ანტონის ცნობა რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ და ამ თხზულებიდან დამოწმებული ციტატა მივიჩნიოთ სანდო დოკუმენტად. იგი არ არის „რალაც გაუგებრობაზე აგებული“. მისი წყაროა „თარის ცხოვრების“ ისეთი არმოღწეული, თუ ჯერჯერობით აღმოუჩენელი ნუსხა, რომელსაც დართული ჰქონია ცნობა ავტორის ვინაობის შესახებ. ანტონმა ჩინებულად იცოდა ძველი ქართული ლიტერატურა და ისტორია, მას წაკითხული ჰქონდა ზოგიერთი ისეთი საისტორიო ხელნაწერი, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ მხრივ საყურადღებოა ანტონის შრომა „საქართველოს მეფეთა შთამომავლობისათვის“ (ანუ „გამოკრებილი ქართლის ცხოვრება“), რომელიც მას დაუწერია ყიზლარის კომენდანტის ივანე ლევანის ძე ფრაუნდორფის თხოვნით. ავტორი მასში მეტად სქემატურად მოგვითხრობს ქართველ მეფეთა შთამომავლობის ისტორიას და თა-

²⁰ S ფონდის ხელნაწერი № 1272.

²¹ H ფონდის ხელნაწერი № 413.

²² ი. ლოლაშვილი, ბესარიონ ორბელიანი—XVIII საუკუნის ქართველი აგიოგრაფი (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XIX სამეცნიერო სესიის თეზისები, 1958, გვ. 13—15); მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 75—113); კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 350—354.

მარ მეფის შესახებ ერთგან აღნიშნავს: „მრავალნი უკუე საკურველნი ჰქმნნა თამარ, ვითარ იგი მოუთხორობენ მატრიანენი მცხეთისა და გენათისანი“ (H 1082, ფ. 5r)²³. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ანტონი „თამარ მეფის ცხოვრებას“ იცნობდა „ქართლის ცხოვრების“ მცხეთური და გელათური ნუსხებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მისთვის ცნობილი იქნებოდა აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია. მცხეთური ნუსხის პირი (გადაწერილი ნიკოლოზ სამებელი ეპისკოპოსის დაკვეთით ნიკოლოზ მგალობლის ძის მიერ 1697 წელს) ამ რამდენიმე ხნის წინ აღმოაჩინა ა. კლიშიაშვილმა²⁴. მართლაც, ამ ნუსხას „მემოუნახავს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელსაც სამწუხაროდ დასაწყისი აკლია, სადაც აესაძლებელია ავტორის ვინაობა ყოფილიყო აღნიშნული. გელათური „თამარის ცხოვრება“ კი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია²⁵. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი იღწყება, რომ თამარ მეფე გელათის მონასტერში დაკრწალესო. ანტიკომ, როგორც წესი, აღნიშნულ მონასტერში მეფე-ქალის სახსენებლად დადებული იქნებოდა „თამარის ცხოვრების“ ვრცელი საკითხავი, რომელშიც ანტონის ცნობით, აღწერილი ყოფილა თამარ მეფის „საკვირველნი საქმენი“. ჩვენი ვარაუდით, ეს საკითხავი უნდა იყოს „ისტორიათა და აზმათა“ სრული ტექსტი. ამგვარად ვერაფერს ვიცავით, თუ ანტონის ცნობა რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ

²³ შ.დ. H 182, 1292 და 1361. ანტონს თამარ მეფის შესახებ ერთი ფრაზა ნიშნავს „მრავალ-კუცისა კითხვათა ნაკუთისა“ შეუტანია იაითარ სებასტიელის „რიტორიკაში“. აი ეს ფრაზაც: „ანუ არა თამარ იყოა, რომელმან ყოველკუთილობათაჲში იყავლიდეთა, ანუ არადა ითქა შორისა თესებანი პირველსა პაისა თჳისა დაჲით მესასისანი, ანუ არა მძლეობითა იდივა ბაბილონისა მპყრობელისა ხალიფასითა და შექარდინ სელთანისათა, ანუ არა ქართველთა ამბოჯოსა დაუტეჳა საუელნი ზუათა ჩმნილნი მაძინდელთა საუკუნეთა შინა ენა-ვანსაენილთანი?“ (H 413, ფ. 103v).

²⁴ ა. კლიშიაშვილი, ქართლის ცხოვრების ერთი ახალი ნუსხა 1697 წლისა (აქართველოს სსრ მეცნ. აკად. შოთბე, ტ. XXIV, № 3, 1960, გვ. 371—375).

²⁵ იგი არ არის „თამარიდამ სვიმონის ძის გიოვარსაჲდ“ აღწერილი „გელათური ქორიანიკანი“, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ჩართული ყოფილა „ძველის გარიგების და სამართლის წიგნსა შინა იმერეთს გელათურსა“ (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ცხოვრება, II, 1913, გვ. 13 სქოლიო; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართველი საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 281—283).

„თამარის ცხოვრების“ რომელი არმოდწეული ნუსხიდან მომდინარეობს, რადგანაც, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი იუწყება. XVIII საუკუნის შუა წლებში „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხებიც ყოფილა და „არა ერთი, არამედ მრავალი“²⁶. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: ანტონის ცნობა რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ არ არის მოგონილი, არც „რალაც გაუგებრობის“ ნაყოფი. იგი „თამარ მეფის ცხოვრების“ ჩვენამდე არმოდწეული ნუსხის ცნობაა, რომელიც ანტონს თავის „ღრამატიკაში“ უცვლელად გაუმეორებია. შეიძლება ვიფიქროთ ისიც, რომ ანტონს ეს ცნობა სხვა წყაროდან ჰქონდეს ამოღებული, მაგრამ უფრო სავარაუდებელია აირველი მოსაზრება, რადგანაც ცნობასთან ერთად დამოწმებულია ციტატაც, რომელიც რუსთაველის საძიებელი თხზულებიდანაა ამოწერილი.

2. რუსთაველის საისტორიო თხზულებას „ბოლოსიტყვა“

რუსთაველის საისტორიო თხზულების პოვნას ადვილებს ანტონის ციტატა „არა მოაკლდა შთანიდვასა შინა...“, რაინელიც საბედნიეროდ „თამარ მეფის ცხოვრების“ ნუსხებს შემოუნახავს. ანტონის ცნობის დიდი ღირსებაც სწორედ ამაში მდგომარეობს. ი. აბულაძემ თავის გამოკვლევაში აღნიშნა, რომ ეს ციტატა მოეპოვება „ქართლის ცხოვრების“ ვანტანგისეული რედაქციით ცნობილ „თამარ მეფის ცხოვრების“ ტექსტს²⁷. მართლაც, „თამარის ცხოვრების“ ამ რედაქციას დარჩული აქვს ე. წ. „ბოლოსიტყვა“, სადაც ზოგადად დახასიათებულია თამარის პიროვნება და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. ჩასაი ჩართულია ანტონის მიერ ამოწერილი ფრაზაც „არა მოაკლდა შთანიდვასა შინა“. რადგანაც „ბოლოსიტყვას“ მთელი ტექსტი ჩვენი გამოკვლევის განსახალველ საგანს წარმოადგენს, მოვიყვანო ჩას აქვე სრულად, ხოლო ანტონის ციტატას ხასგანსით გამოვყოფთ:

„იცვალა ფერი ქართველთა მზიარულებისა, რაჟეთუ განბიცნეს ბაგენი მათნი, რომელთა პირსა შინა პირველ სხვა არა-რა მოაქუნდა, ვითარ თამარ, რამეთუ: სახლთა ზედა აქროს-ტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჟედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს და ზედა თამარის ქებასა

²⁶ ქართლის ცხოვრება, I, 1913, გვ. 14.

²⁷ ენიმკის მოამბე, III, 1933, გვ. 264.

დასწერდეს; და ყოველთა სირნი ერთბაშად მზა იყვნეს, რათა ღირსი რაზე თანარის საქმელობისა სიტყუა აღმოთქუან: ყრბანი მემროწლენი, განპებასა შინა ორნატასა, თამარის ქებათა ზელექსობდიან; ერას ნყოფნი მეგბენნი, გინა გეჩანგენი თამარის ნესხმათა მუსიკელობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა ზენაგენი, ნიაც-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყადიან. ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მისმიერითა ქებითა, და ყოველი ენა აღიდგებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ასმიოდეს.

ხოლო საქმეთა მისთათჳს რადლა სავმარ არს თქნად, რამეთუ კილით-კიდედღე განისძნეს, ვითარცა თჳთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ სილული სიტყუსაებრ ბრძნისა?

არა უცთომელობა მგანის ძალისა უზეშთაესსა მეცადინობა, რამეთუ დაწყება და აღსასრული ამის ჯელ-ყოფისა სრულებით ესრეთ ჩანს, ვითარცა სიმძიმესა და პატიოსნებასა თანა ოქროსასა ქარქუეტისა ნაწუსრევი, რამეთუ ვინ რა წარმოთქუას ღირსი ამისთჳს, გინა რა ვინ პირველ აქოს, ანუ რომელი უკანასკნელ: სიმდაბლე უზომო, სიმალღე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმკისე ჯეროვანი, ღმობიერება მოწლე, მოწყალება თანა-ღმობილი, უმანკოება უზაკუელი, სიწორფოება უსიცრუო, სასიერება ზოგადი, სიუზუე აღუზუავებელი და—თავი ყოვლისა კეთილისა—შიში ღმრთისა და მსახურება მისი შეუორგულებელი,—რომელი ესე ყოველი ამან ესრეთ მოიგო, ვითარ ვერცა ერთი სხუამან ვერვინ. და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა ნიმცლავრებულთა უკუზ სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი შარვანელთა²⁸ და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყუნეს და მტერთაგან უზრუნველობასა.

ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ, რამეთუ თეოდოსი დიდსაცა აღემატებოდა. ლოცვანი და ღამისთევანი,

²⁸ ტექსტშია „შარვანმეთი“, რაც ხუცური ასოების აღრვეის შედეგადაა.

რომელნი პალატსა შინა ამისსა აღესრულებოდეს, საეკუელ მიჩნს მეუდაზნოეთაგანცა; ხოლო მარხუსათჳს რაღა ვთქუა, რამეთუ წესი იყო მონაზონთა და მანხილებელ უღებთა ერი პალატისა.

ეგრეთვე სიყუარულისათჳს ხუცესთა და მონაზონთასა ნამეტნავე არს თქმად, რამეთუ წესიერად ცხორებულნი კაცნი მარადღე იყენიან წინაშე მისსა, და მახლობელად სასუენებლისა მისცის მათ საყოფელი, და თჳთ ზრდიდის საზრდელითა და ყოვლითა საკმრითა, რაცა უნებნ. და უკეთუ ნათგანი ეინმე იყვის უძღურ, თჳთ მივალნ მოხილვად და ნუგეშინისცემად და თჳთ განუმზადებნ ცხედარსა და სარეცელსა.

ხოლო გლახაკათჳს განეჩინეს სარწმუნონი ზედაზღგომელნი და ყოვლისა სამეთოფსა მისისა 'ემოხაველნი, რაცა იყო წინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარცულადღმდეცა. და ამას ყოვლადვე არა გონებდა ქველის საქმედ მითჯალვად წინაშე ღმრთისა, რამეთუ რაჟამს მოიცალის მარტოეწით ყოფად, მყის აღიღის სასთუელი, გინა საკერავი და ნაზრომსა მას თჳსთა კელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფნ თჳსითა კელითა.

ესრეთ წესითა განმტკიცებულითა ღმრთისა სახიერისა სათნოებისათა არა დაწყებისასა მიხედვიდა. არაჲედ აღსასრულისათა, და ვითარცა მზე, სწორ.მატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თჳსთა შარავენდელთასა. ესრეთ წყალობითა ყოველთათა მოიხილვიდა წყალობად ღმრთისა, ესრეთ გამოიფრდიდა ჟანთაგან, ესრეთ განაძლიერებდა მეგობართა, დაღათუ არაოჯთ სიცრუით მოგებულთა და უსაჩარლოათა.

არაოდეს მომედვრდა ჟამისაგან, არცა უღებ იქმნა ოდესცა განგებისათჳს, არაოდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმეთათჳს, არა დაუძიიმა კრთომასა გონებისასა დამხიდველი რამე ჩუქენებრივი, არცა სიმდაბლესა მირიდა, არცა სიმალესა განეყენა. არცა სიტკბოება ჟამიერი უმოთნო ყო, არცა საშინელება შეურაცხ ყო; ყოველი განზავა ყოვლითა, რათა სრულებით სრულისაგან წარმოაჩინოს თავსა შორის თჳსსა.

ულაფრობა მაარსებლისა განუგმობელად დაიცვა, რათა მოქცევსა შინა სიმრგულისასა არარად ეღმად და უცხოდ მიდრეკს, არცა გარდაყვეს სავესებელისა დუღილსა შინა, არცა მოაკლდა შთაზიდვასა შინა საბღლისასა, არა-

მედ მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან იყოვლისფერა გარემოდ, რათა მოქცევი თვისი მარტობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ვნებათა. ისურვებდა და სასურველ იყო, იწადებდა და საწადელ იყო, იქებოდა და საქნებელ იყო, ნატრიდეს და სანატრელ იყო და არარა იყო სხუა კეთილი, რაცა იგი არა იყო მის შორის.

ურჩნი თვისნი დაამდაბლნა და მოყუარენი აღამაღლნა. არა იღუწიდა უმეზობლობასა, არცა «შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა», არამედ თვისი მამული ძუელი კმა იყო, რათა არა უსაძართლოდ ჰგონონ და მიმხუეველად, ვინათგან სამართალმანცა ზენამან უბჭო მართალსა. არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროსდა სცვიდა მაშინებელთაგან და მათ საშინელ ყოფდა მტერთა ზედა. შორს განიოტა წურბლის მსგავსი ვერ-მამღლისობა, ვინ არა გესლოვან [ყო] ნაყოფი და არცა ბუგრიან—ნაშრომი.

ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა, არა მიზუებად ბრწოლისა, არცა გარდადებად უღელსა მცლავრობისასა ურთიერთას და სახედ თავსა თვისსა მისცემდა და ამისთვის მათ ზედა მეორე სოლომონ იქნა მეფეთა შორის; და არა ერთისა გული აღძრა სურვილად. არამედ ყოველნი რომელთა ესმა სახელი მისი, ვინა დიდთა მეფეთა, ცუდად შერაცხნეს თვისი ბედკეთილობა ვერ-ხილვისათვის მისისა. კინილა-და ყოველსა ზღუასა აღმოიწრედდა თვისად, ვითარცა ღრუბელი ყოველთა ზედა მსხურებელი ტკბილთა წვმათა.

განიგენნე ყოველნი მატიანენი, ძუელთა გინა ახალთა მეფეთა ზაქეღლნი, რაზეთუ გარდაემატა თაძარის საქმეთა ქეშმარიტებით საქებლობა სიტყუსაებრ პირველთასა:

სახარელ იყო თხრობათა შინა და კდემულ განმსწავლელობათა, შემხებელ ლბილობით და განმწურთელ სიტკბობებით, მგუენელ მოწყალეობით და შემრისხუელ თანალმობით, რათა ყოვლად ყოვლითურთ განუგმობელ აჩუენოს თვისება ღმრთისა. სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა—განმანათლებელ და მეორეთა—დანწუელ; აღჯრი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათვის, კანონი სირცხლისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ქაბუკთათვის; კეთილ-მავალთა სიბრძნით მცველ, ხოლო მბორგალეთა თუალუხუავად მგუემელ.

მლდელთ-მოდლუართა შეიმოსეს შიში, მლდელთა დაიცივეს წესი თჳსი, მონაზონთა მოიგეს წესიერი მოქალაქობა, მთავარნი განისწავლნეს სიწმიდით ცხოვრებად და სიმართლით სლვად, ერნი განემტკიცნეს შიშით მონებად ღმრთისა და ერთგულობით უფალთა თჳსთა, ყრმანი განეწუართნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა, რამეთუ ბილწებამან უწესობამან და ყრმებრივმან მბორგალებითმან ბორგნეჴლობამან ვერცა თუ კუალი პოვა დღეთა თამარისთა. ეინა-და თჳთ გინებადცა შორს იყუნეს, რომელნიცა პალატსა შინა ღირს იყუნეს, გინა კარსა ზედა მსახურებად.

ესრეთ ყოველსა შინა დაცვითა ღმრთისა მცნებათაჲთა მოიგო წყალობა ღმრთისა, და აკურთხა ღმერთმან ცხოვრება მისი, და განამრავლა ნაყოფი მისი და თავ-წარსხზულ ყო მსგავსად წერილისა: «ნათელი აღმოუბრწყინდა მართალსა» განთიადისა თანა, და მეუღლე მისი სიხარული შუადღე და მწუხრი მშუდობით დაიძინა სარეცელსა ზედა თჳსსა. შეამკუნა ღმერთმან დღენი მისნი პატიოსნებით და ჟამნი მისნი მჰუდობით. და მეფობასა შინა მისსა არა შეიქუა პირი მისი, ამისთჳს რამეთუ არაოდეს გარე მიაქცია ჴელი სათხოველისაგან ქურივთა, ობოლთა და მიძძლავრებულთასა. წარვლნა დღენი მისნი სიხარულსა შინა, ამისთჳს რამეთუ მარადღე ახარებდა ყოველთა გლახაკთა და დავერდომილთა. და უკანასკნელ წარვიდა მამათა თჳსთა თანა და წეეძინა; და დაუტევნა ორნი შვილნი, გიორგი და რუსუდან, შუენიერნი, საწადელნი, სასურველნი და საქებელნი. შექმნით სეფის პირნი, გონიერებით აღსავსენი, სიბრწნით შემკობილნი და ყოვლითა სიკეთითა სრულნი. თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეაწყუდია ყოველი გუარო კეთილ-მეფობისა²⁹.

აქა დავჴში სიტყჳსა-წყობა მომავალთათჳს ყოველთაგან აწინდელთა სხუათა ძღვევისა მიცემითა ყოველთა და უმჯობესად შესატყჳს შესაძლებელად სახის-მეტყუელებასა უაღრესისა სიტყჳსა პოვნით, და ამისთჳს ჩუენ მიერ დუმილით პატივცემით დავიდუმოთ³⁰.

ეს „ბოლოსიტყვა“ წარმოადგენს პროზულ ქებათა ბრწყინვალე ნიმუშს. ავტორი მკვერმეტყველურად ამკობს თამარს, იძლევა

²⁹ შდრ. „მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინ.შე ღმრთისა“ (ქ. ცხ. I, 1955, გვ. 369).

³⁰ ქართლის ცხოვრება, კიკ. გამ., I, 1913, გვ. 489—493.

ქართველი მეცე-ქალის პიროვნებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ზოგად, მაგრამ შინაარსიან დახასიათებას, რომელშიც შკატიოდ ვლინდება მწერლის ცოდნა, ერუდიცია, საქმები პირის მიპართ უანგარო სიყვარული და კდემამოსილი პატივისცემა. ამისი შექმნხველი კარგად იცნობს თამარის პირადულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ის ქართული სიტყვის დიდოსტატია, თუმცაღა თავდაბლური მოკრძალებით წერს: წაიკითხეთ „ყოველნი მატია-ნენი, ძეგლთა გინა ახალთა მეყეთა საქებელნი“, და დარწმუნდებით, რომ თამარის საქმენი ჭეშმარიტად რათზე მეტად საქებელნი არიან, მაგრამ ჩემ მიერ დაწერილი თხზულება დასაწყისიდან ბოლომდე „სრულებით ესრეთ ჩანს, ვითარცა სინძიმესა და პატიოსნებასა თანა ოქროსასა ქარქუეტისა ნამუსრვეი“.

ავტორი „სისხლითა ცრემლ-დათხეული“ მწუხარებით განიცდის გვირგვინისანი ქალის გარდაცვალებას. ამ უბედურებას ის ძლიერით შთაბეჭდილებითაც აღწერს: „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა, რამეთუ განბიცნეს ბაგენი მათნი“. მწერალი ეროვნული გლოვის თანადაცხდურია. მის მიერ აღწერილი განცდანი ნათლად მეტყველებენ, რომ „ბოლოსიტყვა“ თამარის გარდაცვალებიდან ახლო ხანშია შეთხზული. ამას ცხადჰყოფს მისი დასასრულიც. სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ თამარმა „დაუტეგნა ორნი შვილნი, გიორგი და რუსუდან. შუენიერნი, საწადელნი, სასურველნი და საქებელნი, შექმნით სეჟის პირნი, განიერგვით აღსაყსენი, სიბრძნით შემკობილნი და ყოველითა სიკეთითა სრულნი“. თუ ისტორიკოსი ამას იტყოდა 1223 წლის შემდეგ, როდესაც ლაშა გიორგი ცოცხალი აღარ იყო, ის იქვე აღნიშნავდა თამარის ვაჟი-შვილის გარდაცვალებასაც და რაკი ამის შესახებ არათერია ნათქვამი, „ბოლოსიტყვა“ თავისი შინაარსის მიხედვით დაწერილია თამარის გარდაცვალების შემდეგ ლაშა გიორგის სიცოცხლეში (ე. ი. 1223 წლამდე) XII—XIII საუკუნეების მოღვაწისა და დიდად განათლებული მწერლის მიერ.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციას „ბოლოსიტყვის“ ავტორის ვინაობაზე ცნობა არ მოეპოვება. ჩანს, „სწავლულ კაცთა“ კომისიას „თამარის ცხოვრების“ ისეთი ნუსხები ჰქონია, რომლებშიც ამგვარი ცნობა არა ყოფილა დაცული. მაგრამ რაკი ანტონი „ბოლოსიტყვიდან“ იმოწმებს ციტატას და მას რუსთაველს მიაწერს, ზემოთქმულ მოსაზრებათა თანახმად ეს ცნობა სარწმუნოდ მიგვაჩნია. მაშასადამე, „თამარის ცხოვრე-

ბის“ ვახტანგისეული რედაქციაში დაკული „ბოლო-
სიტყვა“ წარმოდგენს რუსთაველის საისტორიო
თხზულების „თამარ მეფის ცხოვრების“ დასას-
რულს.

სამწუხაროდ, „ბოლოსიტყვა“ ნარედაქციევი უნდა იყოს.
ი. ჯავახიშვილი წერს: „შემავსებელს... თამარის ისტორიის (იგუ-
ლისხნება ვახტანგისეული ტექსტი) დასასრულის ენა პოეტურად
შეუფერადებიაო“³¹, წავრამ შემავსებლის წვლილი უფრო სწვა რა-
მეში უნდა გამოიხატებოდეს. „ბოლოსიტყვა“ საერთოდ ამაღლე-
ბული მხატვრული ფენითაა დაწერილი, ის ერთგვარი არაწული
ხობბაა. ავტორი ძველ-ქართველ მეხოტბეთა მსგავსად საგანგებოდ
არჩევს ქების შემსხმელ, მაღალფარდოვან სიტყვებს და ზი-გჯერ
წინადადებებსაც რთული კონსტრუქციით აგებს. ამას ნათლად მე-
ტყველნებს, თუ გნებავთ, ის აბზაცი, სადაც ანტონის მიერ დამო-
წმენული ციტატაა მოქცეული, ან კიდევ ასეთი წინადადება: „ყრმა-
ნი განეწუართნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა, რანეთუ
ბილწებანან უწესომან და ყრმებრიემან მბორგალებითმწმ ბორგნე-
ულობანან ვერცა თუ კუალი პოვა დღეთა თამარისთა“. ეს ირკვევა
თვით ავტორის განცხადებიდანაც—მე დავამთავრე თამარის შემ-
სხმელი „სიტყვა-წყობა მომავალთათჳს ყოველთაგან აწ-ნდელთა
სხუათა ძლევისა მიცემითა ყოველთა უმჯობესად შესატყჳს მე-
საძლებელად სახის-მეტყუფლებასა უალრესისა სიტყჳსა პო-ენითა“.
ამიტომ არა გვგონია ვინმეს „ბოლოსიტყვის“ ენა აოეტურად გაე-
ჩალებოს. რაკი ეს ტექსტი რუსთაველს ეკუთვნის, ცხადია, პოეტის
ენას პოეტური შეფერადება არ დასჭირდებოდა. „თამარის ცხოვრე-
ბის“ ვახტანგისეული რედაქციის განმართავი „ისტორიათა და
აზმათა“ ძნელად გასაგებ ფრაზებსა და სიტყვებს სცვლის: ტექსტს
აქა-იქ ავრცობს, აქა-იქ ამოკლებს, ზოგჯერაც თამარის მეორე ის-
ტორიკოსის ფრაზებთან ბერწყმულად წარმოგვიდგენს. იგივე რე-
დაქტორი ასეთსავე დამოკიდებულებას ამჟღავნებს მეორე ისტო-
რიკოსის თხზულების მიმართაც. ეს ფაქტი უხვი ვარიანტული მა-
სალით დაადგინა ს. ყაუხჩიშვილმა³² და მის მიერ მიღებული დას-

³¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. 1945, 83-225.

³² ქართლის ცხოვრება, II, 1959, ს. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობა, გვ. 016—017. შდრ. აგრეთვე „ისტორიანი და აზმანი“ და „თამარის ცხოვრების“ ვახტანგისეული ტექსტის ვარიანტები. (იქვე, გვ. 1—113).

კენების შედეგად უნდა ვივარაუდოთ, რომ „სწავლული კაცები“ რუსთაველის საისტორიო თხზულების „ბოლოსიტყვის“ მაღალფარდოვან სახობტო ენასაც რამდენადმე გაამარტივებდნენ. ამიტომ რთულ ფილოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს იმისი დადგენა, თუ „ბოლოსიტყვა“ თამარის რომელი ისტორიის დასასრულია—„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტისა, მეორე ისტორიკოსის შრომისა, თუ ჩვენამდე არმოღწეული რომელიღაც საისტორიო თხზულებისა? ამ საკითხის შესახებ ი. აბულაძე წერდა: უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლო ნაწილი, რომელიც „თამარის დაავადემყოფებას, გარდაცვალებას, მისი ღვაწლისა და თვისებების ზოგად დახასიათებას შეიცავს“, ან მეორე ისტორიკოსისავე დაკარგული ნაწილიდანაა აღებული, ან ვახტანგის კომისიას მარიამ დედოფლისეულისაგან განსხვავებული სხვა ნუსხა ჰქონია ხელთ «ისტორიათა და აზმათა», ვინემ ეს მარიამის «ქართლის ცხოვრებაში» წარმოდგენილი, ანდა იგი ვახტანგის კომისიას მესამე წყაროდან, ჯერხნობით უცნობის თამარის ისტორიკოსისაგან აულია“. ამიტომ „პირველ ყოვლისა უნდა გაირკვეს, თუ საიდანაა ვახტანგისეულ «ქართლის ცხოვრებაში» ბოლოს მოხვედრილი ნაწილი“, რადგანაც „ამ ნაწილის ორგანული კუთვნილებაა ის ციტატი, რომელიც ანტონს მოჰყავს“²². ი. აბულაძის მიერ საკითხის ამგვარად დასმა და კვლევის განგრძობა ჯერჯერობით ერთადერთი მართებული გზაა რუსთაველის საძიებელი თხზულების მისაგნებად. მაშ, გავარკვიოთ საკითხი—„ბოლოსიტყვა“ თამარის რომელი ისტორიის ნაწილია?

ღ 3. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ავტორის ვინაობა, შედგენილობა, დაწერის თარიღი)

„ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ვარიანტის აღმოჩენამდე გაურკვეველი იყო, თუ „თამარ მეფის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია რა საისტორიო წყაროების საფუძველზე შემუშავდა, „ისტორიათა და აზმათა“ აღმოჩენამ კი რამდენადმე შუქი მოჰფინა „სწავლულ კაცთა“ სარედაქციო საქმიანობას. ცხადი გახდა, რომ „სწავლულ კაცთა“ ერთ-ერთი ძირითადი წყარო ყოფილა „ისტორიანი და აზმანი“, რომელიც ანონიმ რედაქტორს (ი. ჯავახიშვილის თქმით, შემავსებელს) ნაწილობრივ სტილისტურად გადაუმუშავებია. მასში რედაქტორს ჩაუროთავს აგრეთვე ცნობები იმ-

²² ენიშკის მოამბე , III, 1938, გვ. 204—205.

დროს არსებული საისტორიო წყაროებიდან, გამოუყენებია თამარის სხვა „ისტორიაც“, როდის ეხებოდა „ისტორიანი და აზმანი“ შეჯგუფება და გაუდართოვებია ახალი ფაქტობრივი მასალებით. ეს სხვა „ისტორია“ აღმოაჩინა 1923 წელს ი. ჯავახიშვილმა და დაასათაურა როგორც „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, მის ავტორად კი ივარაუდა ბასილი ეზოსმოძღვარი²⁴. ამრიგად, 1923 წლიდან კვლავ ახალი შუქი მოეფინა „სწავლულ კაცთა“ სარედაქციო საქმიანობას. გაირკვა, რომ „თამარ მეფის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია შემუშავებულია თამარის პირველი („ისტორიათა და აზმათა“) და მეორე („თამარ მეფის ცხოვრების“) საისტორიო თხზულებათა ურთიერთშერწყმის საფუძველზე. აღორძინების ხანაში თამარის ორივე ისტორია ორ სხვადასხვა თხზულებას წარმოადგენდა. „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ რედაქციაში შეტანილი იყო „ისტორიანი და აზმანი“, ზოგიერთში კი — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. XVII—XVIII საუკუნეების ზოგიერთ წიგნობარსა (თუ ვადაძვერს) გასჩენია იდეა, რომ ეს ორივე ძეგლი ერთ თხზულებად შეექმნა ისე, რომ თხრობის ქრონოლოგიური თანამიმდევრობა არ დარღვეულიყო. ამ მიზნით მათ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში ადგილ-ადგილ ჩაურთავთ მეორე ისტორიის ცალკეული ეპიზოდები. მაგ. გიორგი მაჩაბელი ერთ მინაწერში იუწყება: „ორი ქართლის ცხოვრება მქონდა. ამ ერთში თამარ მეფის ამბავი სხვა რიგად ეწერა, ამ მეორის—სხუა რიგად. ორივე დაეწერე. ამ რვეულმა ამიტომ გამოცვალა სიტყვა ორივე ესე“²⁵. ვახტანგის „სწავლულ კაცებს“ მეტი გაბედულება გამოუჩენიათ: მათ თამარის ორივე ისტორია არა მარტო ერთმანეთში შეურევიათ თხრობის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით, არამედ მათგან ზოგიერთი რამ გამოუტოვებიათ, ზოგიც ენობრივად გადაუმუშავებიათ.

ი. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ დაცულია ნაკლებად „ქართლის ცხოვრების“ ქალაშვილისეული ხელნაწერით; ის გადაწერილია XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ტექსტი იწყება: „დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დემეტრესი, დავითის შვილისა, ქორიანიკონსა საძას სამოცდაათხუთ-

²⁴ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება (წიგნში: „ძველი ქართული საისტორიო მწეულობა“, 1945, გვ. 380—404).

²⁵ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 120. სქოლიო 1.

მეტა“, წყდება: „აივსებოდა ნილოსი და იე[ფობდა ეგჰტე]“³⁶. მისი ნაკლები ნაწილია აღდგენა სცადა ი. ჯავახიშვილმა. მან მარიამისეული, ქალაშვილისეული და ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების შედარებისას შენიჰნა, რომ ცნობები თამარის ნიერ მოწვეული საეკლესიო კრებისა და მიჰეელ კათალიკოსის მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ცნობაც, რომელნიც არ მოეპოვება „აზნათა“ ტექსტს, შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ყოფილა ქალაშვილისეული ნუსხით შემონახული „ისტორიიდან“. ამ დაკვირვებამ მას საშუალება მისცა ეცადნა ახალი საისტორიო ძეგლის დაკარგული ნაწილის აღდგენა. ამისათვის ი. ჯავახიშვილმა შევსებული „ქართლის ცხოვრების“ თამარის მეფობის მომთხრობელი ტექსტი შეუდარა „აზნათა“ ტექსტს და, რაც ამ უკანასკნელთან შედარებით შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ზედმეტი აღმოჩნდა, ის მეორე ისტორიკოსის თხზულების გავრძელებად სცნო. შემდეგ მან ეს ზედმეტი ნაწილები შეაერთა, ერთმანეთს გადააბა და მით შეავსო ქალაშვილისეულ ნუსხაში დაცული „თამარის ისტორიის“ ბოლონაკლები ტექსტი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, უწოდა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“³⁷, რადგანაც მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას“ არ მოეპოვება შემოგანხილული „ბოლოსიტყვა“, რომელსაც ანტონი რუსთაველს მიაწერს, ი. ჯავახიშვილმა ის სცნო თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების დასასრულად. მაშინ ი. ჯავახიშვილმა არ იცოდა ანტონის ცნობის შინაარსი და ვერც წარმოიდგენდა, რომ შეიძლება „ბოლოსიტყვა“ რუსთაველის კალამს ეკუთვნოდეს. ამიტომ მკვლევარი მეორე ისტორიკოსის ვინაობას ტექსტის სხვა მონაცემებით არკვევდა. ერთ აღვილს თხზულებაში აღნიშნულია: როდესაც ქართველთა ლაშქარი გაემზადა რუქნადინის წინააღმდეგ საბრძოლველად, თამარმა ბრძანება გასცა, რათა ყოველი მებრძოლი მოვიდეს „წინაშე წმიდასა ჯუარსა“, ემთხვიოს და თაყვანისცეს. ბრძანება შესრულდა: „იწყეს მოსლვად ყოველთა, და ამბორის-ყოფად, და ვგრეთვე შემთხუვეად ქელისა თამარისსა“. შემდეგ იქვე ნათქვამია:

³⁶ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 115—131.

³⁷ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 393—395. მეორე ისტორიკოსის თხზულება, აღდგენილი ი. ჯავახიშვილის მიერ. გამოაქვეყნეს ნ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ 1944 წელს სათაურით: „ბასილი ეხოპოდოლური—ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა“ (IV + 41 გვ.); მეორედ გამოსცა ს. ყაუჩიშვილმა (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 115—150),

მაშინ „ერთითა კელითა თვთ მას [თამარს] ეპყრა ძელი ჯუარისა, ხოლო ერთითა—ეზოს-მოძღუარსა ბასილს და ჯუარის-მტკრთუელსა“³⁸. იმოწმებს რა ამ ციტატას ი. ჯავახიშვილი, ის დიდი სიფრთხილით წერს: „რაკი აქ ასეთი უნჩინებელი რამის გამო ეზოს-მოძღვარი ბასილი არის დასახელებული, ჰიპოთეზის მსგავსად, ან საკიოხად შეიძლება წამოყენებულ იყოს—ეს გარემოება ბასილი ეზოსმოძღვრის ავტორობის მომასწავებელი ხომ არ არის?“³⁹. ამ „ჰიპოთეზის მსგავსად“ თუ საკითხის დასმის წესით გამოთქმულ მოსაზრებას პირველად გამოეხმაურა ს. კაქაბაძე: თამარის ეს ისტორიისი „უნდა ყოფილიყო სასულიერო პირი, დაასლოვენებული ანტონ ჭყონდიდელთან, როგელსაც ის ქებით იხსენიებს, და ადვილი შესაძლებელია ის მართლაც იყო ბასილი ეზოსმოძღვარი, როგორც ამას ჰიპოთეტურად დასაშვებად სთელის პროფ. ი. ჯავახიშვილი“⁴⁰. შემდეგში ეს მოსაზრება ისტორიკოსთა მიერ საყოველთაოდ გაზიარებულ იქნა. ი. ჯავახიშვილის აღდგენილი ტექსტი ქართულად და რუსულად ბასილის ავტორობით გამოქვეყნდა კიდევ⁴¹. მოსალოდნელი იყო, რომ ს. ყაუხჩიშვილი „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომის შესავალ ნარკვევში საგანგებოდ და ვრცლად განიხილავდა ზეორე ისტორიკოსის ვინაობის საკითხს, მაგრამ მან მას მხოლოდ ერთი აბზაცი დაუთმო: „ივ. ჯავახიშვილმა განოარკვია, რომ თამარის მეორე ისტორიის ავტორად შეიძლება მივიჩნიოთ ბასილი ეზოსმოძღვარი, რომელიც თვით ამ «ისტორიაში» იხსენიება“. ცოტა ქვემოთ ის კვლავ დაუბრუნდა ბასილის საკითხს და დაასკვნა: „ი. ჯავახიშვილის ეს დებულება ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საზოგადოდ გაზიარებულია როგორც სამუშაო ჰიპოთეზი და თამარის მეორე ისტორიკოსს ვიხსენიებთ ხოლმე ბასილი ეზოსმოძღვრის სახელით“⁴². რასაკვირველია, ი. ჯავახიშვილის მოსაზრება ბასილის ავტორობის შესახებ მხოლოდ ვარაუდია და წარმოადგენს სამუშაო ჰიპოთეზს, მაგრამ განა ეს უფლე-

³⁸ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 136.

³⁹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 398.

⁴⁰ საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 291; შტრ. ს. ჯანაშია, შრომები, III, 1959, გვ. 150.

⁴¹ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, 1944, IV+41 გვ.; В. Д он д у а Б а с и л и, историк царицы Тамары (Памятники эпохи Ш. Руставели, 1938, გვ. 33—76).

⁴² ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 015 და 021.

ბას გვაძლევს თხზულება ბასილის სახელით გამოვაქვეყნოთ? ამ შე-
მთხვევაში მეცნიერულ კეშპარიტებას სძლია ი. ჯავახიშვილის,
როგორც დიდი ისტორიკოსის, ავტორიტეტმა, როდესაც არათუ
ჰიპოთეზად, არამედ „ჰიპოთეზის მსგავსად“ გამოთქმული ვარაუდი
ზოგიერთმა მკვლევარმა გამორკვეულ მოსაზრებად გამოაცხადა.
მართებულად მიგვაჩნია კ. კეკელიძის შეხედულება, რომ ი. ჯავა-
ხიშვილის მიერ მითითებული ადგილი თხზულების ავტორობის სა-
კითხს ბასილის სასარგებლოდ ვერ გადაწყვეტს⁴¹. კონტექსტის მი-
ხედვით, ავტორს თავისი თვლით უნახავს, რომ ძელის ჯვარი,
რომლის სამთხვევად იდიოლენენ ქართველი მეომარნი, ერთი ხე-
ლით ეპყრა თამარს, ერთი ხელითაც—ბასილი ეზოსმოდღვარს. აქე-
დან ირკვევა ნხოლოდ ერთი რამ: თხზულების ავტორი სხვა პირია,
ბასილი კი—სხვა. რომ ამ სიტყვებს ბასილი წერდეს, მაშინ ის იტ-
ყოდა: ჯვარი ერთი ხელით თამარს ეპირა, ერთი ხელითაც მე—
ბასილი ეზოსმოდღვარსო. ასე რომ, ჯერჯერობით არ გვაქვს საბუ-
თი ნეორე ისტორიკოსად ბასილი ზივიჩნიოთ. ამგვარ ვითარებაში
საჭიროა ძეგლის ნამდვილი ავტორის მისაგნებად სხვა გზის გამო-
ნახვა.

1938 წელს ნეორე ისტორიკოსის ვინაობის დადგენას შეე-
ცადა ი. აბულაძე. როგორც აღვნიშნეთ, მან რუსთაველის სახელით
ცნობილი ციტატა „არა მოაკლდა შთაზიდვასა შინა“ აღმოაჩინა
„თამარის ცხოვრების“ ვახტანგიჯგული ტექსტის „ბოლოსიტყვაში“,
რომელიც ი. ჯავახიშვილმა მეორე ისტორიკოსის თხზულების და-
სასრულად მიიწინა. ამის ნისეღვით ი. აბულაძემ დაასკვნა: ანტონ-
ის ცნობიდან „გამოდის, რომ შოთა რუსთაველია თამარის ე. წ.
ნეორე ისტორიკოსის ავტორიო“⁴².

ი. აბულაძეს თანამოაზრენი არ გამოუჩნდნენ დიდხანს. იმის
მოსაზრება მაილოდ ამ ბოლო დროს გაიზიარა ს. კაკაბაძემ. ის-
ტორიკოსი წერს: შოთას „დაწერილია თამარის ე. წ. მეორე ნა-
ტიანე (ცნობა ამის შესახებ XV. II საუკუნე-ი ძველი ხელნაწერე-
ბიდან ჰქონდა კათალიკონ ანტონ I-ა)“⁴³. კითხვა იბადება: არის

⁴¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1938, გვ. 126, 276—278.

⁴² ენიხის ნოაბე, III, 1938, გვ. 206—207.

⁴³ ს. კაკაბაძე, რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის დათარიღე-
ბის შესახებ (ლიტერატურული გახეთა, 1931, № 1); შტრ. თისივე, შოთა რუს-
თელის ბიოგრაფიიდან (საბჭოთა ბელოვენა, 1961, № 1, გვ. 42).

თუ არა შოთა მეორე ისტორიის ავტორი?—არა! საქმე იმაშია, რომ ამ „ისტორიას“ გენიოსი პოეტის ხელი არ ეტყობა, უკეთ: მასში რუსთველური სული არ არის ჩადგმული, არ იგრძნობა ქართული სიტყვის დიდოსტატის მაჯისცემა.

ი. ჯავახიშვილმა დამაჯერებლად ცხადყო, თუ მეორე ისტორიკოსი რა საკითხებითაა დაინტერესებული, რა განათლება აქვს და რა წყაროებზე მიუწვდება ხელი. იგი წერს: ისტორიკოსი „სალომარი მოქმედების მიმდინარეობას არ გვისურათებს“, რადგანაც ის „სანხედრო მოქმედების დამსწრე და თვითმხილველი არ უნდა ყოფილიყო... არც სამეფო დარბაზობის აღწერით ყოფილა დაინტერესებული... (მას) არც ერთი დარბაზობა, თვით მნიშვნელოვანი, საზეინოც კი, არა აქვს დასურათებული... უტყვევლია იგი არც მმართველთა უმაღლეს წრეს უნდა ჰკუთვნებოდა“. უფრო „ანტონი მწიგნობართ-უხუცესის კუონდიდლისა და ვაზირთა უპირველესის მომხრეთაგანი“ ჩანს. მართალია, ის დახელოვნებული მწერალია, საღმრთო წერილთა ცოდნაც აქვს და ზოგჯერ ძველ სახელმწიფო მოღვაწეებსაც იხსენიებს, მაგრამ პირველ ისტორიკოსთან შედარებით შესაძინეგია, რომ „მსოფლიო ისტორიითგან მოყვანილი შედარებანი ჩვენს ისტორიკოსს ცეტა ნიააქვს და არც ერთხელ, რაც ფრიად დამახასიათებელი და საგულსსმოა, სპარსულ-არაბული მხატვრული მწერლობისგან ამოღებული მაგალითები ჩას მთელს თხულებასი არ მოგპოვება... ის უმთავრესად საღმრთო წერილსა და ბერძულ ჟამთააღმწერლობის ძეგლებში ნაკითხ ადანიანად გვეჩვენება და მაჰმადიანური მხატვრული თუ საისტორიო მწერლობის ნაკითხობა არ ემიწევა“⁴⁶. ცხადია, ასეთი განათლების, მიხანსწრაფვისა და ინტერესის მწერალი წყუძღვდელია იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. პირობით, რუსთველი მეორე ისტორიკოსთან შედარებით ყველაფრით ანტიპოდი. მან წინებულად იცის სამეფო კარის ცხოვრება, წესები და დიდმოხელეთა უფლება-მოვალეობანი, სანხედრო ხელოვნება და საგნობო-საჟალაგნო ადათები. „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ბრძოლის ეპიზოდები და საზეიმო დარბაზობანი მოწმობენ, რომ პოეტი სანხედრო ლაშქრობების მონაწილე და დიდი ბრძოლების თვითმხილველი უნდა ყოფილიყო, რომ ის საზეიმო დარბაზობებზე მოწყობილ აოცრთა ტურნირების ერთ-ერთი მონაწილეც იქნებოდა. ამავე დროს მან ზედმიწევნით იცის

⁴⁶ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. 1945. გვ. 397—393.

ძველი ქართული მწერლობა, ღვთისმეტყველება, ბერძნულ-ქრისტიანული და სპარსულ-მაჰმადიანური მხატვრული, საისტორიო და ფილოსოფიური მწერლობა. ერთი სიტყვით, რუსთაველი დგას თავისი დროის მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების მაღალ დონეზე და ყოველივე ამის თქმის საფუძველს გვაძლევს „ვეფხისტყაოსანი“. რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, რომელსაც ი. ჯავახიშვილი ბასილი ეზოსმოდგვარს მიაწერს, რუსთაველის დაწერილი იყოს, განა მასში არ გამოჩნდებოდა ის უბადლო ნიჭი, ცოდნა, ქართული სიტყვის დიდოსტატობა და შემოქმედებითი პოეტურობა, რომელიც იგონება „ვეფხისტყაოსანში“? როგორც თვით თამარის ისტორიკოსები ამბობენ, „ლომი ბრქალთაგან საცნაურ არს“, ხოლო „ხე ნაყოფისაგან და ნაყოფი ხისაგან“. კ. კეკელიძე უდავოდ მართალია, როდესაც ის პრინციპულად უარყოფს ი. აბულაძის მოსაზრებას მეორე ისტორიკოსისა და რუსთაველის იგივეობის შესახებ⁴⁷. ძლიერ საეჭვოა, რუსთაველი იყოს ბასილის სახელით გამოქვეყნებული თხზულების ავტორი. ი. აბულაძე ეყრდნობა ერთ „ყველაზე მეტად საგულისხმო“ გარემოებას, რომ რუსთაველის საისტორიო თხზულების „ბოლოსიტყვა“ ი. ჯავახიშვილმა თამარის მეორე ისტორიკოსს მიაკუთვნა. რომ ეს „ბოლოსიტყვა“ ნამდვილად მეორე ისტორიკოსის თხზულების დასასრული იყოს, მაშინ, როგორც კ. კეკელიძე წერს, ანტონის ცნობა რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ მართლაც რაღაც გაუგებრობა იქნებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, რომლის დასაწყისი ქალაქშილისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხას შემოუნახავს, როგორ ბოლოვდება, არ ვიცით და, თუ დღეს რუსთაველის თხზულების „ბოლოსიტყვა“ გამოქვეყნებულია ბასილის სახელით, ვფიქრობთ, ეს შეცდომაა და, როგორც მოგეხსენებათ, ყოველი შეცდომა გასწორებას მოითხოვს.

* * *

უკანასკნელ დრომდე თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების შედგენილობა დავას არ იწვევდა. ის ტექსტოლოგიური დაკვირვებანი, რომელნიც მოგვცა ი. ჯავახიშვილმა ამ ისტორიკოსის ნაწარმოების დაკარგული ნაწილის აღსადგენად, გამომდინარეობდა.

⁴⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 126—127, 276.

„თამარ მეფის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის, „ისტორიათა და აზმათა“ და მეორე „ისტორიის“ დასაწყისი ნაწილის კრიტიკული შესწავლიდან. ამიტომ სხვა მკვლევართ მათ სისწორეში ეჭვი არ ეპარებოდათ. მხოლოდ 1959 წლიდან, როდესაც ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა ორივე ისტორიკოსის ტექსტები გარკვეულ ვითა და ვარიანტებით⁴⁸, კელავ ძლიერი სინწყავით წამოიჭრა საკითხი ე. წ. ბასილის თხზულების შედგენილობის შესახებ. ს. ყაუხჩიშვილმა „აზმანი“ და მეორე ისტორიკოსის „ცხოვრება“ შეუდარა შეესებულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს და დაადგინა შემდეგი: „სწავლულ კაცებს“ აულიათ თანარის ორივე ისტორია და მათი შერევით გაუკეთებიათ შეესებული ისტორია, როგორც ეს ცნობილი იყო აქამდეც. თუ მათ შეესების დროს „აზმათა“ ტექსტში რაიმე ნაწილი არ მოსწონებიათ, ის გამოუტოვებიათ და მის ნაცვლად დაკლებული ადგილი შეუვსიათ მეორე ისტორიის ტექსტით ან პირიქით: მეორიდან უარყოფილი ნაწილი შეუტყლიათ „აზმათა“ რომელიმე შესატყვისი ნაწილით. ამის ნიხედვით სავარაუდებელი იყო, რომ მეორე ისტორიის ბოლო ნაწილი აღდგენილიყო იმგვარად, როგორც ის აღადგინა ი. ჯავახიშვილი, თუკი დადასტურდებოდა, რომ შეესებულ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული თანარის მეფობის მოახრობა წარმოადგენს ორივე ისტორიკოსის თხზულებათა შექანჯურ ნაერთს, ნაგრამ სამივე ძეგლის შედარებისას ცხადი გახდა რი საყურადღებო რამ: 1. „სწავლულ კაცთა“ ნიერ შეეშავებულ რედაქციას ზოგან აკლია „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის ნაწილი, ზოგანაც მეორე ისტორიკოსის თხზულების ნაწილი; 2. „ზოგჯერ ის უფრო მეტია, ვიდრე ორივე ისტორიის ტექსტთა ჯამი. ეს ნამატი ორგვარი ჩანს: ა) სწავლულ კაცთა ნიერ რედაქციული სწორების დროს ჩართული სიტყვები ან გამოთქმები... და ბ) სხვა წყაროდან (თუ წყაროდან) მოტანილი ტექსტი“. ამის შედეგად ს. ყაუხჩიშვილმა დაასკვნა: ი. ჯავახიშვილის მიერ „თამარ მეფის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციიდან „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის გამოკლების გზით მიღებული ნაშთი არ იქნება მეორე ისტორიკოსის „ხალასი ტექსტი“, რადგანაც „მას შეიძლება რაიმე აკლდეს სწავლულ კაცთა რედაქციული სწორების წყალობით“, ანდა პირიქით: მასში „მცირე ნაწილი შეიძლება იყოს სხვა წყაროდან მომდინარე“⁴⁹.

⁴⁸ ქართლის ცხოვრება, II, 1959. გვ. 015—019, 1—150.

⁴⁹ იქვე, გვ. 016—019.

ს. ყაუხჩიშვილის დასკვნებს ამბავებს არა ნარტო ის რედაქციული სავაობა, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომის სქოლიოებშია მოქცეული, არამედ ისიც, რომ საეპგოა ზემოგანხილული „ბოლოსიტყვა“ თანაზის მეორე ისტორიის დაბოლოებას წარმოადგენდეს. როგორც აღვნიშნეთ, „ბოლოსიტყვა“ რუსთაველის საისტორიო თხზულების დასასრულია, მეორე ისტორიკოსი კი არ არის რუსთაველი, არამედ ის ჯერჯერობით უცნობ საეკლესიო მოღვაწედ მოიხანს. თავისთავად ეს დებულება საქმარისი იქნებოდა, რომ „ბოლოსიტყვა“ მეორე ისტორიკოსის თხზულებისაგან ჩამოგვეცილებინა, მაგრამ ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად აქ ყურადღებას გავამახვილებთ ერთ საკითხზეც, სახელდობრ იმაზე, თუ როდისაა დაწერილი თამარის მეორე ისტორია. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მეორე ისტორიკოსი თამარის ნეკონის მოქმედება, ხოლო თხზულება დაწერილია 1210—1213 წლებში. ამის წინამძღვრებად მკვლევარი იმოწმებს რამოდენიმე ავტორს:

1. ტექსტში ნათქვამია: თუ ვინმეს თამარის მეტობის მოთხრობა დაუჯერებლად მოეჩვენოს, „ცნას ერაყამდის ქვემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარღამდის“ და მაშინ დარწმუნდება ჩემი ნაშრომის სინართლეში. ამის მიხედვით ირკვევია, — წერს ი. ჯავახიშვილი, — რომ მეორე ისტორიკოსს „თხზულების პირველი, 1184—1195 წწ. ამბების შემცველი ნაწილი იმ დროს დაუწერია, როდესაც საქართველოს ჯარს ჩრდილოეთი სპარსეთი უკვე დაპყრობილი ჰქონდა და საქართველოს სახელმწიფოს ყმად ნაჰიცად იყო ქცეული, ე. ი. თამარის მეტობის უკანასკნელ წლებში და მაინცდამაინც 1210 წელს, ან ამის შემდგომ ასლო ხანებში“.

2. ავტორის „თანამედროვეობა მისი თხზულების უკანასკნელ ნაწილშიც ნათლად ჩანს და თვით მასაც აქვს ორგან ეს გარეშობა აღნიშნული“. თამარის გარდაცვალებით დამწყობებული მემორტიანე წერს: „ესრეთ გვანდა, დაღათუ ჩუენ თანა იგლოვს ცა და ყოველი სოფელი“, ან: თამარის საქმენი „კიღით კიღემდე განისმნეს, ვითარცა თვთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული სიტყუსაებრ ბრძინსა“. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ თხზულების დასასრულსაც, სადაც ძლიერი შთაბეჭდილებითაა აღწერილი თამარის გარდაცვალების გამო ახლად დამტყდარი უბედურება, „მაშინ თავისთავად დაგვებადება დასკვნა, რომ იგი თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს დამთავრებული. ამრიგად, — დაასკვნის

ო. ჯავახიშვილი, — თამარის მეორე ისტორიკოსის მთელი შრომა 1210—1213 წლებში უნდა იყოს დაწერილი“⁵⁰.

ი. ჯავახიშვილის დათარიღება უარყო კ. კეკელიძემ. მეორე ისტორიკოსი თხზულების დასაწყისში წერს: „საქმობისას თამარი იზრდებოდა მამიდა რუსუდანთან „დიდურთ თვისით, რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად, რომლისათვის აწ დანიკლესს წინამდებარე ესე ნიხრობად. თუ რაოდენ შეუნიგებდა და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა, ვიკადროთ რამე, რამეთუ ოთხმოციას წელიწდისა დღეთაჲნი შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული“⁵¹. აქედან ცხადი ხდება, რომ ისტორიკოსს თავისი თხზულება დაუწერია იმის შემდეგ, როცა თამარის დაი რუსუდანი 80 წლისა გამხდარა. როგორც კ. კეკელიძე ამბობს, „საუ ვეფარაუქმს, რომ რუსუდანი იყო უფროსი შვილი გიორგისა და დეიდადა არა უგვიანეს 1156 წლისა“, მაშინ თამარის მეორე ისტორია 1213 (1156+80) წლამდე ვერ დაიწერებოდა, ხოლო, თუ რუსუდანი იყო თამარზე უმცროსი, მაშინ მეორე ისტორიის დაწერის არაუადრესი თარიღი კიდევ აქეთ გადაშიწვება⁵². ი. ჯავახიშვილის მიერ თხზულების დასათარიღებლად მითითებული წინამდებარეები ვერ არყვევენ კ. კეკელიძის დათარიღებას. ისინი ადასტურებენ ნაოლოდ იმას, რომ მეორე ისტორიკოსი თამარის მეფობის (უკვე სწორად, მისი მეფობის მეორე აერიოდის) მამსწრე ყოვილა⁵³. ამიტომაც მან

⁵⁰ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 396—397. ს. კაკაბაძის აზრით, ეს ძველი დაწერილია „დაახლოებით 1207—1210 წლებში“ (საისტორიო ნოახე. I. 1924, გვ. 29.).

⁵¹ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 113; შკა. დამოწმებული ციტატის რუსული თარგმანი (Памятники эпохи Русавелии, II, 1938, გვ. 39—42). თამარის დასა და რუსუდანის შეახებ ია. გ. დონდუკის ნარკვევი „თამარ ცეის და რუსუდანი“ (ენიისი მოამბე, V—VI, 1947, გვ. 321—323); აგრეთვე, ისტორიანი და ახსანი, კ. კეკელიძის რედ., 1941, გვ. 32—33.

⁵² კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 4. სწავლილი I; მისივე, „ისტორიანი და ახმანი შარავანდელთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო (ოფისთავლის კრებული, 1938, გვ. 134. სქოლიო); მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1953, გვ. 276—277.

⁵³ ს. კაკაბაძე მეორე ისტორიის დაწერის არა-უადრეს თარიღად ახსებებს 1218 წელს. რადგანაც თამარის დაი რუსუდანი 80 წლის ასაკში მყოფი დაახლოებით ამ წელს გარდაკვილილა (საბ. ხელოვნება, 1961, № 1, გვ. 42). მაშინ, რუსუდანის დაბადების უგვიანეს თარიღად უნდა დავდეთ 1138 წელი. ამ დროს კი გიორგი მეორე (თალოია და რუსუდანი ძამა) მცირეწლოვანი უნდა ყოვილიყო. ამასთან ვიცით, ორს როცა გიორგი გაიფუდა (1138 წ.), მაშინ ის უშე-

1184—1195 წლების ამბები პირველ ისტორიკოსთან შედარებით ნაკლებად იცის. ფრაზა „ესრეთ გუანდა, დალათუ ჩუენ თანა ივლოვს ცა და ყოველი სოდელი“ ნათქვამი ჩანს იმ პირის მიერ, რომელიც წიგნწიგნით თანაშის გარდაცვალების გამო გამოწვეულ საყოველთაო გლოვას, მაგრამ ეს არ მიუთითებს იმას, თითქოს თხზულება ისტორიკოსმა გლოვას დამთავრების უმაღლეს დაწერა. ასეთი შინაარსის ფრაზა ისტორიკოსს შეეძლო დაეწერა თანაშის გარდაცვალების უმაღლეს და 30 ან მეტი წლის შემდეგაც. რაც შეეხება მეორე ფრაზას „თუ მოწინა არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული სიტყუკსაებრ ბრძნისა“, იგი რუსთაველის საისტორიო თხზულების „ბოლოსიტყუაჲნი“ მოთავსებული და თანაშის მეორე ისტორიის დასათარიღებლად არ გამოდგება. რაკი ეს ისტორიკოსი თანაშის მეფობის ბოლო წლების რომსწრე ყოფილა და მას 1205 წელს უნახავს, რომ ძელის ჯვარი, რომლის სამთხვევად მეომარნი მიდიოდნენ, ერთი ხელით თამარ მეფეს ეჭირა და მეორეთი კი—ბასილი ეზოსმოდღვარს, ხოლო ის აგრეთვე შესწრებია იმ ხანასაც, როდესაც თანაშის დაი რუსუდანი 80 წლის გამხდარა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე ისტორიკოსი მოხუცებულობის ასაკამდე მაინც იქნებოდა მიღწეული. ასე რომ, თანაშის მეორე ისტორიის დაწერის უგვიანესი თარიღი შესაძლებელია განისაზღვროს 1250 წლით, ხოლო თუ მის დაწერას დაედებთ თანაშის შვილის რუსუდანის სიცოცხლეში. მაშინ აღნიშნული თხზულების დაწერის თარიღად ყველაზე სარწმუნო იქნება 1236.—1245 წლები.

ლო იყო. თანაში მისი პირნო შეილია (შავთელი მას უწოდებს „სიბრძნის ზღვასა თანარ პირნოსა“). ს. კაკაბაძის ცნობით. „რუსუდანი იყო თარიღი მამის უკანონო ასული“ (იქვე, გვ. 42), მაგრამ საისტორიო წყაროებში ანისი წერილობითი მითითება არა ჩანს. თუ ეს რუსუდანი „იყო ვინმე ერთი ხარკთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა“ (ანბ., გვ. 44), რომელიც 1187—1188 წლებში ცოლად შერთეს თანაშის სელის შეძინებულ მტრუფრადინს, მაშინ ს. კაკაბაძის მოსაზრება მისაღებია: რუსუდანი გიორგი მეფის უკანონო შვილად უნდა ვცნოთ, მაგრამ გათხოვების-ქანს ისიც თანაშისავეთ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. დაუჯერებელია ჰებრე მტრუფრადინს საქართველოდან ცოლად წაეყვანა 50 წლის (1188—1138=50) დედაკაცი. რაკი ლაშა დროინდელი ნემატიანე ამბობს „რუსუდანი დედოფალი იყო“, ეს გარემოება ხომ არ გვიკარანაუბებს ამ ნემატიანის თხზულების დაწერის თარიღის გადასინჯვას? ანის საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ მატიაზეში თანაშის, დავით სოსლანისა და ლაშა გიორგის გარდაცვალების თარიღები აღრეულია.

ახლა რაკი ვიცით, რომ თამარის მეორე ისტორია ვერ დაიწერებოდა 1236 წელზე ადრე, შეიძლება თუ არა „ბოლოსიტყვა“ რომელიც დაწერილია 1213—1223 წლებში, თამარის მეორე ისტორიის დაბოლოებად მივიჩნიოთ? თუ ამ კითხვას პასუხს დადებითად გავცემთ, მაშინ აუხსნელი დაგვჩნდება კითხვა: როგორ მოხდა რომ მეორე ისტორიკოსმა თავისი თხზულების „ბოლოსიტყვა“ დაწერა 1213—1223 წლებში, მთელი ტექსტი კი—1236—1245 წლებში? საპირისპირო ანბანთან რომ გვექონდეს საგნე, ე. ი. თხზულება ადრე იყოს დაწერილი, ბოლოსიტყვა კი ძველდგ, ეს უჩვეულო არ იქნებოდა, მაგრამ ჯერ ბოლოსიტყვა დაიწეროს და ერთი ან ორი ათეული წლის შემდეგ—თხზულების ტექსტი, ვეტიკრებთ, ასეთ მოვლენას არც ერთ ძველი წინადათის, ავთოგრაფისა თუ ისტორიკოსის შემოკრებილობითი პროცესის ისტორია არ იცნობს. თხზულების დასაწყის-დასასრულის ქრონოლოგიური შეუსაბამობა გვაძლევს დამატებით საბუთს იმისას, რომ დავასკვნათ: „ბოლოსიტყვა“ არ არის მეორე ისტორიკოსის თხზულების დაბოლოება, როგორც ეს მიჩნეულია თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში. ის შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია იმ საისტორიო თხზულებიდან, რომელიც ანტიონის ცნობით რუსთაველს მიეწერებოდა. თამარის მეორე ისტორიამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ფრაგმენტების სახით: მას აკლია შესავალი, ტექსტის მეორე ნაწილის ცალკეული ადგილები და დასასრული, რომელშიც შეიძლება მოთხრობილი ყოფილიყო ლაშა-გიორგისა და რუსუდან დედოფლის მეფობის ამბებიც.

* * *

ს. ყაუხჩიშვილი წერს: თამარის მეორე ისტორიის იმ ნაწილში, რომელიც ი. ჯავახიშვილმა აღადგინა შევსებული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „მცირე ნაწილი შეიძლება იყოს სხვა წყაროდან მომდინარე“. ეს მოსაზრება დაადასტურა მეორე ისტორიის ტექსტის კრიტიკულმა შესწავლამ. გამოიჩინა, რომ „ბოლოსიტყვა“ ამ ისტორიაში სხვა საისტორიო წყაროდანაა შეტანილი. კითხვა იბადება: ეს „სხვა წყარო“ ხომ არ არის ჩვენამდე არმოღწეული ე. წ. თამარის წესამე ისტორია, რომელიც შესაძლებელია ანტონისათვის რუსთაველის სახელით იყო ცნობილი? შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული თამარის მეფობის მომთხრობელი

ტეგსტთან „ისტორიათა და აზნათა“ და ჰალაშვილისეულ ხელნაწიშინ დატული „თამარის ცხოვრების“ (ე. ი. მეორე ისტორიკოსის თხზულების უდავო ნაწილის) შედარებიდან ვრწმუნდებით, რომ „სწავლულ კაცებს“ ძირითად წყაროებად აღებული ჰქონიათ მხოლოდ თამარის ნეკროლის მომხრობელი ორი ისტორიული ძეგლი— „ისტორიანი და აზნანი“ და მეორე ისტორიკოსის თხზულება, რომელთა ურთიერთშერწყმის დროს მათ აქა-იქ ჩაურთავთ სხვადასხვა საისტორიო დოკუმენტებიდან ამოღებული პატარა-პატარა ცნობები ამა თუ იმ ისტორიული პირის ან აზნის შესახებ ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის უკვეთ გაგების ნიშნით თუ შესავსებად. ამა ერთი შემთხვევა იმისაც, რომ მათ მეტაფრასტების მსგავსად თხოვნა გატუტკიათ თეოლოგიური ნსჯელობით (როგორცაა მაგ. ჩანართი „და ესრეთ... განგებანი“) ⁵⁴, რომელიც არადერს ჰნატებს თამარის შეფობის მომხრობელ ისტორიას. ს. ყაუხნიშვილმა შენიშნა, რომ „სწავლულ კაცებს“ ერთ-ერთ „სხვა წყაროდ“ გამოყენებული აქვთ ლაშა გიორგის დროინდელი მატიაზე, რომელიც თავისი მიზანდასახულებითა და ხასიათით უფრო სვინაქსარულ საკითხავს წარმოადგენს, ვიდრე საისტორიო მატიაზე ⁵⁵. ასევე სხვა წყაროდანაა შესული შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ცნობა თამარის ჩანიდის რუსუდანის შესახებ, მაგრამ რაღაც გაუგებრობით ხვარასნის სულტნის ცოლ-ყოფილი რუსუდანი, გაიგივებულია დავით აღმაშენებლის ასულთან, რომელსაც, კ. კეკელიძის გამოკვლევით. აგრეთვე რუსუდანი უნდა ჰრქმევოდა და რომელიც გათხრილ იყო. ოსეთში დავით II ოვსთა მეფეზე ⁵⁶. მას ივე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და ლაშა გიორგის დროინდელი მატიაზე მასალებისა, აგრეთვე თიღვის წარწერის შეერთების გზით უნდა მიღებულიყო ცნობა „თამარ თიღვის აღმაშენებლის“ შესა-

⁵⁴ ქართლის ცხოვრება, I, 1913, გვ. 404—405; შდრ. ს. ყაუხნიშვილის გან., II, 1959, გვ. 28

⁵⁵ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 019, 3 (სქოლიო 2).

⁵⁶ ქართლის ცხოვრება, I, 1913, გვ. 423. კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები (ეტიუდები, IV, 1957, გვ. 4—6). ამ საკითხთან დაკავშირებით საიბტრევა აგრეთვე ანტონ კვთალიკოსის ცნობა, რომელიც მას ანო-უკითხავს „ძველთა შინა მატიაზეთა საქართველომასათა“: თამარ მეფეს ჯნრად შერთეს „ძე ოვსთა მთარისა, სახელით დავით, რომელი იყო მისივე დავითიან-ბაგრატიონისა შთაწმინდობათაგან ესრეთ. რამეთუ: მეფენი ვინმე იყენეს ძმანი ორნი ამისვე სახელომანი, დავითიან-ბაგრატიონანი, შვილთაგან მრავალჯერ მოხსენებულისა ჯორამისთა. პირველსა უკვე ძმასა ეწოდა დიმიტრი და მეორესა გიორგი. დიმიტრი უკვე იყო მეფედ, მაგრამ ძმან გიორგი მიუღო მეფობა.

ხებ⁵⁷. ერთი სიტყვით, „თანარ მეფის ცხოვრების“ შევსებული ტექსტისათვის „სწავლულ კაცებს“ პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებათა გარდა გამოყენებული ჰქონიათ სხვა საისტორიო წყაროებიც, მაგრამ ამ წყაროებს ზორის მათ არ აქვთ გამოყენებული ისეთი ჩვენამდე არ მოღწეული საისტორიო ძეგლი, რომელშიც თანარის ისტორია პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებათა მსგავსად ვრცლად და დაწვრილებით ყოფილიყოს მოთხრობილი. რომ ნათ ხელთ ჰქონდეთ, ასე ეთქვათ, თანარის შესამე საგულებელი ისტორიაც, რომლის ნაწილს შეადგენდეს რუსთაველის „ბოლოსიტყვა“, შეუძლებელია წევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ძეგლის სხვა ფრაგენტებიც არ შემოგვრჩენიდა და, რაკი ამგვარი რამ მასში არ მოიპოვება, არსებული მასალების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ რუსთაველის საისტორიო თხზულებების მთლიანი ტექსტი საბიებელია შევსებული „ქართლის ცხოვრების“ იმ წყაროებში, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს. ასე რომ, უველა ზემოთქმულის შენდგ განსახილველი რჩება მესამე მთავარი საკითხი: რუსთაველის საისტორიო თხზულების „ბოლოსიტყვა“ ხომ არ არის „ისტორიათა და აზნათა“ ტექსტის დასასრული? თავის ნხრივ ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება სხვა საკითხს — როგორია „ისტორიათა და აზნათა“ ტექსტის შეღვენილობა და მოაღწია თუ არა ამ ძეგლზე ჩვენამდე სრულად? განვივილოთ ეს ირივე საკითხიც ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

და ძე უკვე ესეა ერთი ყმა მცირე მეუფეა დიმიტრის. იგიცა მისტაცა ძმამან მისმან გიორგი და მისცა ოესთა მთავარს მხელად. ხოლო მთავარი იგი ოესეთისა იყო უშვილო და მემკვიდრეუ თუსსა შეიწყნარა ყმა იგი. და მაშინ ოესნი და ყაბარდელნი იყუნეს ყოველნი ქრისტიანნი. და ამის ყრმისაგან იშვნეს მრავალნი ოესეთსა შინა. ხოლო შეჰფგომად ამისა მრავალ წელთა მისცა დაჲ თვისი რუსუდან ცოლად მეუემან გიორგი, მამანან თამარი. ამან, მთავარსა ოესთასა ბგარათვანსა. ხოლო ჟამსა სიკაბუქისასა დაქვოიდა ქალი იგი და მოიქცა ძმისავე თვისისა საქართველოდ და მოიყვანა თვისთა თანა ძე მახლისა თვისისა ყომა დავით, ქმარი თამარისი, და აღზარდა იგი. ხოლო გიორგი ასულიცა თვისი თამარ მისცა აღზრდად დასა მას თვისსა რუსუდანა“ (H 1082, ფ. 4v—5r).

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, I, 1913, გვ. 421—422; ს. ყაუხჩიშვილის განმცემა. II, 1959, გვ. 018, 45 (სქოლიო 1); აგრეთვე. I, 1955, გვ. 334, 366; ლ. რჩეული შვილი, თიღვა, 1960, გვ. 38.

4. „ისტორიათა და აზმათა“ შედგენილობა

X—XIII საუკუნეებში და შემდეგშიც გამოჩენილ სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება-მოქალაქეობის მომთხრობელი აგიოგრაფიულ-ისტორიულ თხზულებანი იწერებოდა აგიოგრაფიული მწერლობის მიერ ტრადიციულად შეზღუდული გეგმით. თითოეულ მთავანს ჰქონდა სათაური ანუ „ზედწარწერილი“, სადაც მოხსენიებული იყო ის პირი, ვიზედაც იწერებოდა „ცხოვრება“, და არა იშვიათად აღმწერლის ვინაობაც; შემდეგ—„შესავალი თხრობისა“, რომელშიც მოცემული იყო ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსჯელობანი და თხზულების მიზანდასახულება. ამას მოსდევდა საკუთრივ ცხოვრების ან წამების თხრობა, ხოლო აშშის დამთავრებისას ძეგლს ერთვოდა „დასასრული თხრობისა“, რომელშიც „ცხოვრების“ აღმწერლნი ჩვეულებრივ იძლეოდნენ მთავარი პერსონაჟის ზოგად დახასიათებას და ქრონილოგიურ და ზოგჯერ ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს. ასეთი გეგმითაა შეთხზული „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“, „ცხოვრება გრიგოლ ხანცთელისა“, „ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი“, „ცხოვრება გიორგი ათონელისა“, ასურელ მამათა ცხოვრებანი და სხვა. ამ ნხრივ ქართული საისტორიო მწერლობა განონაკლისს არ წარმოადგენდა. თვით ტერმინი „ცხოვრება“ ძველად ნიშნავდა „ისტორიას“ და ამიტომაც ზოგიერთ საისტორიო თხზულებას ეწოდებოდა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, „ცხოვრება მეფისა თამარისი“ და სხვა, ხოლო საქართველოს ისტორიის თხზულებათა კრებულს— „ქართლის ცხოვრება“. სამოქალაქო ისტორიის აღმწერლები თავიანთ თხზულებებს წერდნენ იმავე გეგმით, რომელიც აგიოგრაფიულმა მწერლობამ შეინუშავა საეკლესიო მოღვაწეების ცხოვრებათა მომთხრობელი ძეგლების შესაქმნელად. შიორს რომ არ წავიდეთ, ამის საუცხოო დადასტურება: წარმოადგენს „ისტორიანი და აზმანი“, რომელიც შეთხზულია იმავე გეგმით, როგორთაც ცნობილია ბასილი ზარზმელის, გიორგი მერაშელის, გიორგი ათონელის, გიორგი ხუცესმონაზონისა და სხვათა აგიოგრაფიული თხზულებანი. სამწუხაროდ, „აზმათა“ ტექსტს აკლია „ზედწარწერილი“, რომელშიც ნიდაივებულ იქნებოდა მისი სათაური და ალბათ „აღმწერლის“ ვინაობაც. ძველი იწყება ვრცელი, ენაწყლიანობით შეთხზული შესავლით. მას უძღვის რიტორული მიმართვა ღვთისადმი: „რომელმან წყლისა მოაბადნი რიტოროთა მძლე ჰყავ ყოველთა, ენა-უტყჳ მეტყუელ ჰყავ ანგელოზთა მთავრისა

შიერ, აწცა განმარტე ენა-ბრგუნილი ისტორიათა და აზმათა მეტყუელებას შინა შარავანდედთასა“ (გვ. 1),⁵⁸ რაც ახალი ქართულით ნიშნავს: „(შენ, ღმერთო,) რომელნაც (უსწავლელ) მებადურებს (ე. ი. ქრისტეს მოწაფეებს) გაამარჯვებინე (ანტიკური ხანის) ყველა (ძველ) მჭევრმეტყველზე (და) მთავარანგელოზის მიერ (ნალამის) პირუტყვი (ვირი) აამეტყველე⁵⁹, ახლაც ენაჩლოუნგს (წმწერალს, ე. ი. „აზმათა“ აღმწერელს) გაუხსოვრე მეტყველება გვირგვინოსანი მეფეებს მოთხრობათა და ქების სათქმელად“. ამ წინადადებას მოსდევს შესავალი, რომელიც იწყება: „ენათგან მისე, მხილველი ღმრთისა“, და მთავრდება: „სახე და სახელი [თამარისი] თუსსა ადგილსა სიტყუაძან საცნაურ ყოს“. ავტორი წუხს, რომ გაკადნიერდა და თამარის ისტორიის წერას მოჰკიდა ხელი. აგი წერს: თანარი იმდენად დიდად საქებელი ნეფეა, რომ მის „მემსხმელად ჯავს ომიროს მგრანაზე იგი“ და არა მე, „ვირ-მეტყუე თქმათა აღმატებულებისა“, მაგრამ რაკი ასეთი რანის დაწერა განვიზრახე, შევეცდები „გარდავსცე ისტორიასა და ვასილოდრაფსა“ ყოველივე ის, რაც მე „ნიხილავს, გინათუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმიან“. ამის შემდეგ ავტორი იწყებს თამარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას. დასაწყისში სიტყვებიდან „მამად იქნა გიორგი, მეუღე-მეფეთა. ძე დიმიტრი მეუხისა“ (გვ. 3) ის ჯერ მოგვითხრობს გიორგი III-ის (1156—1184) მეფობის ისტორიას, შემდეგ მთელი თხრობა ეხება თამარსა და დავით სოსლანს. ძირითადი ტექსტი წყდება თამარის გარდაცვალების მოკლე აღწერით სიტყვებზე „და დაუტევა სამეფო ძესა თუსსა ლაშას“ (გვ. 113). ბოლოს დართული აქვს ორი ლექსი—არსენ იყალთოელის იაზიკო ერთხუთეული „მეფე, მთავარი“ და იოანე ჭიშქიშელის თექვსმეტმარცვლოვანი მთავარი „თუ თალი მილისეველძან“ (გვ. 113—114).

1950 წელს გამოავთქვით მოსაზრება, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ბოლოს მოთავსებული ფრაგმენტი („არსენი: იტყუს: იყავ: ნელი“ და ა. შ.) არ არის თამარ მეფის დასაფლავების დროს წარ-

⁵⁸ ქვემოთ „აზმათა“ ტექსტს ვიმოწმებთ ს. ყაუხჩაშვილის გამოცხადან: ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 1—114

⁵⁹ შტრ. რიტხეთა XXII, 23—30: История и восхваление венециосцев, пер. К. Кекелидзе, 1954, გვ. 93. ამაზე უწინ კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ გამოთქმაში „ენა-უ ზუე მეტყველ ჰუე ანკელაზთა მთავრისა მიერ“ იგულისხმება ერთ-ერთი სერაფიმთაგანი, რომელმაც ნავერტხალი შეიძო ისაია წინასწარმეტყველის ენას და პირში ჩაუდო მას საქადაგებელი სიტყვა“ (რუსთაველის კრებულის, 1938, გვ. 138).

მოთქმული სიტყვების ნაწყვეტები, არამედ ის შეიცავს იყალთოელისა და ქინკინელის ლექსებს. რომელნიც ან „გერმინდელი მინაწერებია, როგორც ანას თ. ჟორდანია ფიქრობს, ან—გემატიანეს მიერ ჩვენთვის გაუგებარი მოსაზრების გამო დამოწმებული ციტატები“⁶⁰. ეს მოსაზრება გაიზიარა ს. ყაუხჩიშვილმა: „ორივე ლექსი,—წერს მკვლევარი,—ნათი წარწერებითურთ თამარის ისტორიის შემცველი ერთ-ერთი ძველი ხელნაწერის ბოლოში მიუწერია გადაწერს და ნათ არაერთადი კავშირი არ უნდა ჰქონდეს თამარის «ისტორიასთან»“ (გვ. 012). თუ ეს ასეა, მაშინ „ისტორიათა და აზმათა“ მარიამისეული ნუსხის დასასრული უნდა ვივარაუდოთ იქ, სადაც წერია ფრაზა „და დაუტევა სამეფო ძესა თქსსა ლაშას“. მართლაც, ასე ფიქრობს დღეს ყველა მკვლევარი, რადგანაც იმ ნუსხებში, რომლებსაც კი „მემოუნახავთ „ისტორიანი და აზმანი“, ძირითადი ტექსტი წყდება აღნიშნულ ფრაზაზე. მაგრამ კითხვა იბადება: შეიძლება თუ არა თამარის პირველ ისტორიკოსს თავისი თხზულება ასე მოსხლეტილი ფრაზით და ბოლოსიტყვის გარეშე დაემთავრებინა? ვფიქრობთ, არ შეიძლება. პირველი ისტორიკოსი საქმეში ჩახედული მწერალია. მან კარგად იცის, თუ როგორ უნდა დაიწეროს „ცხოვრების“ მომთხრობელი თხზულება. რაკი ზან თავის შესხვა-მოთხრობას რიტორიკული ენაწყლიანობით დაწერილი შესავალი წაუმიძღვარა, ბუნებრივია ის ბოლოსიტყვასაც დაწერდა. ისტორიკოსი არ ღალატობს აგიოგრაფიული თხზულების დასაწერად შემუშავებულ გეგმას, პირიქით ის მტკიცედ იცავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც ჩვენი ძველი მწერლობა უყენებდა აგიოგრაფ-ისტორიკოსებს. ცხადია, „აზმათა“ ტექსტს შესავალთან ერთად „თხრობის დასასრულიც“ ექნებოდა. ამ გარემოებას საგანგებო ყურადღება მიაქცია ი. ჯავახიშვილმა და ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს „ბოლო, რასაკვირველია, უნდა შეცვლილი ჰქონდეს და აკლდეს“. მას გასაიკრად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ძველში „თამარ მეფის სიკვდილის აღწერა მეტად ჩკრთალია და მოკლე... ავტორს ასე უცნაურად არ შეეძლო დაებოლოვებინა თავისი თხზულება. ანტიკომ საფიქრებელია, რომ ისტორიის ბოლო შეცვლილი და შემოკლებული

⁶⁰ ლიტერატურა და ხელოვნება, 1950, № 35; შდრ. ი. ლოლაშვილი, ფრაგმენტები და ზოგიერთი არმოდწეული თხზულება კლასიკური ხანის საერო ლატერატურიდან (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XX სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, 1960, გვ. 7—8).

ლი იყო მაშინ, როდესაც იგი ქართლის ცხოვრების კრებულში შეუტანიათ და ზედსაქართველოს შემდეგ-დროინდელი ისტორია მიუდევნებიათ⁶¹. ი. ჯავახიშვილი ამ საგულსხმო მოსაზრებას იზეორებს იქაც, სადაც ის „ქართლის ცხოვრების“ შემდგენის ისტორიას განიხილავს. მკვლევარი აღნიშნავს: „ნესაზე წყებად, ერთგნის და ერთად შეტანილია ქართლის ცხოვრებაში თანარ მეფის ისტორიკოსის თხზულება «ისტორიანი და აზმანი» და მონღოლთა-დროინდელი ქართველი ჟამთააღმწერელის ნაწარმოები... ამას ის თვალსაჩინო გარემოებაც ამტკიცებს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის ნაწარმოებს თავი მთლად აქვს შენახული, ბოლო კი აკლია, ხოლო ჟამთააღმწერელის მათიანეს პირიქით თავი აკლია. უეჭველია ეს იმიტომ უნდა მომხდარიყო, რომ ჟამთააღმწერელის ნაწარმოებს თამარ მეფის ისტორიკოსის მოთხრობის გაგრძელების ხასიათი ჰქონდა. შესაძლებელია ვიფიქროთ კიდევ, რომ ეს ორი თხზულება ქართლის ცხოვრებაში შეტანამდე უკვე შეერთებული ყოფილა, ხოლო შემდეგ იმ სახითვე, როგორც შეერთებული იყო, ქართლის ცხოვრების კრებულში შეუტანიათ⁶². ი. ჯავახიშვილის ეს წინმარტივად სწორი დაკვირვება ბართლდება იმით, რომ საერთოდ „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შემდგენელი ცდილობდნენ მოეცათ საქართველოს უძველესი ისტორია და ამ მიზნით ზოგიერთ თხზულებას, რომელაც ამა თუ იმ ქართველი მეფის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ ტექსტს შეიცავდა, მიეცილებინათ შესავალი და დასასრული, თუ კი ასეთი რამ მას მოეპოვებოდა. თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებებთან ერთად ამის საუცხოო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, რომელსაც აკლია შესავალი და საფიქრებელი დასასრულიც. საყურადღებოა ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულის გამთლიანების მიზნით და იმისათვის, რომ გაბმული თხრობა არ წყვეტილიყო. ვახტანგის „სწავლულ კაცებს“ „ანმათა“ ტექსტიდან შესავალი ამოუღიათ და, როგორც ს. ყაუხჩიშვილმა შენიშნა, მის ნაცვლად შეესებულ რედაქციაში ჩაურთავთ „გიორგი მესამის მოკლე დახასიათება, რომლის უნეტე-

⁶¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 225; დაყოფა ჩემია, ი. ლ.

⁶² იქვე. გვ. 310, დაყოფა ჩემია, ი. ლ.

სი ნაწილი ამოღებულა «ლაშა გიორგის დროინდელი მატრიანი-დან» (გვ. 3, სქოლიო 2). ამრიგად, ეს წანამძღვრები გვიკარნახებენ დავასკვნათ, რომ მარიამისეული „ქართლის ცხოვრებისა“ და მისი ტიპის ნუსხებში დაცული „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი ბოლონაკლულია. თავდაპირველად მივიღა რა ამ დასკვნამდე ი. ჯავახიშვილი, მას დებადა ერთი ბრწყინვალე აზრი, რომელიც სამწუსაროდ მან აღარ განაფიქრებდა. იგი წერდა: „შევსებულს ქართლის ცხოვრებაში თამარის მეფობის ბოლო იმდენად თვალსაჩინოდ განიჩნევა მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრებისაგან და ამასთანავე იმდენად შინაარსიანია, რომ უნებლიედ ორგვარი აზრი იბადება: ან ქართლის ცხოვრების შემავსებელს შეიძლება «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანისა სრული ხელნაწერი ჰქონდა და იქიდან შეავსო მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრების ტექსტი, ან არა და სხვა რაიმე ჩვენთვის უცნობი ძველი წყაროებით უსარგებლნია“⁶⁷. მაგრამ 1923 წელს, როდესაც მან მეორე ისტორიკოსის თხზულების დასაწყისი აღმოაჩინა, შევსებული „ქართლის ცხოვრებიდან“ „ისტორიათა და აზმათა“ გამოკლების გზით მიღებული ნაშთი, რომელიც შეიცავდა აგრეთვე თამარის ავადმყოფობა-გარდაცვალების მომხრობელ ეპიზოდს და ზემოთ განხილულ „ბოლოსიტყვას“, თამარის მეორე ისტორიის ხალას ტექსტად მიიჩნია და რატომღაც გვერდი აუარა იმ გარემოებას, რომ „ისტორიანი და აზმანი“ ბოლონაკლულია და შესაძლებელია სადავო „ბოლოსიტყვა“ ეკუთვნოდეს არა მის მიერ აღმოჩენილ ბოლონაკლულ „ისტორიას“, არამედ პირველი ისტორიკოსის თხზულებას. ჩვენი დაკვირვებით, თუ „ისტორიათა და აზმათა“ მინაწერებს, ე. ი. იყალთოელისა და ჭინჭინელის ლექსებს ამოვიღებთ ტექსტიდან (ამის საფუძველი, რა თქმა უნდა, არსებობს) და ყრაზას „და დაუტევა სამეფო ძესა თუსსა ლაშას“ მივბამთ „ბოლოსიტყვას“ („იცვალა ფერი... დავიდუმოთ“), ჩვენ მივიღებთ „ისტორიათა და აზმათა“ სრულ ტექსტს, რომელსაც „ზედწარწერილს“ გარდა ექნება ყველა ის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც „ცხოვრების“ მომხრობელ ავთოგრაფიულ-ისტორიული ხა-

⁶⁷ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 225; დაყოფა ჩემია, ი. ლ.

სიათის ძეგლებს მოეპოვებათ, ე. ი. მას ექნება: „შესავალი თბრობისა“, საკუთრივ „შეანმა-ღითხრობის“ ძირითადი ტექსტი და „დასასრული თბრობისა“ ანუ ბოლოსიტყვა. საამისოდ საყურადღებო ზონაცემებს იძლევა შევსებული „ქართლის ცხოვრების“ თამარის ჩეფობის ამსახველი ნაწილი და „აზმათა“ ტექსტთან „ბოლოსიტყვის“ შედარება. აი ეს მონაცემებიც:

1. შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ავადმყოფობა ამბავს წინ უძღვის სიტყვისგება ანგელოზისა და ვინმე ბერისა ივბინიანოს მეფის გარდაცვალების შესახებ („ხოლო ვითარ დიდისა... ამის მეფობასა“), რომელიც „ანმათა“ ავტორს თავის თხზულებაში შეუტანია ივლიანე განდგომილის რომანიდან. ამ სიტყვისგებას მოსდევს მეორე ისტორიიდან ამოღებული ვრცელი თბრობა თამარის ავადმყოფობა-გარდაცვალების შესახებ („ნაქარმაგვეს გარდმოდგა მეფე თამარ“...), რომელიც მთავრდება სიტყვებით: „შაშინ უკვე აღმოიყვანეს და მცირეთა შინა ღღეთა მცხეთად დაღვეს, და შერმე უქანასკნელ თვთ მუნვე გელათს დაამკვდრეს თჯსა წინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“. შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ შემსვებელი თბრობას ავრძელებს „ისტორიითა და აზმათა“ ტექსტიდან ამოღებული ფრაზით „დაუტევა სამეფო ონსა თჯსა ლაშას“, ხოლო ამ ფრაზას მიჰყვება ცნობილი „ბოლოსიტყვა“—„იცვალა ფერი... დავიდუმთ“⁶⁴. რაკი გამოიძკვა, რომ „ბოლოსიტყვა“ არ არის თამარის მეორე ისტორიის დასასრული და ამასთანავე ის არ შეიძლება იყოს რომელიმე ჩვენამდე არმოდწეული, თამარის ცხოვრება-მოდეაწეობის მომთბრობელი თხზულების ფრაგმენტი, ცხადია, ტექსტი „იცვალა ფერი... დავიდუმთ“ შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია იმავე საისტორიო თხზულებიდან, რომელსაც ეკუთვნის ფრაზა „და დაუტევა სამეფო ძესა თჯსა ლაშას“.

2. რომ „ბოლოსიტყვა“ დასასრულია „აზმათა“ ტექსტისა, ეს ირკვევა მათი ურთიერთშედარებიდანაც. ორივე ნაწილი ერთმანეთს ემთხვევა შინაარსობლივი და სტილისტური ნიშნებით. ასე მაგ.:

ა. „აზმათა“ ავტორი წერს: „აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმიან,

⁶⁴ ქართლის ცხოვრება, I, 1913, გვ. 485—493. შდრ. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 112—113; 144—146. აქვე იხ. ს. ყუხიძის შენიშენა (გვ. 146. სქოლიო 2).

გარდავსცე ისტორიისა და ვასილოდრაფსა“ (გვ. 3). ასევე „ბოლოსიტყვაში“ ვკითხულობთ: თამარის საქმენი „კიდიო-კიდემდე განისმნეს, ვითარცა თუ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული სიტყვსაებრ ბრძნისა“. ორივე შემთხვევაში ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ ამბის აღმწერი არის თამარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თვითწილველი და თანადაზნდური.

ბ. „აზმათა“ ავტორი თავმდაბალი და მიკრძალეულია. ის თავისთავს უწოდებს „ენა-ბრგვნილს“, „თქმათა აღმატებულების ვერ-მეტყვის“, ამბობს: „ვითარ დავსცე სულამიტისა სახედ აღსაყურსა „ქებასა ქებათასა?““ (გვ. 1.). თამარის „შემსხველად ჭამს ომიროს მერაბამე იგი“ (გვ. 2). მე, „უქმოსა და უგუნებოსა“ მთხრობელს, უმეტრების გამო არ შემიძლია „ველ-ვეყო“ მის „უდიდესთა საქმეთა“ შესატყვის „ლექსთა მეტყუელებად“, რადგანაც ეს საქმენი „ნესთა ძალისა არიან არა ჩემთვის ოდენ, არამედ ვგონებ პირველთა სიტყვს-მოქმედთა“ (გვ. 78), ან კიდევ: „უდიდესნი საქმენი აღმოჩინდეს და გონება ვიწყე უღონობად თხრობისა სიდიდითა საქმეთადაც, დაღათუ არა შესატყვისი არს ჩემდა ამით მოთხრობა. არამედ დიდთა სიტყვს-მოქმედთა პირველთა არს“ (გვ. 92). ნწერლის ასეთივე თავმდაბლობა და მოკრძალება ვლინდება „ბოლოსიტყვაშიც“. ავტორი თავისი თხზულების შესახებ წერს: „დაწყება და აღსასრული ამის [ე. ი. თამარის შესხნა-მოთხრობის] კელ-ყოცისა სრულებით ესრეთ ჩანს, ვითარცა სინძიმესა და პატიოსნებასა თანა ოქროსასა ქარქუეტცსა ნამუსრევი“, ხოლო „ბოლოსიტყვის“ უკანასკნელ აბზაცში ამბობს: „აქა დავგში სიტყვის-წყობა“ იმისთვის, რომ მომავალში სხვებმა ჩემზე უკეთ შესძლონ ქება-დიდების დაწერა თამარისათვის „უმჯობესად შესატყვისი“ და „უადრესისა სიტყვსა პოვნით“.

გ. „აზმათა“ ავტორი ბურღუხანსა და თამარს ადარებს ზეციერ მნათობებს და ამბობს: გიორგი მეფეს მამამისმა მოგვარა „ასული მეფისა ხუდღანისი, სახელით ბურღუხან... თუ დ მზე მზეთა შუენებითა და მომფენობითაცა, ვითარი თქმის, ცოდვილთა და მართალთა ზედა, რომელი ჰყუარობდა მართალთა და სწყალობდა ბრალეულთა“ (გვ. 4). ასევე „აღებანცის ზენასა მნათსა ქუენა მნათი [თამარი], გინათუ შეუენებითა უცხოთა და უსახოთა, გინათუ სიბრძნის-მპყრობელობითა, გინათუ მზეებრ უხუებითა და მომფენობითა მართალთა ზედა და ცოდვილთა ზედა“ (გვ. 28). აქ გამოთქმულია ცნობილი მოსახრება, რომ მზე უხვებით მოეფინება მართალთა და ცოდვილთა (შდრ. „წარდთა და ნებვთა ვინათგან მზე სწორად მოედო-

ნების“). ანალოგიური ფრაზა იკითხება „ბოლოსიტყვაშიც“: „ვითარცა მზე სწორ-პატიობით ყოველთა ზედა გან-
უტეობდა ნათელსა თუსთა შარავეანდედთასა“, ასევე
თამარი „წყალობითა ყოველთაჲთა მოიზიდვიდა წყალობად ღმრთისა“
და ა. შ.

დ. „აზმათა“ ავტორი წერს: „ველით-საქმარი მისი [თამარისი]
განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა აველსაქმრის და მისცის არა
სამეთოდ შემოსავალთაგან“. ან კიდევ: თამარი „იტყოდა, ვითარ-
მედ: «მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა»“ (გვ. 81). ასე-
ვე თამარის ქველმოქმედების შესახებ „ბოლოსიტყვაში“ ნათქვამია:
მეფე „რაჲმს მოიცალის მარტოენით ყოფად, მყის აღილის სას-
თუელი, გინა საკერავი და ნაშრომსა მის თუსთაველთასა ხუცესთა
და გლახაკთა განუყოფნ თუსითა ქელითა“ და მან „არაოდეს გაიე
მიაქცია ველი სათხოველისაგან ქურივთა, ობოლთა და მიძღვარე-
ბულთა“⁶⁵.

ე. „აზმათა“ და „ბოლოსიტყვის“ ტექსტთა ენა ერთნაირია.
ორივეს მოებოვება ძნელად გასაგები და რთული პერიოდული წი-
ნადადებანი, თამარის დადებითად დახასიათებისას უარყოფითი
ნაწილაკების გამეორება, თხრობის მხატვრული აღწერისას ერთი
ძირიდან ნაწარმოებ სიტყვათა წყვილულებით შთაბეჭდილების
გაძლიერება, მხატვრული სედარებების ჭარბად გამოყენება და წი-
ნადადებათა გავრცობა ერთგვაროვანი განმსაზღვრელი სიტყვების
საშუალებით. აი, თითო-ორიღა მაგალითი ორივე ტექსტიდან:

„ისტორიანი და აზმანი“

„ბოლოსიტყვა“

1. აღესილმან საკურავთა და საკურქ-
ლეთა მიერ, აღმსხმელმან კელმწ ფეთა
და დიდებულთამან, აზნაურთა და სო-
ნათამან ძარადის, სამ დღე დამყოფელ-
მან კართა ანიისთა და მ-ურეებელმან
ქალაქისამან და მას შინა დამყენებელ-
მან ამირისამან და ლაშქართა აჭყრელ-
მან პირითა მხარულთა წარმოველ ნა
მხარობელი წინაშე ფილოსოფოსთა და
პატრიარქისა (გვ. 10).

ყრმანი განიწუართნეს მოქაქეაღ
ეჯგროსა უეუჯლოებისა, რა ეთუ ბილ-
წებამან უწესომან და ყრმებრივმან
მბორგალებითმან ბორგნეულობამან
ვერცა თუ კჳალი ჰოვა დღეთა თამა-
რისთა.

2. ვერ შეიტყუა იგი საშუებელმან
ამის საწუთროჲამან, არცა მეუბა-

არა ოღეს მოხეღვრდა ჟამისაგან,
არცა უღებ-იქმნა ოღესცა განგებია-

⁶⁵ ამ შინაარსობლივ დანთხვევას კურადღდება მიაქცია აგრეთვე ს. კაუხ-
ჩიშვილმა (გვ. 147, სქოლიო 1, და 149, სქოლიო 2).

ნან გურგენისა და სკიპტრისამან, არცა ჭუათა პატიოსანთა უხუად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან... არა მიდრკა, ვერცა წარიაპარა სიმდიდრემან (გვ. 79). ქაძთა მისთა არა იყო ზომ-ქლანჯობეღი, არცა მტაძებელი, არცა ზეკობრე და მპარაფი (გვ. 81).

თქს, არაოდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმეთათქს, არა დაუმძიმა კართომასა გონებისასა დამზიდველი რამე ჩუქენებრიფი, არცა სიმდაბლესა მიჩიდა, არცა სიმალლესა განწყენა, არცა სიტკბოება ქამიფრი უთმინო ყო, არცა საშინელება შეურაცხ ყო... ულაფრობა მპარსებლისა განუგმობრელად დაიცვა, რათა მოქცეეასა შინა სიმრგულისასა არა არად ელზად და უცხოად მიდრკეს, არცა გარდაყვეს სავსებელისა დულილსა შინა, არცა მთაკლდა შთახიდვასა შინა საბლისასა...

3. სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებოდა (გვ. 9).

ისურვებდა და სასურველ იყო, იწადებდა და საწადელ იყო, იქებოდა და საქებელ იყო, ნატრიდეს და სანატრელ იყო.

4. გარნა სამართალთათქს რადლა მიქმს თქმა? (გვ. 81), და რალა გრძელ სიტყუა საქმარ არს? (გვ. 1C7) ⁸⁶.

ზოლო საქმეთა მისთათქს რადლა საქმარ არს თქმად?

გ. „აზმათა“ ავტორი ხმარობს ზოგიერთი სიტყვის ისეთ ფორმას, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია ფილოსოფიური ენისათვის; მაგ. ცველ ქართულში ზმნები—დასაბამა, იუშეცარა, ისულმოკლა, იგულისწყრომა, ისახელნარდაულა იწარმოება სახელებიდან დასაბამი, უმეცარი, სულმოკლე, გულისწყრომა, სახელნარდაული და სხვა. ანგვარი წარმოების ზმნებს უმეტესად ვხვდებით პეტრიწის ან პეტრიწონული სტილით დაწერილ თხზულებებში ⁸⁷. რამდენიმე ასეთი ზმნა მოიპოვება „აზმანშიც“, სადაც ვკითხულობთ: „იდიდსიტყუა (რიტორულად ამეტყველდა) ალექსანდრესადმი პლუტარხოს“ (გვ. 2), „იმამებრივა (მამობრივი შორუნეელობა გამოიჩინა) მამამან (ლმერთმა) ძისა (ქრისტეს) სწორად აღწევებულსა ძესა დავეითიანსა

⁸⁶ ასეთ სტერეოტიპულ გამოთქმებს ვხვდებით სხვა საინტორიო თხზულებებშიც. აქ ჩვენ მათ მიუთითებთ, როგორც ფაქტს.

⁸⁷ „უმეტესად ვხვდებით“—მეთქი იმითომ ვწერთ, რომ სახელებიდან ნაწარმებები ზნური ფორმები მოიპოვება თეოლოგიურ და სხვა ხასიათის ძეგლებშიც (შდრ. შ. დლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 140—145).

ზედა“ (გვ. 14), იმათებურეს (მათებურად გამოიჩინეს თავი) მოყენება თამარისთა“ (გვ. 40). ასეთივე წარმოების ზნა, მიღებული სახელიდან „ყოველისფერი“, იკითხება „ბოლოსიტყვის“ იმერიაში, რი-მელსაც ანტონი იმოწინებს რუსთაველის ძსსულენიდან რთულ-შეახსნეობის ნიშნად: თამარმა, „ნეტად დამდაბლებულნი განიერისა გონებისაგან იყოველისფერა გარდნოდ, რათა მოქცევი თჳსი პარტიობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ენებათა“. ახალი ქართულით ეს ნიშნავს: ჰქვიანი გონებით მტად დამდაბლებულმა თამარმა თავისთავში ყველაფერი შეითვისა, რათა თავისი ცხოვრება მარტოვად და ვნანათა შეუხსნელად გამოჩნდეს (ღვთის მიერ) გაჩენილ (ბაგრატოვანთა) გვარეულობაში. ამ ფრაზის გავლენით ზნას „ყოველისფერა“ თავი უნდა ეჩინა ანტონ კათალიკოსის ერთ წინადადებაში, სადაც ნათქვამია, რომ თანარ მედემ „ყოველკეთილობათადმი იყოველისფერა“. ანუ ყოველგვარი კეთილი საქმე თავისთავში შეითვისაო (II 413, ფ. 108v)⁶⁸. აქვე საჭიროა გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ტაეები „ნათად საჭერეტლად მჭერეტელნი, ხაშ, თავი იქედგოროსა“ (1569, 4). რუსთაველი ამბობს: როდესაც მთვარე ცისკრის ვარსკვლავს თანა-შეესწორება, ორნივე სწორად ნათობენ და მათ დანახავად საჭიროა მყოფრებელმა „თავი იქედგოროს“, ე. ი. თავი აიმალოს ქედსა თუ გორაზე ასვლით, ან მოკლედ: ქედსა და გორაზე ავიდესო. აქაც ზნა იქედგოროსა ისეთივე წარმოებისაა, როგორც ზნები იმამებრივია, იდიდსიტყუა, იმათებურეს და იყოველისფერა.

ზ. „ბოლოსიტყვის“ დამწერი თავის შრომას ანთავრებს გამოთქმით „აქა დაეჭვი სიტყუსა-წყობა“..., „აზმათა“ ავტორი კვ გიორგი მეფისა და თამარის ცხოვრებას ასე იწყებს: „აწ ვიწყო ძალისამებრ და ღონე-მიწუღობისა ესე“ (გვ. 4). ან: „აძიერთგან ვიწყო წყობად, ბრძოლად გონებისა დანზიდავმან. და მკუეთებელმან მსგავსად ქვისა და რკინისამან აღმოვშობო ცეცხლი სიყუარულისა და ქებისა და სურვილისა“ (გვ. 25).

თ. „აზმათა“ ავტორი იცნობს ბერძნულ და სპარსულ მხატვრულ ძეგლებს; თხზულებაში ასახელებს აღმოსავლური წარმოშობის სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანების პერსონაჟებს; სხვადასხვა საისტორიო და ბიბლიური წიგნებიდან იმოწმებს ციტატებს, გვირგვინოსან მეფეებს მხატვრული შედარებებით ამკობს.

⁶⁸ სრული ტექსტი იხ. აქვე 23-ე სტოლითში.

ასევე „ბოლოსიტყვის“ ავტორისათვის ცნობილია აღმოსავლური და დასავლური სახობო პოეზია. ისტორიკოსი იუწყება: „ე რ ა ყ ს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა გენაგენი, ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყუდიან“. სენსის არც ეგელი საისტორიო მწერლობაა უცნობი: „განიგენი ყოველნი ნატიანენი, ეუელთა გინა ასალთა მეფეთა მაქებელნი, თანეთუ გარდაემატა თამარის საქეთა ტენზარტებით საქებლობა სიტყვსაებრ პირველთასა“.

ი. „ანანაში“ ნათქვამია: თამარი სოლომონზე „უბრენე იქმნა“ (გვ. 79), „ბოლოსიტყვაში“ ეკითხულობთ: ის „ნეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის“.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ „ბოლოსიტყვა“, რომელიც ანტონ კათალიკოსის ცნობით მიეწერება რუსთაველს, დასასრულია „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტისა. ჩანს, „სწავლულ კაცებს“ ხელთ ჰქონიათ ამ ტექსტის ისეთი ნუსხა, რომელზეც ჩვენამდე ცნობილ ნუსხათაგან განსხვავებით თამარის ცხოვრება ნთავრდებოდა ფრაგმენტით „იკვალა ფერი... დავიდუმით“. სავარაუდებელია, რომ ასეთივე სრული ნუსხა ხელთ ჰქონდა ანტონ კათალიკოსს, საიდანაც ის იმოწმებს ციტატას „არა მოაკლდა შთაზიდვასა შინა“.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა „ისტორიათა და აზმათა“ ერთი ჩანართი ეპიზოდის შესახებ.

„სწავლული კაცები“ ჩივიან, რომ „ეთათა ვითარებისაგან ქართლას ცხოვრება გარყუნილ იყო“. როგორც ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს⁶⁹, ისინი ამ შემთხვევაში უპირველესად გულისხმობენ „აზმათა“ ტექსტს, რომელიც მართლაცდა უკიდურესობამდეა „გარყუნილი“. დღეს მისი ორი კრიტიკული გამოცემა მოგვეპოვება. ისინი ერთმანეთისაგან ცალკეულ წანაკითხებში განსხვავდებიან, რაც იმას მოწმობს, რომ „ისტორიათა და აზმათა“ აკადემიური ტექსტის დასადგენად ჯერ კიდევ საჭიროა წმინდა ფილოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული კვლევა-ძიების წარმოება. რასაკვირველია, ასეთი კვლევა-ძიებისას ამოსავალ წყაროს უნდა წარმოადგენდეს ძეგლის შემცველი ხელნაწერები, მაგრამ, როდესაც ისინი გასაოცრად არიან დამახინჯებულნი გადამწერთა თუ ინტერპოლატორთა წყალობით, მაშინ რჩება ერთადერთი გზა—საკუთრივ ტექს-

⁶⁹ ქართლია ცხოვრება, II, 1959, გვ. 039.

ტის კრიტიკული შესწავლა. ამგვარი შესწავლა გვევარაუდებინებს, რომ „აზნათა“ ტექსტს ძველად (XVII საუკუნეზე ადრე) რედაქტორის ხელი აქვდა. მასში ცხადლივ შეიმჩნევა ერთი ჩანაჩთი ეპიზოდი, რომელსაც თეიმურაზისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ეწოდება „იოანე კათალიკოსის შესარჩლება“. ეს ეპიზოდი იწყება გამოცემის 81-ე გვერდიდან („მოვიდეს ძმანი ორნი მეფის წინაშე მსახურებლად“) და მთავრდება 90-ე გვერდზე სიტყვებით „ნაქარია ეგოფე ურწუნოებას ზედა“. აქ აღწერილია ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობა იმის შესახებ, თუ ვისი სარწმუნოებაა ჭე მართლად მართლმადიდებლური. ი. ჯავახიშვილი წერს: „მეტის-მეტე ვიწრო სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს მთელს მოთხრობას ქართველ-სომეხთა მატრობისა და შეცილების შესახებ, რომლის დროისაც იოანე კათალიკოსმა მართლმადიდებლობის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად იმაზე უკეთესი ვერა მოიგონა რა, რომ სეფისკვერი მშიერი ძაღლისათვის გადაეგდოთ, და რომელი სარწმუნოების სეფისკვერსაც ძალლი შესჯამდა, ის სარწმუნოება აღიარებულიყო ცდომილად“⁷⁰. ამ „უგუნური“. „სამარცხენო და შემძრწუნებელი შეცილების“ მომგონი მღვდელმთავარი აღნიშნულ ეპიზოდში საგანგებოდაა შექებული: „კათალიკოსმან იოანე, ღმრთის-მეტყუელისა მოსახლეებან, ნუ უკუე ზენათ სულისა წმიდისა აღვებულმან, ანუ თუ მართლისა სარწმუნოებისა მინდობილმან, — არა უწყი, — აღალო პირი ბრძნად მეტყუელი შეუვალთა სიტყუათა“ (გვ. 83), ან: „წმა ყო ბრწყინვალედ“ (გვ. 85), ანდა: „წყნარითა გონებითა მიუგებდა“ (გვ. 86). ხოლო მაშინ, როდესაც იოანე კათალიკოსს დამშეული ძაღლისათვის სეფისკვერი უნდა მიეგდო, იქ მყოფნი, თამარ „მეფე და ყოველი ერი, განცვიფრებულნი და შეძრწმუნებულნი“ იყვნენ. მღვდელმთავარი კი „დგა, ვითარცა გოდოლი შეურყეველი, ტურფად აშენებული“ და „განშვენებულითა პირითა“ (გვ. 88). ძნელი დასაჯერებელია, რომ „ისტორიითა და აზნათა“ ავტორი, რომელიც ქართველ-სომეხთა მეგობრობის საკითხს ფაქიზად ეპყრობა, აღფრთოვანებულიყოს იოანე კათალიკოსის უგუნური საქციელით და მის მიმართ ასეთი საქებ-სადიდებელი სიტყვები დაეწერა. პიროქით, ის დიდი პატივით იხსენიებს ზაქარია მხარგრძელს, როგორც „მოყმესა ღირსსა სპასპეტობისასა“ (გვ. 55). შამქორის ბრძოლებში მონაწილე ზაქარიასა და ივანეს შესახებ ამბობს: ისინი იბრძოდნენ,

⁷⁰ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 229.

„ვეთარცა ვეფხნი ფრთოსანნი“ (გვ. 71). ასევე მათ მზნეობაზე წერს მეზინაც, როდესაც ის აღწერს რუქნადინის წინააღმდეგ ბრძოლას, ქართველთა საშხედრო ექსპედიციას სპარსეთში და არდაველი სულტნის დაჯდის ისტორიას. მწერალი განსაკუთრებით აღფრთოვანებულია ზაქარიასა და ივანეს თავდადებით, რომელიც მათ გამოიჩინეს საქართველოსა და მესობელი ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფის საფრთხეში. ზაქარიას სიკვდილი მას დიდ დანაკლისად მიიჩნია: „შიცევალა ზაქარია აშირსასალარი, ძე სარგის-აშირსპასალარისავე, კაცი დიდად ვამდიდრებული და ყოვლითა სათნოებითა აღსავსე, განათგეპნული, მკნე და ძლიერი მსარძალი, მთავარა თემისა ღირსია, რომელი მეფემან ივლოვა და ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან, რამეთუ არავინ მკნედ გამოჩენილ იყო მთავარი ჟამთა ანათ, რამეთუ გუარისაგანცა მო-ვე-აქუნდა, რომელი იყო ნათესავი არტაქსერქსი მწარგრძელისა, და იყო სარწმუნოებითა სომეხი, არამედ ყოველნი სათნოებანი საღმრთონი და საკაცობონი აქუნდეს“ (გვ. 109—110). რა თქმა უნდა, ამ სტრატეგების დამწერი არ შეიძლება იყოს ის ფანატიკოსი, რომელიც ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობის ეპიზოდს აღწერს, სადაც ზაქარია მხარგრძელი დამცინავადაა გაკილული და თავზედ ადამიანად გამოყვანილი. რით ავსნათ ეს გარემოება? ამ კითხვას მოეპოვება ერთი პასუხი: „თიანე კათალიკოსის შესარჩლება“ „აზმათა“ ტექსტში ვილაც ფანატკოსი ბერის მიერაა ჩართული. ასეთი მოსაზრება პირველად გამოთქვა დ. ბაქრაძემ: „ეს ნაწილი... ფანატიკოს ბერის ნაწარმოები უნდა იყოს“ და ის საერთოდ ჩვენს ისტორიაში შეტანის ღირსი არ არის, რადგანაც მასში „გარდა სიძულვილის გრძნობის აღძრვისა... სხვა არაფერი გამოიხატება. აქ ისტორიული სიმართლე არა არის რა“⁷¹. 1892 წელს მას მიემხრო თ. ჟორდანი: „ეს უხამსი ამბავი შემდეგში ჩაქვრებულია მატიაწეში, რომლის ღირებულება და დალაგებული თქმა სრულიადაც არ დაირღვევა, თუ ის გაზვიადებული მოთხრობა სრულიად აღმოიფხვრა მატიაწედამ“⁷². ხოლო უკანასკნელ ხანს იგივე ეპიზოდი ვილაც ფანატიკოსი ბერის ნაწარმოებლად აღიარა კ. კეკელიძემ. „Впрочем, — წერს იგი, — ссть в нем (იგულისხმება „ისტორიანი და აზმანი“, თ. ჯ.) довольно обширный эпизод церковно-религиозного пререкания между

⁷¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 210, სტოლიო 1.

⁷² თ. ჟორდანი, წარწიკები, I, 1892, გვ. 80, სტოლიო 171, შდრ. გვ. 282—283.

ტრუზინსკიმ და არმიაისკიმ დუხოვენსთვომ. კოტორუი ნე გარმონირუეტ ს ობიციმ დუხომ ნამატიკიკა; ონი იაქლასჲ, ნუჟიო პოლათი, ინსთავკიი კაკოგო-ტო ფანატიკი ნერკოვნიკი, პროდელანოი ვსკოროსტი ჯე პოსლე პოქლენიი ნამატიკიკა“ 73.

ისტორიკოსი მიინტელაჰინცი არ ცდილობს თავისი თხზულება სასწაულებიის მოყოლით გადატვირთოს. მისი მიზანია გვირგვინოსან მეფეთა ისტორიათა და აზნათა შეთხზება. ის შეგნებულად გვერდს უვლის გაქაანურებულ თარობას, რომლითაც მკითხველს მოაწყენს ან აღაშფოთებს. ერთ აღგელას ამბობს, რომ „ესევიტარნი რა ენაზან, ანუ რა განგებაზან თუთეულისა ქელ-ყო ს მოთხრობად, საწყენ სამე იქმნას აღწერილი განგრობობათა სათქმელთაჲთა“ (გვ. 16). როგორც ი. ჯავახიშვილმა შენიშნა, „აზნათა“ ავტორი დიდი ბრძოლებიის თარობიის შემდეგ იწყებს თამარის პიროვნულ დახასიათებას და შინა სახელმწიფოებრივი საქმეების აღწერას. ერთ-ერთი ასეთი აღწერა მოთავსებულია აბუბაქრისა და რუქნადინის ბრძოლებიის შემსველ თავებს შორის. იწყება: „ამისთვისცა უდიდესთა ქელ-ყო საქმეთა“ (გვ. 78), მთავრდება: „და არბევდიან ურჩითა“ (გვ. 92). ისტორიკოსი ჯერ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ თამარმა როგორ „აღიხილნა თუალნი მალღისა მიმართ და აღაშაღლა გონება... რომელი ყოვლითურთ შეეყო მაღალსა ზას“ (ე. ი. ღმერთს), შემდეგ იძლევა თამარის პიროვნების მოკლე დახასიათებას, მისი საოჯახო და საქველმოქმედო საქმიანობის ზოგად მიმოხილვას, გვიყვება თამარის სიწმინდის, გერმე იფუყება, თუ სამეფო კარზე როგორ სრულდება საეკლესიო ლოცვის წესი, თამარი როგორ იცავდა სამოქალაქო მართლმადაჯულებას და ბოლოს დასძენს: „რადუჯანაც უდიდესნი საქმენი წინაშდებ. ბენ“, როგორც ნათქვამია, ცაში აღსაჟრენად ვან უნდა მომცეს „ფრთენი მტრედისანი“, ანუ ზე, ისტორიათ აღწერელს, ვინ უნდა შეზადლებინოს მოთხრობა მისა, თუ ღმერთმა თამარის წინაშე რა საკვირველი სასწაული ქმნა? (გვ. 81). ამის შემდეგ ისტორიკოსი სიტყუვას ამოკლებს, რომ მკითხველს მალე უამბოს „უდიდესნი საქმენი“, რომლებიც ზას ღვთის სასწაულებად მიანჩნია, მაგრამ, რაკი მან თამარის სასულიერო მოღვაწეობაზე ჩამოაგდო საუბარი, საჭიროდ თვლის იქვე რამდენიმე სიტყუვით აღნიშნოს, თუ თამარს რა წვლილი მიუძღვოდა სამონასტრო მშენებლობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების გაძლიერების საქმეში. მართლაც, მან ეს ორ აზნაცში აღწერა (გვ. 90 – 91). ტექსტში ვკითხულობთ: „ნიჭი და პატივი

73 История и восхваление венченок, пер. К. Кекелидзе, 1954, гв. 6.

მიჰმადლა მის მიერ შეყვარებულმა ღმერთმა თამარს, გარნა არც ეს უღებ იქნა მიჰქმედად საქმეთა სათნოთა ღმრთისათა“ (გვ. 90). მან კლდეში გამოჰკვეთა ვარციის ღვთისმშობლის ეკლესია, „მონაზონთა საყოფი სენაკენი, რომელი მტერთაგანცა შეუფალ და უბრძოლველ ყოა“. ამას გარდა მანვე ააშენა ან ძეამყო მონასტრები არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც, მაგრამ სჯობს ამათზე საუბარი აქ დავამთავროთ, რადგანაც „გრძელსაჲ არს ყოვლისა (ამის) მოთხრობილობაო“ (გვ. 91).

რატომ ისწრაფვის ავტორი, რომ თამარის საეკლესიო მოღვაწეობა ასე მოკლედ აღწეროს? იმიტომ, რომ მას ეს მხარე ამ ჯერად ნაკლებად აინტერესებს. მისი დასახული ამოცანაა მკითხველს. რაც შეიძლება, მალე გააცნოს „უდიდესნი საქმენი“ — კარის აღება, რუქნადინის სამარცხვინო დამარცხება, არდაველი სულტნის დასჯა და ქართველთა ჯარის სამხედრო ექსპედიცია საარსეთში.

ისტორიკოსმა როგორც კი დაამთავრა თამარის სამონასტრო საქმიანობის მოკლე, მაგრამ ლაკონური აღწერა, მაშინვე ის კარის აშენების თხრობაზე გადავიდა, ხოლო რამდენიმე ხარახის შემდეგ მან კვლავ გაიძეორა: „უდიდესნი საქმენი აღმოძინდეს და განება ვიწყე უღონობად თხრობისა სიდიდითა საქმეთათა“ (გვ. 91). მისი სიტყვით, ეს „უდიდესნი საქმენი“ არის ქართველთა ის ძლიერამოსილი გამარჯვება ბასიანთან, რომელიც მოპოვებულ იქნა რუქნის სულტნის, რუქნადინის, წინააღმდეგ ბრძოლაში 1205 წელს.

5. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ვინაობა

ქართველმა ისტორიკოსებმა და ფილოლოგებმა არა ერთხელ სცადეს „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ვინაობის დადგენა, მაგრამ მათ ამ მხრივ ერთი საერთო აზრი ვერ შეინუშავეს. კ. კეკელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გარდა, ვინც კი აღნიშნულ საკითხზე რაიმე მოსაზრება გამოთქვა, მათ ამოსავალ დებულებად მიიჩნიეს ის გარემოება, რომ თხზულების დამწერი არის სამეფო კარის ერთერთი დიდებულთაგანი, რომელმაც თითქოს მონაწილეობა მიიღო თამარისათვის საქმროს არჩევის გამო გამართულ თათბირში. ამის საბუთად მათ მოიშველიეს ერთი ფრაზა: „გამოვი[და ვი]ქმე ჩუენდა მეტყუელი მკვდრთა ტფილისისათა... ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან“, და მან გვიჩვენა, რომ თამარის საქმროდ მივიყვანოთ ანდრია დიდის რუსთა მთავრის შვილიო.

ინავე მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს იმასაც, რომ ავტორი სამხედრო ლაშქრობების მონაწილე უნდა ყოფილიყო, რომ ის იყო თამარის საქმიანობის თვითმხილველი და თანადახმებელი. ამის ნიხედვით, მათ „აზნათა“ ავტორი თვით ძეგლში მოხსენიებულ ისტორიულ პირობა მოკრის ავარაუდეს.

თ. ჟორდანიას აზრით, თხზულება „დაწერილი უნდა იყოს ჯვარის მტვირთველის ჰეონდიდის ანტონ გლონისთავის ძის მიერ“, რომელიც „მართლა მუდამ ჯარს ახლდა და თვითმხილველი იქნებოდა ნისგან დაწვრილებით აღწერილ ლაშქრობათა. ანტონი გიორგის მეფობაშიც ცხოვრობდა და მაშასადამე მისი მატიაშის აღწერასაც შესძლებდა, როგორც თანამედროვე და თვითმხილველი“⁷⁴. ი. ჯავახიშვილი იძლევა „აზნათა“ ავტორის ვრცელ დახასიათებას თვით ძეგლის მონაცემების ნიხედვით, მაგრამ ის მისი ვინაობის საკითხს დიად ტოვებს⁷⁵. ს. კაკაბაძე ვარაუდობს, რომ „აზნანი“ ორი სხვადასხვა პირის დაწერილია. მისი პირველი ნაწილის ავტორია „არა თუ წარჩინებული და სამეფო კართან დაახლოვებული პირი“, არამედ დიდი თანადებობის მქონე დიდებული, სახელდობრ, მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი, ხოლო მეორე ნაწილის დამწერი, „არც თუ დიდი განათლების მქონე, ცხოვრობდა თამარის ეპოქაზე საკმაოდ დაშორებულად“. ის „უნდა იყოს სასულიერო პირი და კერძოდ ვარძის მონასტრის ძმთაგანი, როგორც ამას უნდა გვიჩვენებდეს მის მიერ ვარძის ლეონსმშობლის წადლის ხშირად მოხსენიება“⁷⁶. პ. ინგოროყვამ მხოლოდ წინასწარი დასკვნები მოგვაწოდა: „თამარის პირველი ისტორია“ (ე. ი. „აზნათა“ დასაწყისი ნაწილი მაშქორის ბრძოლების ჩათვლით, მართამისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხით 474 გვერდამდე) დაწერილია სარგის I თმოგველის, „დილარიანის“ ავტორის მიერ, ხოლო „თამარის მეორე ისტორიის“ (ე. ი. „აზნათა“ მეორე ნაწილის) ავტორი უცნობია, მაგრამ ჩანს, რომ იგი სასულიერო პირი ყოფილა“⁷⁷.

⁷⁴ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I 1892, გვ. L და შემდეგ.

⁷⁵ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო წყაროება, 1945, გვ. 220—241.

⁷⁶ საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 287—290.

⁷⁷ პ. ინგოროყვა, ჩაბრუნების (კავკასიონი, 1924, № 1—2, გვ. 277), შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, ისტ. და აზნანი და იოანე პეტრიწი, აკადემიის ნოაბე, ტ. III, № 1, 1942, გვ. 95.

1938 წელს კ. კეკელიძემ მონოგრაფიულ ნარკვევში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი როგორც ლიტერატურული წყარო“⁷⁸ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებული, თამარის მეფობის მომთხრობელი ისტორია არის ერთი მთლიანი ნაწარმოები, დაწერილი ერთი პირის მიერ. მკვლევარმა აქვე აღნიშნა, რომ მარიამისეული ნუსხის წანაკითხი „გამოვინმე: ჩუენდა: მეტყუელი“ გასწორებულ უნდა იქნეს არა როგორც „გამოვი[და ვი]ნმე ჩუენდა მეტყუელი“, არამედ ასე: გამო-ვინმე-ჩნდა მეტყუელი“, რაც ნიშნავს—გამოჩნდა ვიღაც მეტყუელი, სახელით აბულასანი, რომელმაც თქვა: მე ვიცი ესა და ეს რუსიო⁷⁹. ამით კ. კეკელიძემ ერთ-ერთი ძლიერი საბუთი გამოაცალა ხელიდან იმ მკვლევართ, რომელნიც აღნიშნავდნენ, რომ „აზმათა“ ავტორი არის ვაზირი თუ სხვა დიდი თანამედრობის მქონე პირი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია თამარის გათხოვების გამო გამართულ თათბირში. იმავე ნარკვევში კ. კეკელიძემ სწორად შენიშნა, რომ „თხზულების ავტორად ვერ ჩაითვლება ვერც ანტონი, ვერც ჭიაბერი. რადგანაც ერთიცა და მეორეც თხზულებაში ყოველთვის მესამე პირითაა ხსენებული, როგორც სრულიად გარეშე ავტორისათვის აღანიანი... ასე რომ, საკითხი ავტორობის შესახებ ჯერჯერობით უნდა ღბა დარჩეს, შემდგომი კვლევა-ძიება, იმედი უნდა ვიქონიოთ, მიგვაგნებინებს მას“⁸⁰.

სანიწლის შემდეგ, როდესაც მან „ისტორიათა და აზმათა“ კრიტიკული ტექსტი გამოაქვეყნა⁸¹, პიპოთების სახით გამოთქვა ახალი მოსაზრება, რომ „თხზულების ავტორად თითქმის ვიღაც არსენ იშხნელი ჩანს“. მკვლევარი ამ მოსაზრებას ასაბუთებდა შემდეგნაირად:

„თხზულებას ბოლოში აღნიშნულია რამდენიმე პირი, რომელთაც თამარის პიროვნებასთან დაკავშირებით რაღაც უთქვანთ. ესენია: არსენი, იოანე ჭიმჭიმელი, თულთალი და დავითი“. ამ ოთხი პირიდან თამარზე ვინ რა თქვა, იქვე გარკვევითაა აღნიშნული:

⁷⁸ რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 121—158.

⁷⁹ იქვე, გვ. 125—134.

⁸⁰ იქვე, გვ. 134—135.

⁸¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცხა ტექსტის აღდგენისა), აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, 164 გვ.

„დავით თქვა: ზესთა განდიდნეს... თულთალი მილისეველმა სფერო შესახა შამშისა“, ხოლო „იოანე იტყვს ჭიმჭიმელი“ იამბიკოს „მეფე, მთავარი“, არსენს კი „სათქმელი აღარ რჩება“, რადგანაც „არსენი: იტყვს: იყავ: ნელი“-ს მომდევნო ტექსტი „ეკუთვნის იოანე ჭიმჭიმელს, თულთალის და დავითს. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ არსენის ნათქვამია ამ სიტყვების მომდევნო იამბიკო „მეფე მთავარი“,—მაშინ იოანე ჭიმჭიმელისათვის აღარ რჩება საქანელი... ამიტომ ჩვენ ვუძიებთ, რომ სიტყვებში „არსენი იტყვს“ ნაგულისხმვია „ისტორიანი და აზნანი“. ამის მიხედვით, თხზულების ავტორად შეიძლება არსენი ეიგულისხმოთ“ (გვ. 22—23).

შემდეგ კ. კეკელიძე არკვევდა რა არსენის ვინაობას. იქვე აღნიშნავდა: „ამ არსენს „თან ახლავს გეოგრაფიული ტიტული „იყავ: ნელი“, უფრო სწორი უნდა იყოს თეიმურაზის ვარიანტის „იყავ: ნელი“. არ ვფიქრობთ, აქ იმალებაღეს „ევალოელი“. ეს შეუძლებელია ფორმალურადაც და არსებითადაც: ცნობილს არსენ ივალოელს არ შეეძლო დაეწერა თამარის ისტორია, ან რაიმე ეთქვა მის შესახებ. ცხადია, ეს არსენი ნუგრალია მე-13 საუკუნის პირველი ორი მეხუთედისა... ისეთი გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც თავისი სახელწოდებით რამდენადმე მაინც უახლოვდებოდეს „იყენელი“-ს და, რომლიდანაც წარმომდგარი იყოს ზედწოდება არსენისა, საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში ჩვენ სანა არ ვიცი, გარდა იზნელისა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „იყენელი“ არის დამახინჯება სიტყვისა „იმანელი““ (გვ. 23).

კ. კეკელიძის ეს შეხედულება პირველად ჩვენ განვიხილეთ და წანაკითხა „არსენი: იტყვს: იყავ: ნელი“ აღვადგინეთ როგორც „არსენი იტყვს ევალოელი“. იქვე გამოვთქვით მოსაზრება, რომ ამ არსენს მიეწერება არა „ისტორიათა და აზნათა“ მთლიანი ტექსტი, არამედ მასში ჩართული იამბიკო ერთხუთეული „მეფე მთავარი“, ხოლო სიტყვების „იოანე იტყვს ჭიმჭიმელი“-ს მომდევნო ფრაგმენტი წარმოადგენს თექვსმეტმარცვლოვან ააირს „აუ თალი მილისეველმან“, რომელშიც ჭიმჭიმელი იხსენიებს ფილოსოფოს თალესას და მეფე დავითს⁸².

1951 წელს კ. კეკელიძემ ჩვენს შეხედულებას „პიპოტეზური მოსაზრება“ უწოდა⁸³. 1954 წელს ის კვლავ თავის ადრინდელ შე-

⁸² ლიტერატურა და ხელოვნება, 1950, № 35.

⁸³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 297; ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 317.

ხედულენას დაუბრუნდა: ვინ იყო „აზმათა“ ავტორი, „არ ვიცი. ანის შესახებ გამოთქმულია მხოლოდ სხვადასხვა მოსაზრება. თხზულების მიხედვით შესაძლებელია გავითვალისწინოთ მთავარი ძეხედულენანი ამ უცნობი ავტორისა“...⁵⁴ არსენს ეკუთვნის იანბიკო ერძუჯღული (იგლისხმება „მეჯე მთავარი“), რომელიც „აზმათა“ ავტორს „საქაროდ დაუნახავს ჩაერთო თავის თხზულებაში“ როგორც ჰინნოგრაფიული პოეზიის ნიმუში, ხოლო იოანე კინჭიმელს— ერასტროფიანი შაირი, რომელიც მოთავსებულა „თხზულების ბოლოში იქ, სადაც [ავტორი] თამარის დასაფლავებას მოგვითხრობს“⁵⁵.

კ. კეკელიძის მოსაზრება არსენ იშხნელის შესახებ განიხილა აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილმა და დამატებითი მასალების მოშველიებით დაადასტურა ჩვენი ცირითადი დასკვნების სისწორე⁵⁶. მან აღნიშნა: „ისტორიათა და აზმათა ბოლო ი მოხსენებულნი: «არსენი იტყვს იყ...» და «იოანე იტყვს კიმჭიმელი» XII საუკუნის მოღვაწეები არ არიან... ლექსის წარწერა «არსენი იტყვს» არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს «არსენმა დაწერა» ეს ისტორიკოსორივე წარწერა «არსენი იტყვს» და «იოანე იტყვს» ერთნაირი ნაღვაწის განმსაბუღელია, სახელდობრ, ისინი არიან მიჩნეული მათი სახელის შემდეგ ნოყვანილი ლექსების ავტორებად... ამრიგად, თამარის პირველი ისტორიკოსის ვინაობა დღესაც გაურკვეველია“ (გვ. 013).

ასეთია ზოგადად საკითხის ისტორია „აზმათა“ ავტორის ვინაობის შესახებ.

ამ საკითხზე სხვადასხვა ჰიპოთეტიური მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ საბოლოოდ „აზმათა“ ავტორის ვინაობა კვლავ ამოუცნობელი დარჩა.

⁵⁴ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1954, გვ. 148—149; История и восхваление величествен, пер. К. Кекелидзе, 1954, გვ. 6; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 266

⁵⁵ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1954, გვ. 152, 154; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 269, 272; კ. კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომის მეოთხე გამოცემაში არსენის იანბიკოს „მეჯე მთავარი“ კვლავ იოანე კინჭიმელს მიაწერს და წყაროდ იმოწმებს „ისტორიათა და აზმათა“ მარიაშ. დედოფლისეულ ნუსხას (გვ. 318).

⁵⁶ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 011—013.

ენის შემდეგ, რაც გაირკვა, რომ „თამარ მეფის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში დაცული „ბოლოსიტყვა“ („იცვალა ფერი... დავიდუმოთ“) ანტონ I კათალიკოსის ცნობისა და დამოწმებული ციტატის („არა მოაქლდა შთაზიდვასა შინა“) თანახმად მიეწერება რუსთაველს, ხოლო ეს „ბოლოსიტყვა“ წარმოადგენს „ისტორიათა და აზნათა“ ტექსტის დასასრულს, ცხადია, „აზნათა“ ავტორად უნდა მივიჩნიოთ მოთარუსთაველი.

5. „აზნათა“ მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებით

„ისტორიანი და აზნანი“ თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესხმა-მოთხრობაა. თ. ჟორდანიას მოხდენილი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იველი „განუწყვეტელი ქებაა, ანუ ქებათა ქება. იგი რიტორული ხელოვნებით აღწერილი შესხმა მეფისა და გმირთა“. ავტორი „ნუსკოვს, მჭევრმეტყველებს, ენაწყლიანობს, სახისმეტყველებს, რათა ენაზნაობით ზაინც რაზდენადნე შევეგნებინოს დიდებულება [თამარის] მეფობისა“.

„ისტორიანი და აზნანი“ პანეგირიკული სანსტორიო ძეგლია, დაწერილი რუსთაველური შემოქმედებითი ავტენტით. მისი ავტორი ქართული საბჭოებს დიდოსტატია, ღრმად განსწავლული, ფილოსოფიურად მიაზროვნე და პოეტური გაქანების მწერალი. მან თავის თხზულებაში აღმოშობა შემოქმედებითი ცეცხლი თამარისადმი სიყვარულისა, ჭებისა და სურვილისა, ალატყინა და ცამდე აღაშალა სახმილი, სადაც თამარის სახით აღმოაჩინა ცეცხლოვანი ეთერი და მიწა, რომელიც ურჩებს ცეცხლებს სპობს, ზეგობართა და ნოყვარეთ ეხმარება და ღონეს ანიჭებს. იგი მხატვრული სახეებით აზროვნებს, უხვი ეპითეტებით ამკობს ქების ობიექტს, მოხდენილი შედარებებით აღწერს ამა თუ იმ გმირის რაინდულ თვისებებს, ბრძოლის ეპიზოდებს, საზიგმო დარბაზობებს, სამგლოვიარო ცერემონიალს.

კლასიკური ხანის ქართველი მეხოტბენი ცდილობდნენ თავიანთი სახოტბო თხზულებები დაეწერათ სადღესასწაულო-რიტორული ენით. ჩვენში XII—XIII საუკუნეების მწერლობაში დიდად ფასდებოდა ის სახოტბო იველი, რომელშიც ავტორი ვინმეს შესამკობად, თუ რაიმე ისტორიული მოვლენის ასახავად მიმარ-

თავდა ისეთ შედარებებს, რომელთა მიხედვით გამოჩნდებოდა მწერლის ზეართო განათლება და ღრმა ერუდიცია. ამის საუცხოო დამადასტურებულ ნიშნებს წარმოადგენს ჩახრუხანის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმენაიანი“. ორივე პოემის ავტორები, ჩახრუხანე და შავთელი, ხშირად იყენებენ ისეთ სახეობრივ შედარებებს, რომელთაც ვხვდებით ბიპლიურ წიგნებში, ელინურ-ბიზანტიური წარწომების ეპიკურ და საისტორიო თხზულებებსა და ქართულ და სპარსულ-მაჰმადიანურ საგანიო-საფადავანო თუ სამიჯნურო-სათავდადასავლო რომანებში. თამაშად შეიძლება ამ შესანიშნავ მეხოტბეებს გვერდში ამოეყუყუნათ თანარის პირველი ისტორიკოსი და მისი თხზულება განვისილოთ როგორც სახატბო ძეგლი. ი. ჯავახიშვილი წერს: „თამარის ისტორიკოსი ... ისტორიათა მწერლობასა პინა ჯელწიფითა შემასხმელობასა ცდილობდა. ამიტომ მის საისტორიო თხზულებას, რასაკვირველია, «შესსმის» ელკერი უნდა სდებოდა და ადევს კიდევ... მაგრამ საისტორიო თხზულებისათვის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, როდესაც მას «შესსმის» ელფერი ედება ხოლმე“⁸⁷. თუ დავუკვირდებით თხზულებაში წარმოდგენილ ისტორიულ სინამდვილეს, შევნიშნავთ, რომ ეს სინამდვილე მხატვრის ფუნჯითაა შეფერადებული და ავტორის რიტორულ-პოეტურ მხარეს ეწირება მისააზრობი მასალა, რომელსაც მწერალი ზოგჯერ შეგნებულად ამოკლებს. სამაგიეროდ მხატვრულ პიპერბოლას, პოეტურ მიშავავსებებსა და დაუშრეტელ რიტორულ მჭერმეტყველებას თხზულებაში ფართო ადგილი ეთმობა, რაც საშუთს გვაძლევს იმისას, რომ „აშაათა“ ავტორი ისეთ პოეტური შემოქმედების მწერლად დავსახოთ, რომელიც ძირითადად აღზრდილია ქართული კლასიკური საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციებზე. საყურადღებოა, რომ ჩვენი მწერალი ისტორიულ პირთა გორენობის აღსაწერად ხშირად მიმართავს ასტრალურ შედარებებს, ასტროლოგიკური მოვლენების მოშველიებით აქმნის შესანიშნავ მხატვრულ სახეებს. დავითიანთა (ქართველ მეფეთა) „სახელი, — წერს იგი, — უჯრომს მზისა იცნობებოდა და ყოველისა ქვიშისა“ (გვ. 2); თამარის მამა იყო „პირ-მზე, ტან-ლომი“ (გვ. 4), „მზე მნათობთა შორის“ (გვ. 3), „მზე მზეთა და შარავანდი ჯელმწიფობისა“ (გვ. 23), „ნათელმზე-გაბაონიანისა“ (გვ. 24), „მეხის-ტეხის მყოფელი შორის ელვებსა“ (გვ. 6). გიორგის ცოლიც ბურღუხან იყო „მზე მზეთა

⁸⁷ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 234.

შუენებითა და მომფენაობითაჲსა“ (გვ. 4). განსაკუთრებით უხვი ასტრალური ეპითეტებითაა შემკული თამარი, რომელიც თხზულებაში დასურათბატებულია ისევე, როგორც ჩახრუხანისა და პავლეის პოემებში, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანი და თინათინი. მწერლის დახასიათებით, თამარი არის მამოზღვრის თვალთა „ნათელი და ბრწყინვალეა“, „მანიაჲ ყოველთა ზეფეთა და გჯრგჯნი ყოველთა ჯელწიფეთა“ (გვ. 20), „მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მანუჭებელი სხუათა“ (გვ. 26), „სამ-მნათობიერი“ (გვ. 24), „შიდ-მნათობიერი“ (გვ. 27), „სუფ ბრული და ნათელ ბრწყინვალე... ანთალი უღამო და დღე უღამო და საწადელ და საშუებელ სულისა და ჯორცთა“ (გვ. 39), „ჯელმწიფეთა მზე და მეფეთა ელვა-ცისკროენება“ (გვ. 40), „მზე უღრუბლო“ (გვ. 21), „ქუენა მნათი“, რომელიც „შუენებითა უცხოჲთა და უსახოჲთა“ (ანუ საკვირველი და შეუღარებელი შვენებით) მიცხადება „შენასა მნათსა“ ე. ი. მზეს (გვ. 28), „პირი იგი ეთეროვანი, და უკიშირო ჰაერი და უმრუმო ნათელი“ (გვ. 24). ერთ ადგილს მწერალი ამბობს: „ვინაცა სახედ მზისა შარავანდნი ცისაგან იშუქებდეს მიწიერთა საქურეტლად, ეგრეთვე ქუეყანისაგან თამარის ჯელწიფობისა შარავანდთა ნათელთა ბრწყინვალეებანი ეფინებინ იატაკსამას ზედა ცისასა“ (გვ. 42). ეს თქმა შესანიშნავი მხატვრული სახეა, რომელიც შეიძლება ამგვარად წარმოვიდგინოთ: როგორც მზის სხივები ციდან ანათებენ დედამიწას, რათა დაინახონ მიწიერი არსებანი, ასევე თამარის მეფობის სხივთა ნათელის ბრწყინვალეება ცის თალს ეფინება დედამიწიდან და ამგვარად მთელი სამყარო განათებულია ზენა და ქვენა მნათთა (ე. ი. მზისა და თამარის) სხივთა ბრწყინვალეებით. ისტორიკოსის აზრით, თამარი არის ისეთი დიდი ნათელი, რომელსაც არ ახლავს სიბნელი; ე. ი. ის არის მეტაფიზიკურად განყენებული „ნათელი იგი უღამო“ ანუ „უმრუმო ნათელი“, რომელიც მარადიულად ანათებს სამყაროს. აი, რას წერს რუსთაველი:

„თინათინს ჰკადრა შერმანდინ, ნათელსა მას უღამოსა (682,1)“.

თინათინი ფავისი შვენებითა და „ჯელმწიფობისა შარავანდთა ნათელთა ბრწყინვალეებით“ ჰგავს „ნათელსა მას უღამოსა“. „უმრუმო ნათელი“ და „ნათელი იგი უღამო“ იდენტური შეღარებანია მარადიული სილამაზის გამოსახატავად. თამარი—მეფე, გამეფებული მამისავე სიცოცხლეში, ქალიშვილი, „უმრუმო ნათელი“; თინათინი—ასევე მეფე, მამის მიერვე გახელმწიფებული, ქალიშვილი

და ისიც „ნათელი იგი უღამო“. ორივე შემთხვევაში მეფე-ქალთა შვეწენიერების დასახატავად გამოყენებულია ერთნაირი აოგეტური აქსესუარები. „უმრუმო ნათელის“ მოტივი საერო ნხატვრულ-საი-სტორიო ნწერლობაში უნდა მომდინარეობდეს ფილოსოფიურ-ჰიმ-ნაგრაფიული პოეზიიდან, რომელიც ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნისა“ და „ახმათა“ შემთხვევითათვის⁸⁸.

„ახმათა“ ავტორის აზრით, თამარი არის აგრეთვე „შუღ-მნათობიერი“, რომელიც იღიდა ღვთისაგან, და „ნათელი უმეტეს ნათლისა მის პირველისა“. თუ ქვეყნის ზემოქნედმა ბრძანა: „იქმენინ ნათელი“, რომელსა უწოდა დღე (შესაქნე, I, 3—5), თამარს მანვე შეარქვა „ნათელი ულუმპიანთა შორის დიდსუეობისა“ და ეს ყოველმა მხილველმა თავისი თვალთ იხილაო. თუ „უმრუმო ნათელი“ გამოსახულებაა აბსოლუტური სინათლისა, რომელსაც, რუსთაველის თქმით, არ ახლავს ბნელი, „ნათელი ულუმპიანთა შორის დიდსუეობისა“ არის ოლიმპიური სიდიადისა და სიბრძნის სიმბოლო. ასე რომ, თამარს მწერალი გვისახავს არა მარტო უღამაზის, იდეალური სიმშვეწიერის განსახიერებად, არამედ ბრძენ მეფე-ქალადაც, რომელმაც, სოლომონ ბრძენის მსგავსად „განმშაადებელმან სიბრძნისა შუღთა სუეტთამან, ალაშენა მათ ზედა ტაძარი და სადგური შუღთა ღადლთა შუღთავე სამპყრობელოთა (ანუ თამარის მფლობელობაში მოქცეული შვიდი სამთავროს) განმანათებლად“ (გვ. 27).

ძველი ქართველი მეხოტბენი ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის, ან რაიმე დიდი ამბის ნათლად გადმოცემის მიზნით ხშირად მიმართავენ ბიბლიურ ანალოგიებს. მაგ., ჩახრუხადე ერზინჯანელი მფლობელის შესახებ წერს:

ეზინკას მფლობი, არ შენაფლობი,

სეგორს დამქცევად ჰგავს შესწრებულად (I, 58)⁸⁹.

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, ერზინჯანის განმგებელი („ერზინჯელი“) იყო რუქნადინის მოკავშირე, რომელიც 1205

⁸⁸ შურ. იფხუკელის გამოთქმა „ნათელსა შორის უღამოსა მბრწვინავმან დაუვალისა მზისა ელვარებითა“ (ჩვენი საუნჯე, I, 1960, გვ. 524), აგრეთვე რახრუხადის „თამარიანიდან“ ტაეპი „მზე დაუვალი, შუქმომფინარი“ (II, 5) და შავთელის „მზე დაუვალი, მყის დაუვალი“ (72,3). „ულადო ნათელისა“ და „დაუვალი მზის“ შესახებ იხ. შ. ნუცუბიძე, „ვეფხისტყაოსნის ლიტერატურული წყაროები“ (რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 185—186); ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, 1957, გვ. 33—34; შ. ლლონტი, ვეფხისტყაოსნის ნხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, 1961, გვ. 113—114.

⁸⁹ „თამარიანისა“ და „აბდულუმესიანის“ ტექსტებს ვიმოწმებთ ჩვენი გამოკვების მიხედვით (ჩვენი საუნჯე, II, 1960, გვ. 455—511).

წელს ბასიანთან ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა. რუქნადინის ჯარების განადგურების შემდეგ ის ქართველებმა ტყვედ ჩაიგდეს და თბილისის ციხეში დაამწყვდიეს. ამ ისტორიულ ამბავს ჩახრუხაძე უდარებს ბიბლიურ გადმოცემას სოდომ-გომორის დაქცევის შესახებ. პოეტს რუქნადინის ჯარების განადგურება ესახება ისევე, როგორც ბიბლიაში აღწერილი სოდომ-გომორელთა დასჯის ლეგენდა, ხოლო ერზინკელის ტყვედ ჩავარდნა და ცოცხლად გადარჩენა აგონებს მას ლოთის გაქცევასა და ქალაქ სეგორში თავშესაფარებას (ნესაქმე XIX, 21—25). დამოწმებულ ტაეშში ჩახრუხაძე ეკუთმახვილურ მხატვრულ სახესა ჰქენის და ბიბლიური ანალოგიით ზედმიწევნითი სიცხადით მოგვითხრობს „ერზინკელის“ ტყვედჩავარდნის ამბავს⁹⁰.

გავიხსენოთ აგრეთვე ერთი ადგილი შავთელის „აბდულმესი-ანიდან“. პოეტი თამარსა და დავით სოსლანს მიმართავს:

ურჩი ვინც იყოს ტახტის თქვენისა,
 ღლეუ გლოვისა ექმნას გლოვისა,
 თამნი მოუქდეს ცრემლთა ღენისა (104,3—4).

ეს შშვენიერი მხატვრული თქმა შინაარსობლივად გაუგებარი იქნება, თუ არ გაიშიფრა ცნება „ღლეუ გლოვისა“. სწორედ ამის გამო წინადადება ბოლო დრომდე ნათლად არ იყო გააზრებული პოემის გამომცემელ-კომენტატორთაგან. „ჩვენი საუნჯის“ მეორე ტომის ლექსიკონში აღენიშნეთ, რომ „ღლეუ გლოვისა“ არის გეოგრაფიული ტერმინი, „ადგილი, სადაც დავით წინასწარმეტყველმა ამოყლიტა ურჩ ფილისტიმელთა ლაშქარი“ (გვ. 560). მეფეთა მეორე წიგნის მე-5 თავში მოთხრობილია შემდეგი ამბავი: როდესაც ფილისტიმელებმა გაიგეს, რომ დავითი ისრაელთა მეფედ აკურთხეს, დიდძალი ჯარათ გამოემართნენ ახალი მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად და განლაგდნენ „ხევსა შინა თითანისასა“. ღეთის მიერ გაშხნევებული დავითი ციხე-სიმაგრეიდან გამოვიდა და ურჩ ფილისტიმელებს შეებრძოლა „ადგილსა მას, რომელსა ეწოდებოდა სასრველი უმაღლესი“. დავითმა მტერი გაანადგურა. ფილისტიმელნი კვლავ შეიკრიბნენ და ისევ იმავე ხევში განლაგდნენ. მაშინ დავითმა ღეთის რჩევით მტერს ზურგიდან შემოუარა და გამაგრდა „ღლეუსა გლოვისასა“, ხოლო, როდესაც მას შემოესმა „ქმაჲ გრგვ-

⁹⁰ შდრ. ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მებრძოლები, I, 1957. გვ. 175—178.

ნების მადნარისაგან გლოვისა“ („шум как-то слышал по верши-
нам тутовых деревьев“), მაშინ დავითი თავს დაესხა ფილისტიმელთ
და ღვიის შეწყვეთით „მოსწყვიდნა უცხოინი თესლნი გაბაონითგან,
ვიღრე ქუეყანამდე ღაზირისა“ (5,17—25). ამის შემდეგ დამიწმენ-
ბული ტაძრებს წინაარსი გასაგები ხდება. შავთელი აზბიძის: ვინც
თქვენი ტახტის (თქვენი მეფეობის) ურჩი (მოწინააღმდეგე, იუოს,
გლოვის დეღუ (тутовую пищу) ექნას საგლოე-სატიროლად (ე. ი.
ისინი ისევე განადგურდნენ თქვენს ზიერ, როგორც დავით წინას-
წარმეტყველისაგან მისი მეგობრის ურჩი ფილისტიმელნი) და ცრენლ-
ცა დენას (ტარაღისა და მოთქმის) დრო დაუდგეთო. პოეტი ამ
ბიბლიური ანალოგიის მარჯვე მოშველიებით ჰქენის მაღალმატ-
ვრულ შედარებას და ავლენს ფეოდალური ცენტრალური სახელ-
წიფოს განმტკიცების იდეას.

ასეთსავე მხატვრულ ანალოგიებს იყენებს „აზმათა“ ავტორი.
ჩვენს მიზანს არ შეადგენს მისი ყველა ბიბლიური შედარება-ანა-
ლოგიის განხილვა. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ორ ნი-
მუშზე, რომლებშიც ვლინდება მწერლის მხატვრული ნიჭი და ფარ-
თო ლიტერატურული განათლება.

როგორც ცნობილია, 1161 წელს გიორგი მეფემ ანისი წაარ-
თვა მაჰმადიან მთავრებს. დაკარგული ქალაქის უკან დასაბრუნებ-
ლად შეკავშირდნენ ხლათის სულტანი შაჰარმენი, დიარბეკის მმარ-
თველი არდოხის ძე და არზრუმის მთავარი სალდუხი და მრავალ-
რიცხოვანი ლაშქრით გამოემართნენ ქართველების წინააღმდეგ სა-
ბრძოლველად. გიორგი მეფემ სასწრაფოდ დარაზმა მეომრები და
„გარდამავალი მთათა შთავიდა შირაკად“. ანისის მიდამოებში გაი-
ზართა ძლიერი ბრძოლა. „ამათ აქათ და მათ მუნით ადინეს ლუა-
ოი სისხლისა“. ქართველებმა სძლიეს მტერს. „თუთ მეფე ალექსან-
დრეს სუითა და სიოაშის მოყმობითა სდევდა მრავლ-გზის გამომ-
ცვლელი რაზმთა, სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებო-
და და ბუნებრაზნი მისნი თანაშემწეობდეს“. თავზარდაცემული მო-
კავშირეები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. „მხედველნი ვი-
თარცა ერნი ისრაელისანი, და მზეცა, ისუნავე-
თებრ მდებრი, ვერღარა მპყრობელი ეტლთა განგე-
ბითა მსრბოლობისათა, შთაეწურა დევნასა შინა
მათსა“ (გვ. 9). შებინდებისას უკან დაბრუნებულ ქართველებს
ბრძოლის ველზე დახვდათ დიდძალი ნადავლი, რომელიც გაქცეულ
მტერს დაეტოვებინა.

სიღუაღუადად ანალოგიური ანაზავი მოახრახილია ბიბლიაში: ისუ ნავემ დაიპყრო გაი და გაბაონი. აზის განო ამხედრდნენ იერუსალიმის, ქვბრონის, იერემოთის, ლაქისა და იდოლამის მეფეები, „შეკრბეს და... [დიდი ლაშქრით] გარე მოადგეს გაბაონსა და ჰბრძოდეს ზას ზედა“. ისუ ნავეს ზანაკი ვალგალაზი იდგა. უფალმა ისუს უთბრა: „ნუ გეშინინ ნათვან, რანეთუ ჯელთა თქუენთა მიმიცემიენ ივინი“. ვანხევეზულმა, ისუმ თავის გარშემო შემოიკრიბა ისრაელნი, მედგრად ძეგბრძოლა მტერს და ღვთის წყალობით სძლია. მოწინააღმდეგეთა ლაშქარი გაიქცა, ისრაელნი უკან დაედევნენ. ისუ ნავეს არ უნდოდა შეთქმული მეფეები ხელიდან გასხლტომოდა, ამიტომ მზეს უბრძანა: „დადევინ, მზეო, სწორ გაბაონსა ზედა“, და ღვთის განგებით „დადგა მზე საშუალ ცასა, არა ვიდოდა სლვად დასავლით სრულიად დღეა ერთსა“. ისუ ნავემ შეიპყრო ხუთივე მეფე, მათმა მეომრებმა კი თავი შეაფარეს „ქალაქებსა შინა ძნელსა“. გამარჯვებულნი ისრაელნი მოიქცნენ „ბანაკსა შინა ისუს მიმართ“ (ისუ ნავე, X).

ეს ორი ამბავი, ისტორიული და ბიბლიური, სიუჟეტურად ერთმანეთს ემთხვევა, რაც საშუალებას აძლევს მწერალს მოხდენილი მხატვრული შედარებით დაამთავროს ქართველ მეომართა გმირული ბრძოლის ისტორია. აქ მხატვრული შედარების სიმშვენიერე იმაში მდგომარეობს, რომ „აზნათა“ ავტორი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ბიბლიურ სასწაულზე—ერთი დღით მზე რომ გაჩერდა შუაგულ ცაზე, მაგრამ ის ამ სასწაულს არ იმეორებს, პირიქით, იზის მოძრაობის ასტროფიზიკურ მოვლენას გონებამახვილურად იყენებს ორიგინალური ჰიპერბოლური მხატვრული სახის შესაქმნელად. მწერალმა კარვად იცის, რომ მზე მოგზაურობა ერთი ეტლიდან მეორე ეტლისაკენ და ამ ნივთიერების დროს ის ავითარებს უდიდეს სისწრაფეს. მზის სრბოლის ანალოგიით მას სურს გაგვაგებინოს, თუ ქართველი გეომრები როდემდის და როგორი სიჩქარით მისდევდნენ გაქცეულ მტერს. იგი ამბობს: მაჰმადიანთა ლაშქარი გარბოდა, გიორგი მეფე ალექსანდრე მაკედონელის ბედითა და სილოზის („შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი) მოყმობით სდევდა ლტოლვილთ. თვით მზემაც კი, რომელიც ისუ ნავეს მეფობის დროს გაბაონთან შუაგულ ცაზე გაჩერდა, ვეღარ შესძლო თავის ეტლთა სრბოლის შეჩერება და „შთაეწურა დევნასა შინა ზათსა“, ე. ი. ლტოლვილებთან ერთად სიბნელეში მიიბალაო.

დადებული მხატვრული სურათია: ქართველ მეომართა შიშით მაჰმადიან მოლაშქრეებთან ერთად მზეც გარბის დასავლისაკენ და თავს აფარენს სიბნელეს! აქ ჰინერბოლურად და პოეტურად ნათქვანია ისტორიული ჭეშმარიტება, რომ გიორგი მეფე ლაშქრით მისდევდა გაქცეულ მაჰმადიანებს მზის ჩასვლამდე.

წეორე მხატვრული შედარება „აზმათა“ ავტორს ამოღებული აქვს დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან. შუქრალი მოგვითხრობს 1178 წლის ამბავს, გიორგიმ რომ თამარი საქართველოს მეფედ აკურთხა, და თხრობის დასასრულს დასძენს: დავითიანთა ჩამონავლობა „მსგავსად ლოდისა მის გამოვიდა მთისა მის, დანიელისაგან ხილულისა, იმატა, იმატოს და მერმეცა იმატა, ვიდრემდის იქმნა მთა დიდ, ლოდ საკიდურ და არა ლოდ შებრკოლებისა, და მენესრა ყოველი ხატი და ყოველი კერპოვნება ოქროსა, და ვეცხლისა, რკინისა, რვალისა და კეცისა, რომელიმე უხილავთა ძალთა ძეგლები და ანდრინიტიები, რომელიმე ხილულთა მბრძოლთა და წინააღმდეგობთა“ (გვ. 21). აქ ბიბლიური სასწაულის გამოკრებასთან გვაქვს საქმე. ეს სასწაული სიზმარში ნახა მეფე ნაბუქოდონოსორმა, ხოლო დანიელ წინასწარმეტყველმა მას მისი სიმბოლური მნიშვნელობა განუმარტა. დანიელმა უთხრა მეფეს: „შენ ნახე სიზმრად კერპი, დიდი და შესახედავად საშინელი, „მდგომარე წინაშე პირსა შენსა“; ჰქონდა მას „თავი ოქროსა წმიდისა, გელნი და მკერდი და მკლავნი მისნი ვეცხლისანი, მუტელი და თემონი რვალისანი და ბარკალნი რკინანი, ფერწნი კერძოთა რომლითამე უკუე რკინისანი და კერძოთა—კეცისანი“. მერმე თავისით „გაპოეკუეთა ლოდი მთისაგან... დაეკუეთა ხატსა ფერწთა ზედა რკინისათა და კეცისათა და დააწულილნა იგინი სრულიად. მაშინ დაწულილდენ ერთბაშად კეცი, რკინა, რვალი, ვეცხლი ოქრო და იქმნეს ვითარცა მტუერი კალოსაგან ზაფხულისასა“, ხოლო „ლოდი დაკუეთებული ხატისა იქმნა მთა დიდ და აღავსო ყოველი ქუეყანა“ (დან. II, 31—35). შემდეგ დანიელმა განუმარტა მეფეს ამ საოცარი სიზმრის საიდუმლოება და წინასწარმეტყველება დაასრულა ამგვარად: კერპის დამსხვრევა მოასწავებს მრავალი სამეფოს მოსპობას. ღმერთი მრავალეროვან ადამიანთა მოდგმიდან გამოარჩევს ღვთის მორჩილ ერს, ძლიერსა და სამართლის-მოქმედს, და მის რჩეულს მისცემს მარადიულ მეფობას, რომელიც არას დროს სხვა რომელიმე ერს არ გადაეცემა. ეს, ღვთის მიერ დადგენილი მეფე და მისი საშუაო გაანადგურებს ღვთის მუარველობის გარეშე არსებულ სამეფოებს ისევე, როგორც განგების ძალით მთიდან დაგორებულია ლოდმა „დააწულილა კეცი, რკინა, რვალი, ვეცხლი, ოქრო“

(იქვე, 44 – 45). ეს პროვიდენციალური თვალსაზრისი უდევს საფუძვლად „აზმათაგან“ დამოწმებულ ციტატას. მწერლის აზრით, დანიელის წინასწარმეტყველება გამართლდა საქართველოში, სადაც ღმერთმა მეფობა მისცა დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლებს (დავითიან-ბაგრატიონებს). თამარ მეფე, დავითიანთა ბრწყინვალე წარმომადგენელი, არის ის შემმუსრველი ლოდი, რომელიც გამოეკვება მთიდან (-დავითიან-ბაგრატიონთა საჩუქო საგვარეულოდან) და დაამსხვრია ყოველი კერპოვნება — ხილული და უხილავი მტრების ძეგლები, რითაც მართლმარწმუნე ქრისტიან ქართველობას ძლევამოსილი სახელმწიფო შეუქმნაო. ამავე აზრს ავითარებს იოანე შავთელი, როდესაც ის თამარს მიმართავს:

მთა შეუძრველი, კლდე შემმუსრველი,
ლოდი ხარ მტერთა დაბრკოლებისა (67,4).

„აზმათა“ ავტორი სახეობრივი შედარებების შესაქმნელად არ კმაყოფილდება მარტო ასტრალური და ბიბლიური ანალოგიებით; ის უფრო მეტად მიმართავს ბერძნულ მითოლოგიას, საისტორიო მწერლობას და ქართული თუ სპარსულ-მაჰმადიანური წარმოშობის სამიჯნურო-სათავგადასავლო და საგმირო-საფალავნო რომანებს. მაგ., მწერალი გიორგი მეფის შესახებ ამბობს: „მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამალლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა — მზე მნათობთა შორის; ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის; აქილევ, სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის; სპანდიარ, თაჰამთა და სიამოშ გოლიათთა შორის; სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის“ (გვ. 3). მხატვრობის თვალსაზრისით „აზმათა“ ავტორი მახვილგონივრული შედარებების ვირტუოზად გვევლინება მაშინ, როდესაც ის თამარის გათხოვებისა და მისი ხელია მცენებელთა ამბებს აღწერს. ისტორიკოსი ამბობს: „დაჯდა ცხებული ღმრთისა თამარ მეფე საყდართა მათ ცაჲდი ამალლებულთა სუენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვითა მით მზეებრ აპოლონიანიითა, სატრფო საჭურეტი დაბნედამდის და გაჭრამდის ყოველთა გამცდელ-მხედთა და შეაყრობამდის წყალ-ჯაგარიითა მით უმსგავსოფთა, სახითა მით ღმრთიექმნულითა“ (გვ. 32). ცოტა ქვემოთ მწერალი მოგვითხრობს: „ჲე-იყარნეს შემპირნენი და ზრახვა ყვეს“, რათა თამარისთვის მოეყვანათ ისეთი ქმარი, როგორც იყვნენ თაჰამთა (როსტომი) თუ-მიანისთვის, ამირან დარეჯანის ძე ხვარაშან ქალისათვის, ხოსრო-

შანშა ბანუისათვის, მზეჭაბუკი ხაზართა მეფის ასულისათვის, იაკობი
 რაქელისათვის, იოსებ შვენიერი ასანეთისათვის, დავით წინასწარ-
 მეტყველი ბერსაბესა და აბისაკისათვის, მხნედ მბრძოლი პელოპი
 იაოლანისათვის, პლუტონ პერსეფონისათვის, რამინ ვისისათვის,
 ფრიდონ შაპრინოზ-არნავაზისათვის (?) და შადბერ აინლიეთი-
 სათვის; „და უნდა საჯამოდ, თუმცა გამოჩენილ იყენეს ვინმე
 ანუ ეწირნი სახენი გმირთანი, ანუ მამანი სახენი მამათმა-
 ვარაა შეუნიერთა და კეთილად მბრძოლთანი, ანუ მსგავსნი გარე-
 შეთანი, სისხლდათხეველნი შეყუარებულათეს, ანუ მიჯნურნი
 ლომნი და მხენი, ნეტებრ გაჭრილნი ამის მზისა და უმეტეს მზისა
 და თუთ ნათ მითხრობილთა მხედ და მნათობლად საგონებელთა
 უბრწყინვალესისა და უნათლესისათეს“, მაგრამ „აღარ დაგებადა
 ღმერთსა სწორი ამისი და არცა მგონიეს, თუ დაბადებად არს“
 (გვ. 35-36). ამ ნაწყვეტში მწერალი დიდ ორატორულ ხელოვნე-
 ბასა და ფართო ლიტერატურულ განათლებას ამჟღავნებს. მასში
 ვლინდება, აგრეთვე, მისი ინტიმური განცდებიც. მწერალი გახე-
 ლებულთა თამარის სახებრწყინვალეობით. როდესაც ის მეფე-ქალის
 პიროვნებას ეხება, მისი ეპიური სიმშვიდე ქრება და მას ენაცვლე-
 ბა გრძნობათა ღელვით ნაკარნახევი ენამზეობა, რომელიც გამთბა-
 რია თამარისადმი სიყვარულით. მწერალი ამბობს: მართალია,
 თამარის შეგქირნენი და მზრახველნი ეძებდნენ მისთვის შესაფერ
 საქმროს, მაგრამ თამარის სწორი ღმერთს არ დაუბადებია და
 „არცა მგონიეს, თუ დაბადებად არსო“. ამიტომ იგი უკმაყოფი-
 ლო განწყობილებით წერს თამარის იძულებითი გათხოვების შესა-
 ხებ. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველმა დიდებულებ-
 მა თამარისაგან „ნებადაურთავი განმზადეს ქორწილი“, რომ თამარ-
 მა, „შიშითა ამის ქმნისათა ყოვლად უწადენელმან ქორწინებისამან,
 იაჯა ესნა ქმროსნობისაგან, ხოლო არა მშუებელმან დედიკალ-
 მან და სპაათა აიძულეს ქმნად“ (გვ. 37). მწერალს თამარის იძულებითი
 ქორწინება მიაჩნია „საბრალო და საცნაურ საქმედ“. ის ილაშქრებს
 იმ კონსერვატიული აზრის წინააღმდეგ, რომელიც ქალის ინტი-
 მურ განცდებს ზღუდავდა და სიყვარულის გრძნობას ადამიანში
 ახშობდა. ამ მხრივაც „ახშათა“ ავტორი ამჟღავნებს იდეურ ნათესა-
 ობას რუსთაველთან, რომელმაც სასტიკად გაილაშქრა იძულებითი
 ქორწინების წინააღმდეგ და უდიდესი ჰიმნი უძღვნა სიყვარულის
 ნიადაგზე აღმოცენებულ ცოლქმრულ ურთიერთობას.

დასასრულ, ერთი საყურადღებო მხატვრული დეტალიც. რუქ-
 ნადინთან ქართველების საბრძოლო ეპიზოდების აღწერისას მწე-
 რალი ამბობს: „ანასდად ეგოდენი სიმრავლე [რუქნადინის ლაშ-
 68

ქართა] განსქდა, იძლია, დაიფანტა და ამას ჰგუანდა: თუალ-გარ-
დუწდომელი მალნარი მიწითურთ. მოგლეჯილ იყო და დაზულეულ...
სადგან თუალი მხალეელობდა, ყოველგან ტყეთა მსგავსი ლაშქარი
იხილვებოდა ლტოლვილი“ (გვ. 97). ამ შედარებაშიც ზოჩანს
მწერლის მაღალი მხატვრული გემოვნება. ირკვევა, რომ „აზმათა“
ავტორი რუქნადინთან ბრძოლების მონაწილე ყოფილა.

* * *

„აზმათა“ ლიტერატურული წყაროები ვერცლად განიხილეს
ი. ჯავახიშვილმა, ქ. კეკელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. ისინი სამა-
რთლიანად შენიშნავენ, რომ ჰირველი ისტორიკოსის სახით ჩვენ
საქმე გვაქვს დიდად განსწავლულ მწერალთან. „აზმანი“—წერს
ი. ჯავახიშვილი,—ერთადერთი ქართული ისტორიული თხზულებაა,
რომელიც რიტორული ხელოვნებითა და მჭევრმეტყველურის ზო-
ქარგულობით არის ნაწერი“⁹¹. ხოლო ქ. კეკელიძის თქმით. ეს ძეგ-
ლი „რიტორული განვითარების უმაღლეს მწვერვალზე დგას“. მწერ-
ლის „სწავლა-განათლებლისა და კულტურულ საღაროში ორი მთა-
ვარი განყოფილებაა: დასავლური,—ელინურ-ბიზანტიურ-ქრის-
ტიანული, და აღმოსავლური,—ირანულ-მაცანდიანური. ეს ორი
ელემენტი ისე ჰარმონიულადაა შერწყმული მის სულიერ საწყარო-
ში, რომ ცნელია თქმა, რომელი უკრო ახლოა მასთან. აღნიშნული
ელემენტები თავს იჩენენ ავტორის როგორც ტერმინოლოგია-გრა-
ზილოგიაში, იაე ლიტერატურულ ციტაციაში და მხატვრულ სა-
ხეებში... ორმაგი ხასიათი ავტორის სწავლა-განათლებლისა და იმ-
დროინდელი ქართული კულტურისა უკრო მეტად იანს იმ პოე-
ტურ შედარებათა და მხატვრული სახეებიდან, რომლითაც თხზუ-
ლება თავიდან ბოლომდე სავსეა და რომელთა მეოხებით ის, სცილ-
დება რა ისტორიული ნაწარმოების ფარგლებს, პოეტური შემო-
ქმედების სფეროში გადადის. შედარებისათვის ავტორი მიმართავს
როგორც ბუნებას, ისე ზღაპრულ-ლიტერატურულსა და ისტორი-
ულ-მითოლოგიურ პერსონაჟებს. მისთვის ერთნაირად ხელმისაწვ-
დომია ბერძულ-ირანული მითოლოგია, ისტორია და ლიტერატუ-
რა“⁹². ავტორი იცნობს და იყენებს ბიბლიურ წიგნებს, აგიოგრა-
ფიულ და ჰიმნოგრაფიულ ძეგლებს, პლუტარხოსის „ვასილო-
ღრაფს“, ალექსანდრე მაკედონელის ისტორიას, გიორგი მონა-

⁹¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 241.

⁹² რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 135—136

ზონის „ხრონოლოგია“, დავით აღმაშენებლის მატეანეს, იოანე კივიჩიელის „ცხსნა-მოთხრობას“, ძველთა და ახალთა-შემატეანეთა თხზულებებს, ჰომეროსის ეპოსს, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“, „ვისრანიანს“, „ამირანდარეჯანიანს“, „ქილილა და დამანას“, ნიზამი განჯელის პოემებს, ძველ ქართულ მებრძობებს და საერთოდ იმ დროისათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთში ცნობილ ლიტერატურულ ძეგლებს. ერთი სიტყვით, „აზმათა“ ავტორი ისეთივე განათლებულ, მხატვრული გემოვნებისა და იმგვარივე ლიტერატურული წყაროებით განსწავლული მწერალია, როგორცაა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი²².

* * *

ყოველ დიდ მწერალს ახასიათებს მხატვრული მეტყველების ორიგინალური სტილი, რომელსაც თავის შემოქმედებაში ის ავლენს სხვადასხვანაირი ენობრივი თავისებურებით. იმისათვის, რომ მიგნებულ იქნეს ანა თუ იმ თხზულებისათვის დამახასიათებელი სტილისტური ნიშნები, აუცილებელია ავტორის მხატვრული ენის საფუძვლიანი შესწავლა. ამ თვალსაზრისით „აზმანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ მეტად საინტერესო ენობრივ მასალას იძლევიან. ფაქტია, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ენა ხელოვნურია, რიტორული, ძნელად გასაგები. ის თავისი ზოგადი ხასიათით არსებითად განსხვავდება „ვეფხისტყაოსნის“ მსუბუქი, ნარწარა მეტყველებიდან. ეს განსხვავება იმდენად დიდია, რომ მათი საერთო ენობრივი თავისებურებების დაჭერა საგრძნობლად ძნელდება. მაგრამ ასეთი ენობრივ-სტილისტური სხვაობა ხელს არ უშლის „აზმათა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთა იგივეობას. სწორად შენიშნავს ა. ბარამიძე: „საზოგადოდ შესაძლებელია ერთი და იმავე ავტორის ერთი ტიპის ნაწარმოები ერთი სტილით იყოს გამართული, მეორე კი მეორეთი. სხვათა შორის, ამის მაგალითს იძლევა სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა“²³. მართლაც, სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ და „სწავლანი“ ისე განსხვავდებიან ენობრივად ერთმანეთისაგან, რომ მკითხველი ვერც კი წარმოიდგენს, რომ „სიბრძნე სიცრუის“ ავტორს ეკუთვნის ავ-

²² შ. რუსთაველის განსწავლულობის შესახებ იხ. აგრეთვე პ. ინგოროყვას ნარკვევი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ (ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემა, 1937, გვ. XXV—XXVII).

²³ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 355—366.

რეთვე მძიმე, ხელოვნურ-რიტორული სტილით დაწერილი „სწავლანი“. ასევე ითქმის იოანე პეტრიწის შესახებაც. რამდენადაც პეტრიწის ფილოსოფიური ენა ძნელად ასათვისებელია, იმდენად მის ზიერვე ბერძნულიდან თარგმნილი ავოგრაფიული თხზულებანი ადვილი გასაგებია. შორს რომ არ წავიდეთ, საქარისია გაეხსენოთ ვაჟა-ფშაველა, რომელიც ლექსებს ფშაურ დიალექტზე წერდა, პროზაულ ნაწარმოებებს კი — გაპართული ლიტერატურული ენით. საერთოდ, ვერ მოგვახოვთ მწერალს, რომ მან სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები ერთნაირი სტილით დაწეროს, რადგანაც მბატკრული მეტყველების ფორმის განმსაზღვრელია თვით თხზულების შინაარსი. რაკი „ისტორიანი და აზმანი“ პანეგირიკული საისტორიო ძეგლია, მისი ავტორი მიზნად ისახავს, გვირგვინოსანთა წესხმა-მოთხრობა თქვას აღზევებული მევერმეტყველებით. ამას ის შეუდარებლადაც ახორციელებს. „ვეჯისტყაოსანი“ კი პოემა-რომანია და მისი სტილიც, ცხადია, განსხვავებული უნდა იყოს „აზმათა“ სტილიდან. არსებობდა ეს ასეც არის, მაგრამ მათ შორის შეინიშნება მხატვრულ-სტილისტური დამთხვევანიც, რომელთაც დასმული პრობლემის განხილვისას ანგარიში უნდა გაეწიოს. აი ესენიც:

1. „აზმათა“ ავტორი ცდილობს შეთხზას ისეთი გრძელი პერიოდული წინადადებანი, რომლებშიც აზრი გადმოცემული იქნება ზმნის მიმღებობითი ფორმლის უხვად გამოყენების საძეალებით. ზმნის ეს ფორმა აძლევს მას შესაძლებლობას თავიდან აიცილოს მრავალსიტყვანობა და გრძელი ამბავი თქვას მოკლედ და აზრიანად. მაგ.: დიმიტრი ნედე, „მარჩეველი ძისა უმეტროსისა მლარწველ და მკიცხველ იქმნა ვითარ ისაკი იობისადმი და ვედრებისა შემასმენელ მან ღმერთან დავითის დღეთა შემციობებითა სრულყო პირველ მაზისა“ (გვ. 3). „აღარ დამხედველი მცირეთა, და ყოვლადვე არღა მომლოდინე ექმნა სახელ-განთქმულთა ჭაბუკთა ლიხთ-ივერთა და ვიეთთამე ამერთაცა მინდობილი წყალობათა შემმლისა... და ხადა ძალსა ძალთასა“ (გვ. 7.); „ადესილ მან საჭურავთა და საჭურჭლეთა მიერ, აღმსხმელ მან კელმწიფეთა და დიდებულთამან, აზნაურთა და მონათმან მარადის, სამ დღე დამყოფელ მან კართა ანისისთად, მაურეებელ მან ქალაქისამან და მას შინა დამყენებელ მან ამირისამან და ლაშქართა ამყრელ მან პირითა მხიარულითა წარმოავლინა მახარობელი წინამე ფილოსოფოსთა და პატრიარქისა“ (გვ. 10); „მაიძულეებელი გული აღძრავს ორდანოსა გონებისასა, რომელი არს ენა მეტყველი და წარმომეტყველი მთხრობლთა ესევეთართა“ (გვ. 59) და ა. შ.

თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ არ ვხვდებით ასეთ პერიოდულ წინადადებებს, მაგრამ ფაქტია, რომ რუსთაველი ხშირად ხმარობს ზმნის მიმდევარების ფორმებს, რათა „გრძელი სიტყვა მოკლედა თქვას“. ეს ფორმები რუსთაველთან უფრო ხშირად გვხვდება სტროფის რითმებში⁵⁵. ასე მაგ.:

ინლოეს შვილთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი:
ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპრობელი,
უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი,
ტანად ლოძი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი.

მამა-ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მეტრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი;
ვერვინ ჰკადრებდი წყენასა, ვერც ცხადი, ვერცა მპარავი;
ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუმწარავი (311—312).

ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული.
ყმასა უთხრა: მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული,
ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური სით მოსრული?
მე სიკვდილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგანცა განწირული (284);

ამას დაყმუნდა ტარიელ დამწვარი, დაალებული;
ასმათ უბრძანა: მას აქეთ შენ ხარ ჩემთანა ხლებული;
რად არა იცა, უწამლო არს ლეხი ესე ლეხული
კვლა ესე ყვა მწუკვს მტირალი, ცრეპლითა დავალებული
(303);

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოკვდე ღარიბად, ვერ დაჯიტიროს მშობელმან,
ველარ შეუსულრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან —
მუნ შექაყნაროს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მომობელმან
(862);

არაბეთს გასცა ბრძენება დიდმან არბთა მფლობელმან:
თანათინ ჩემი ხელმწიფედ დაესვი მე, მისმან მშობელმან;
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
მოლით და ნახეო ყოველმან, შემსხმელმან, შემამაყობელმან!
(43);

⁵⁵ შ. ლლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, 1961, გვ. 274—279.

მოსრნის მხეცი და ნადირნი ისარმან ჩეგან სრეულმან;
 მერმე ვიბურთი მოუდანს მინდორით შემოქცეულმან;
 შევიდი, შექქმნი ნაღვი ნიადაგ ლხინსა ჩეეულმან (333).

აქვე აღსანიშნავია ერთი საყურადღებო აზრობლივი დამ-
 თხვივაც: „აზმათა“ ავტორი ამბობს: „მაიძულბებელი გული აღძრავს
 ორღანოსა გონებისასა“, ე. ი. გული არის მამოძრავებელი ძალა
 ტვინის მოქმედებისა (ანუ გონებისა და ცნობისა). ამასვე ამბობს
 რუსთაველი:

გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან:
 რა გული წავა, ივია წავლენ და მისკე მიდიან“ (548).

2. ორივე თხზულების ავტორები ხმარობენ უცხოური წარ-
 მოშობის სიტყვებს, რომელნიც იმდროის სალიტერატურო ენაში
 ჯერ კიდევ ნაკლებად იყო გავრცელებული. ეს სიტყვებია: ღაზო,
 სკამი, დარანი (სადარნო), არშადანი, ზარი და ზაჰმი (ზეიმი) და
 მისთანები. მაგ.:

„აზმანი“

„ვეფხისტყაოსანი“

წარუღეს დროშაცა, ხალიჯაგან
 ღაზოდ წარმოვხაენილა (გვ. 71—72).

ანა შანა იყო შეწორებული საყუ-
 რები თა სკამები, ბაჟიონად შემ-
 კული ოქროთა“ (გვ. 79)⁶⁵.

რომელიმე იყოტოდა დარანოთა
 და მტენ ჯამაგრდა (გვ. 100)⁶⁶.

მოიღეს არშადანი (გვ. 33, 73,
 103, 109).

იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა
 (გვ. 27). მაშინდელი ზარი და ზეიმი
 ვისგანმეა ენაჲნ გამოთქვა (გვ. 73).

მომორგება საყვარლია მას შექმნო-
 და მისად ღაზოდ (141, 1).

ერთაი ახლავ აეთანდილ, წინაშე უხის
 სკამითა (103, 1).

მას ღავე უქნეს სადარნო უცრუო,
 ანაიტარები (141, 2, 3).

მივეტანოთ არშადანად (1233, 2),
 საარშადნოდ რაცა სჯობდა (462, 2).

ზამი გაადიდეს (336, 4), ზეიმი და
 ზარი იყო (73, 3), მაქვს ზეიმი და
 ხარები (313, 3).

მ. შიუხედავად იმისა, რომ „აზმანი“ დაწერილია რთული
 ენით, მისი ავტორი მაინც ახერხებს ღინამიკური მოქმედება აღ-
 წეროს სხარტად, მკაფიოდ და ნათლად, ის რამდენიმე ფრაზაში

⁶⁵ განოცემაშია „სკამების“ ნაცვლად „სარკმლები“ (ი. ჯავახიშვილი,
 ქართ. ერის ისტორია, II, 1913. გვ. 664—665).

⁶⁶ გამოცემაშია „დარანოთას“ ნაცვლად „დარბაზოანთა“.

ლაკონურობით მოგვეთხრობს დიდ ამბებს და ამას აღწევს მიმ-
ლეობისა და ზნეების საშუალებით. ზნეების სიუხვე ერთ ერთი და-
მახასიათებელი ნიშანია „აზმათა“ ავტორის ენისა. აი საამისო მა-
გალითები:

თაშარი „გვრგვინოსან ყოფად აღვიდეს და ამაღლდეს
და დაჯდეს საყდარსა თუსთა შამათასა“ (გვ. 26). მეფეს „თაყ-
ვანის ცეს, დალოცეს და აღვიდეს სპათა შვდისავე სამეფო-
სათა“ (გვ. 27), თანაშეფიცულნი და თანაშემწენი „შეიყარნეს
და უკუადგეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-
არსლანის გაშუებულობისა“ (გვ. 31), „ესრეთ იწყინა და გაი-
კვრვა და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბ-
რძნისამან“ (გვ. 31), „ამას შინა იხარებდეს, იშუებდეს, ნადი-
რობდეს, მხიარულობდეს“ (გვ. 38), „დაესხნეს, ამო-
სწყუტეს და აიღეს დიდძალი ნატყუენავი და იავარი“ (გვ.
39), „გააქცივნეს და ამოსწყუდნეს და დაჯოცნეს და
მოვიდეს თუსადვე სამეჯოდ წინაშე მეფისა“ (გვ. 40), „ომი
გარდაიქადეს, გააქცივნეს და შემოიქცეს ზუნითა გა-
ზარჯენულნი“ (გვ. 40), „მანვე სუემან და სიშართლემან თაშარისმან
დასცა რისხვა ღმრთისა უხილავთ და, ვითარცა გედეონისგან
გასძიეს, მცირედნი მიეწივნეს და გააქცივნეს, ჩამო-
ყარნეს და დაჯოცნეს, ვინა რუსი ძლით-სავე გარდაიხუ-
ეწა“ (გვ. 61), „პირითა მხიარულითა გარდამოკდეს, თა-
ყუანის-ცეს, დალოცეს და ქება შეასხეს მეფესა და ბუმ-
ბერაზაა მისთა“ (გვ. 72). რუქნადინის მებრძოლნი „განკრთეს და
მოიღეს ჯოგი; აღიჭურნეს და აღსხდეს ჰუნეთა, ბარგი
და კარვები დაუტევეს. რა მოვლეს კარავთავან, წინაგა-
ნეწყვნეს და ეახლნეს წინამბრძოლნი ორთავე და იქმნა
ომი ფიცხელი“ (გვ. 96), ქართველმა ნეომრებმა ქალაქ ზანგანის
ზღუდენი „შემოკურთნეს ყოველგნით და შემოვიდეს,
მოატყუევეს და აღვიდნეს საქონლითა. დადგეს და მცი-
რედ განისუენეს და მიერ აღმჯედრნეს და წარემარ-
თნეს ხორასნად და მწუხრი მივიდეს მცირესა სოფელ-ქალაქსა
მუსულმანსა, რომელი მოაკრეს და განისუენეს სადამე“
(გვ. 107).

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ შენიშნა, რომ
რუსთაველის სტილის სპეციფიკური ნიშანია ზნეების ჭარბად ხმა-
რება. იგი წერდა: შოთას „ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზნე-
ების ხმარებისას წარმოგვიდგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუს-
თაველს, რომ ამ დედა-ძარღვს ჩვენის მეტყველებისას ასეთი განიე-

რი გზა და ავალა მისცა“⁹⁸. „აზმათა“ ავტორის მსგავსად, რუს-თაველი ზნეებს უხვად ხწარობს, მაშინ როდესაც ის მოგვითხრობს ბრძოლის ეპიზოდებს, ან გვაგრძობინებს მოქმედებრივ სისწრაფესა თუ ექსპრესიას. იგი ქართულში არსებული ზნეების მარაგით არ კმაყოფილდება. მისთვის ეს მარაგი უქმარია და ამიტომ აზნაუებს სხვადასხვა სახელს, არა მარტო სახელს, უფროშო სიტყვებსაც და ამით სისწრაფის, მაშასადამე, ეკონომიურობის მაქსიმალურ ეფექტს იძლევა“⁹⁹. დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი:

მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს
(76,2).

მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო (141,1)-
შევჯე, წავე, ბაღას მივე. ვითა სცნობდე ლხინთა ზომით!
ბაღას შევლე. კოშკი დამსვდა, ასმათ ვნახე ძირსა დგომი;
ვნახე, ვსჭვრეტელი ნაირებად, ცრემლი აჩნდა ლაწთა წთომით,
დამიმძინდა, არა ვკითხე, ჩემი სკირდა მიაღვა ნლომით
(518).

მესვეოღეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამატირეს
(645,3).

რა გათენდა წამოვიდა, აკოცა და გაეყარა (659,3).

გული მისი უნახავი ტირის და სულთქვამს, ვაებს, უონს,
არას კაცსა არ იახლებს, ერიდების, ჰკრთების, ქსუობს
(775,3—4).

მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორში სათმე გარდმოფრინდა;
ყნამან ცხენი შეუტივა, გაამაყდა, არ შეშინდა,
შესტყორცნა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,
გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, წყნარად შეჯდა, არ
აქშინდა (980).

⁹⁸ ი. ქავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, IV, 1955, გვ. 89.

⁹⁹ ვ. ბერიძე, შოთას პოეტიკისათვის (ენიზმის მოამბე, III, 1938, გვ. 178). შდრ. იუსტ. აბულაძე, XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ეფთხისტყაოსანი, 1922, გვ. 173—180; ა. ბარამიძე, შ. რუსთაველი, 1958, გვ. 235—236.

გარდა ამისა, ორივე თხზულების ენაში შეიმჩნევა ზმნათა წარმოების ნაკლებად გავრცელებული ფორმებიც. ზემოთ, „აზმათა“ ძირითადი ტექსტისა და „ბოლოსიტყვის“ ენობრივი შედარებისას შევხვებთ სახელის ფუძიდან ნაწარმოებ ზმნათა ფორმებს (იდიდსიტყვა, იზამებრივა, იმათებურეს, იყოვლისფერა) და მათ შორის დავასახელებთ აგრეთვე რუსთველური ზმნა „იქედგოროსა“. ანგვარი წარმოების ზმნები სხვაც მოიძებნება „ვეფხისტყაოსანში“, როგორც მაგ. აგულჩვილეს (173, 2), იცერმკრთალეს (173, 2), იასოცნეს (1161, 3; 1453, 4), გაათანისთანე (307, 3; 1543, 3) და სხვა¹⁰⁰. რუსთველური თქმაა მაგ. „თავი გაითავისწინა“ (171, 2), ე. ი. თავი გაიზარტოვა; მის პარალელს ვპოულობთ „აზმანში“— „გარდაითავისა [თამარ]... ვითარცა სამოთხე“ (გვ. 29, 2), ე. ი. თამარზე თავისთავი გადააქცია სამოთხედ. ასევე საყურადღებო ფორმებია: ვიმთხრებლე, ე. ი. ორზო ამოვითხარე, ან ორმოში თავი ჩავივდე (გვ. 4), „ფასი გლახაკთა აქელსაქმრის“, ანუ ხელსაქმით ნაშოვნ ფასეულობას გლახაკებს ახმარებდა (გვ. 81), აღძველნა—ძეგლი დაუდგა, გამოაქანდაკა, გამოსახა (გვ. 2), ეთანებოდეს—შეუერთდნენ და მისთანები. ერთი სიტყვით, „აზმათა“ ავტორი და რუსთაველი არა მარტო უხვად იყენებენ ზმნებს, არამედ ქართულ სიტყვათა წარმოების შესაბამისად ისინი სახელებსაც აზმნავენ და ამით ფრაზას მოხდენილი ლაკონურობის ელფერს ანიჭებენ. მათთვის ცნობილი იყო სიტყვათა გაზმნავენის ის წესები, რომელნიც ტრადიციულად არსებობდა ძველ ქართულ კლასიკურ მწერლობაში.

4. მხატვრული ნეტყველების გამრავალფეროვნებისა და მუსიკალური ჯღერადობის შიზნით, ინტონაციის გასაძლიერებლად და ამა თუ იმ მოვლენისა ან მოქმედების მიმართ ყურადღების გამახვილებისათვის ორივე ავტორი მიმართავს ე. წ. ვერბალურ ალიტერაციას. პ. ინგოროყვა ამ მხატვრული ხერხის ნიშნულად ასახელებს რუსთაველის ცნობილ ტაეას: „ნხე აღარ მხეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“¹⁰¹. ეს პოეტური თქმე ვერბალური ალიტერაციის საუცხოო ნიმუშია. ანალოგიური ტაეპები „ვეფხისტყაოსანში“ უხვად მოიპოვება. რუსთაველი წერს:

¹⁰⁰ შტრ.: შ. ლლონტი, ვეფხისტყაოსანის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, 1961, გვ. 297—303.

¹⁰¹ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1937, პ. ინგოროყვას შესავალი წერილი, გვ. XVIII; თამარ მეფის იამბიკონი (მნათობი, 1941, № 3, გვ. 140).

მივირის, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს? —
ვინ არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა მოიმღურვებს.
თქმულა: ქრთამი საურავსა ჯოჯობესცა დაიურვებს
(76,2—4).

ამ ტაეებებს მხატვრულ სიძლიერეს ანიჭებს „ურგ“ სტეპანოვა
კომპლექსის ალიტერაცია. აქ გვხვდება ერთი ძირიდან ნაწარმოებში
რამდენიმე სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით. რუსთაველი ანგვარ
ლექსიკურ ერთეულთა გამოყენების შეუდარებელი ოსტატია. „წვეუ-
ლისტყუარსაწინი“ მრავლად დაიძენენა ისეთი ტაეებებიც, რომელსაც,
როგორც კ. ჭიჭინაძე შენიშნავს, „ქარცეცხლივითაა დატრიალე-
ბული“ ერთი ძირიდან მიღებული რამდენიმე სიტყვა:

ნახ: ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოთა სანახავისა (85,4).

გულ: რა გულსა უთხრა გულისა სიტყვანი საგულისონი
(719,1).

ძლ: აპა, მზუო, გეჯები შენ, უმძლესა მძლეთა მძლესა
(957,2).

ხაფ: მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი
(1315,3).

სარ/სრ: ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან სრვიდეს
(73,4).

მოსრნის მხეცი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან
(333,1).

რუსთაველი ვერბალური ალიტერაციით ჭმენის მხატვრულად
ძლიერსა და აზრობლივად გამართულ ტაეებს, რომლის მთელი ფრა-
ზა ჟღერს რაღაც არაჩვეულებრივი პარმონიული ინტონაციით¹⁰².

ეს მხატვრული ხერხი დამახასიათებელია აგრეთვე „აზნათა“
ავტორისათვის. მწერალს ვერბალური ალიტერაციით პროზული
ტექსტი პოეტური თხზულების სიმალღვმედ აჰყავს. დავიმოწმოთ
რამდენიმე მაგალითი:

¹⁰² ამ მხატვრული ხერხის შესახებ ვრცლად იხ.: კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია, 1925, გვ. 33—39; ა. ბარამიძე, შ. რუსთაველი, 1958, გვ. 256—259; შ. ლღონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, 1961, გვ. 120—124, 149—150.

„იურჯის და უირვოდა ურვა-ქმნისათვის ყოველთა შე-
ურვებულთათვის“ (გვ. 52), „იხილეს სიმრავლე სრვილისა
და მოსრვილისა“ (გვ. 9), „სცემდა და იცემებოდა,
სრვიდა და ისროლებოდა“ (იქვე), „კუალად ქემცლევმან
ძლევათამან ჩუელებითავე მოგუაგოს უძლევლობა“ (გვ. 14),
„ყუაელი უკუდავთა ნაწილისა აღმოგუიყუავილა“ (გვ. 57),
„შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“ (გვ. 20),
„სოლომურიცა მოიპოვა ქცევა და ქცევიტა და ქცეულმან
და წარწყმედიტა წარწყმედულმან“ (გვ. 40—41), „შერ-
ყევით შეარყივნა და დასცნა ზღუდნი“ (გვ. 63), „აწვიეს
და მოიწვიეს... დედოფალი რუსუდანი“ (გვ. 64), „მაშინ აღი-
ქურა და შეიქურა მეფე“ (გვ. 69).

აღსანიშნავია ამგვარივე ალიტერაციის ერთი საინტერესო
შემთხვევაც: „უბოძის საბოძვართა სიმრავლე და წარგზავნის
პატივითა ძმებრივითა და მონებდა და მსახურებდა იგი მ-
ნებითა ყმებრივითა“ (გვ. 39). სადაც სიტყვები „ძმებრივითა“
და „ყმებრივითა“ ისე ღღერენ, თითქოს პირველი და მეორე წინა-
დადება ერთმანეთს ერთიმებაო.

„აზმანში“ ვხვდებით ვერბალური ალიტერაციის სხვა ნიმუ-
შებსაც: „მნადირებელი და მომნადირებელი“ (გვ. 6). „აღმხილვე-
ლი და გამომხილველი“ (გვ. 13), „სისრულე დაუსრულებელი“ (გვ.
11), „მთხრებლი მთხრებლისად“ (გვ. 19), „მყუარებელნი და ყუა-
რებულნი“ (გვ. 23), „რიცხვ ურიცხვ არს და ჰამარი უჰამრავი“
(გვ. 29), „წარმოაჩინა და აღმოაჩინა“ (გვ. 27), „მიზეზი უმიზეზო,
სიტყუა უსიტყუე, საქმე უქმი“ (გვ. 12), „ზარი უზარო და ჰამარი
უჰამარო“ (გვ. 70) და სხვა, რომელთაც ბევრი საერთო აქვთ რუ-
სთველურ თქმებთან. ერთი სიტყვით, „აზმათა“ ავტორი და რუს-
თაველი შეუდარებელი ოსტატობით იყენებენ ძველ ქართულ მწერ-
ლობაში შემუშავებულ მხატვრულ ხერხს—ე. წ. ვერბალურ ალი-
ტერაციას.

5. ორივე ძეგლში შეინიშნება პოეტური განმეორებაც, რო-
მელიც საერთოდ რიტორიკული მეტყველების ერთ-ერთი აუცილე-
ბელი ატრიბუტია. მწერალი ამგვარი მხატვრული ხერხით აძლიე-
რებს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობას, ყურადღებას ამძაფრებს
მისთვის სასურველ მოვლენებზე, ამალღებული ფორმით გამოსთ-
ქვამს აზრს, დამაჯერებლობით წარმოგვისახავს გრძნობებსა და გან-
ცდებს. ჯერ კიდევ ნ. მარმა შენიშნა 1910 წელს: „Повторять
одно какое-либо слово при перемене содержания с ним по-

ნაქმის დოვლობა იმდენად უკმაყოფილოა შოტს¹⁰³. საბოლოოდ მან და-
იმოწმა რამოდენიმე ტაეპი „ვეფხისტყაოსნიდან“:

შორით ბნელა, შორით კვლომა, შორით დაგვა, შორით ალვა
(27,3).

შაბაშ სიტევა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი
(759,4).

ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი? ხელი ვითა იქმს
ბრძნობასა (886,1).

გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელი ენითა (917,3).

პოემის პოეტური განმეორებანი სპეციალურად შეისწავლეს
ა. ბარამიძემ და შ. ლლონტმა, რომელთაც უხვი საილუსტრაციო
მასალით ცხადვეს განმეორებათა მხატვრული თავისებურება და
მათი როლი რუსთაველის მეტყველებაში. ორივე მკვლევარი სწორად
აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“, მოიპოვება განმეორებანი
ფრაზისა და მისი ნაწილებისა, ზმნებისა, სახელებისა, ზმნისწინისა,
ზმნისზედისა, კავშირის, შორისდებულისა და მეტყველების სხვა
ნაწილებისა¹⁰⁴. ასე, მაგალითად, განმეორებანი—

ზმნისა:

„ვივეგები, მომეგებოს, ატირდეს და ამბიროს (883,3).

ნაცვალსახელისა:

რა უთქვამს, რა მოუჩმხავს, რა წიგნი მოუწერია (1090,4);

რა სიავე, რა სირეგვენე, რა შლეგობა, რა შმაგობა (765,2).

კავშირისა:

შესტყორცა და ჩამოაგლო, დაეცა და სისხლი სდინდა,

გარდახდა და ფრთენი დასჭრა, წყნარად შეჯდა არ აქმინდა

(980,3—4).

ნაწილაკისა:

არცა დააგლო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,

არცა განლია ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან (89,3—4).

¹⁰³ TP, XII, 1910, გვ. 38.

¹⁰⁴ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 256, 262—263. შდრ.
მისივე, ნარკვევები, III, 1952; შ. ლლონტი, ქართული მწერლების მხატვრუ-
ლი ოსტატობის თავისებურებანი, სოხუმი, 1957, გვ. 3—21; მისივე, ვეფხისტყა-
ოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პირობებმა, 1961, გვ. 165—172.

აბევე პოეტური განმეორებანი ერთ-ერთი საყვარელი მხატვრული ხერხია „აზმათა“ ავტორისა. მაგ.: განმეორებანი—

ზინისა: „იმატა, იმატოს და ზერზეცა იმატა“ (გვ. 21), „იზმნა სუენი, იზმნა ძლევანი, იზმნა ნათელი“ (გვ. 59);

ნაცვალსახელისა: „რანი გლოვანი, რანი ტყუბანი, რანი ვაღბანი, რანი სისხლ-რეულთა ცრემლთა ნაკადნი ათასკეცი, რანი მოთქმანი“ (გვ. 25);

რიცხვითი სახელისა: „ხუთასი შუბი ხუთასსავე კაცსა ხუთასისა ცხენისა და კაცისათვის შეეცა და ხუთასსა ზედა დასობილი იხილეს“ (გვ. 105);

ზინისზედისა: „მიეგებეს წინა ოვსნი და ყვირანი ახალნი, და შემდგომად ამისა—ჰერნი და კახნი, შემდგომად—ქართველნი, და შემდგომად—მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი, შემდგომად—სომხითარნი, შემდგომად—ათხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი რაჭა-თაკურ-მარგუელითურთ და თვთკარვის კარსა—ქელისუფალნი და შინაურნი“ (გვ. 65);

ნაწილაკისა: „ვერ შეიტყუა იგი საშუებელმან ამისმან საწუთრომსამან, არცა მეფობამან გვრგუნისამან და სკაპტრისამან, არცა ქუათა პატიოსანთა უხუად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესოდენ სიმკნემან“ (გვ. 79) და სხვა¹⁰⁵.

კავშირისა: „აირველად წყალობითა მიმფენმან იმიერთა და ანიერთა, ზემოთა და ქუემოთა, დიდებულთა და აზნაურთა, სპასალართა და სპასპეტთა, წინაურთა და გარეშეთა ველ-ყო შეპყრობად“ (გვ. 5), „და კუალად შემქცეველთა იხილეს სიმრავლე სრვილისა და მოსრვილისა, ველმწიფეთა და დიდებულთა, აზნაურთა ღომთა და მონათა, სიმრავლე კარაეთა და სარაფარდათა, სინდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქრომთა ვედილთა და უქედელთა აქლემთა, ცხენთა და ჯორთა და ყოველთა განძთა, სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა აღსარიცხუად გარდარეული“ (გვ. 9), „მოვიდოდეს ქუეითთა სიმწუაეენი და მოკუეთილებანი ისრცანნი, მფეტებანი ვრმალთანი და მკეთქლობანი ჰოროლთანი“ (გვ. 52). „იწყეს რბევად და კოცად, ტყუებად ცხადად და ლამით“ (გვ. 111).

„და“-კავშირის გამეორებით „აზმათა“ ავტორი იძლევა მხატვრული ჩამოთვლის ნიმუშებსაც.

6. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მხატვრული ჩამოთვლა რუსთაველის ერთ-ერთი საყვარელი ხერხთაგანია.

¹⁰⁵ შდრ. „ბოლოსიტყვის“ ტექსტი, აქვე გვ. 48.

ა. ბარამიძე წერს: „აზრობლივ სიმკვეთრესა და მხატვრულ გამოზ-სახველობითს შნოს ბევრად უწყობს ხელს მხატვრული ჩამოთვლის ხერხი, რაც ვეფხისტყაოსნის მთელ ტექსტს აფეროვნებს“¹⁰⁶. ასე მაგალითად:

გლახაკთა მიეც-საჭურჭლე: ოქრო, ვერცხლი და რვალია (158,4);
მოვშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა (179,4);
სრულად ნათლითა აიესო სახლი, შუკა და უბანი (480,3);
მტერთა ექადლა, წყრებოლა, ივინებოლა, ჩიოლა (593,4);
ექებს, უზახის, უყივის დღეებრ ღამეთა მთველი,
სამ დღემდის მოვლო მრავალი ზევი, შამნარი, ტყე, ველი (864,2—3);
მოეხვია, გარდუკოცნა ხელი, ფეხი, პირი, ყელი (1435,2) და სხვა.

ამგვარი მხატვრული ჩამოთვლის ნიმუშებს ვხვდებით „აზნა-თა“ ტექსტშიც:

„იხილა ვეფემან კონსტანტინე საყუარელნი და საკუთარნი ვეზირნი, სპასალარნი, ჯელისუფალნი და თავადნი, დიდებულნი და აზნაურნი, მონანი და მოყმენი“ (გვ. 10), „იშუებდეს დრიად მპო-ენელნი მამა ძისა და ძე მამისა, ძმა ძმისა და თუსი ნათესაეისა, პატ-რონი ყმისა და ყმა პატრონისა“ (გვ. 10), „იქმნა განდგომა, ბრძო-ლანი, კლვანი, სისხლნი და რბევანი“ (გვ. 18), „იქმნა ქორწილი სახე-დაუდებელი და იგავ-მიუწვდომელი: სიმრავლენი სახეობათანი ძღუნობანი და ნიკებანი თუალთა და მარგალიტანი. ოქრო-ქე-დილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ღარიბთა კერულთა და უკერულთანი, მსგეფსამი სიხარული, შუება, ძღუნობანი, გაცემე-ნი“ (გვ. 37), თამარმა „ნახნა მოყმენი მისნი პირითა ბრწყინვალე-თა, თუალითა ტკბილითა და გულითა დაჯერებულითა“ (გვ. 52—53), „იხარებდეს, იშუებდეს, იმოთხვიდეს სამოთხისა ანის საწუთო-ასასა განმათავისუფლებელი ტყუეთანი, ვემწირველ-ნი ეკლესიათანი, მწირველნი მღვდელთანი და მიმცემელნი მონაზონთანი, მოწყალენი გლახაკთანი, ერთბაშად მადიდე-ბელნი ღმრთისანი“ (გვ. 57)¹⁰⁷, „იწყეს ზეიდაღმან ბრძოლად და რბევად და კლვად და ტყუეობად და დაწუად“ (გვ. 111), „მო-ვიდეს მეფეთ-მეფესა და მზეთა-მზესა და დედოფალთ-დედოფალსა წინაშე“ (გვ. 103), „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეზნი და ყო-

¹⁰⁶ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 195წ, გვ. 233—264.

¹⁰⁷ ეს წინადადება არის აგრეთვე ნიმუშობის ფორმათა უხვად ხმარების მშვენიერი ნიმუში.

ველნი თავადნი თავრეყისანი, მოიღეს ოქრო და ვეცხლი, ლარი, ცხენები, ჯორი და აქლემი, თუალი, მარგალიტი, შესამოსელი, საზრდელი კმა-საყოფელი ლაშქართათჳს“ (გვ. 106) და სხვა...

მხატვრული ჩამოთვლით „აზმათა“ ავტორი ცხადლივ და შინაარსიანად აღწერს ამა თუ იმ საბრძოლო მოქმედების დეტალს, თამარისა და დავითის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ცალკეულ მხარეებს და ნათლად ავლენს ადამიანთა გრძნობებსა და განცდებს. პროზა მწერალს მეტ გასაქანს აძლევს, რათა მხატვრული ჩამოთვლით მან თხრობა გააცხოველოს და წასაკითხად საინტერესო გახადოს.

7. რუსთაველი ამა თუ იმ სიტუაციისა თუ განცდის ზედმიწევნით წარმოსახვისათვის, ცდილობს იხმაროს ისეთი გამოთქმები, რომელნიც შეესიტყვებიან პერსონაჟთა სულიერ მდგომარეობას. თუ პოემის რომელიმე გმირი რალაც დიდი უბედურებისა და ძლიერი მწუხარების გამო სულიერად იტანჯება, ტირის ან მოსთქვამს, მაშინ რუსთაველი თავის გმირს წარმოგვიდგენს როგორც თვალთაგან მოწინდენი სისხლნარევი ცრემლით მოტირალს. პოეტი ამბობს: ტარიელს, რომელიც „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ (84,1),

უცხოლ რადმე ამოსკვნოდა გული ცეცხლთა ნადებარი,

ცრემლსა სისხლიერეოდა, გასდის, ვითა ნაგუბარი

(88,3—4).

ასევე ავთანდილი, თინათინისაგან გაყრილი, მიემართებოდა რა ტარიელის დასახმარებლად, გზად, სადაც „წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა, მას თანა-ჰრთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“ (840,3—4). როდესაც ფრიდონი და ავთანდილი ზივიდნენ ზღვის პირას და ფრიდონს გაახსენდა ამბავი ტყვექმნილი ნესტანისა, მაშინ ორივე მეგობარი, რუსთაველის თქმით, „მუნ დაადენდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“ (1022,3). გაპარვის წინ როსტევეანისადმი მიმართულ ანდერძში ავთანდილი მეფეს ევედრება: მე თუ დავიღუპო, შემიწყალე და შემინდე, ოღონდ გაბარებ, ჩემს რჩეულ მონას შერმაღინს და

ნუგეშინის-ეც წყალობით, ჩემგან წყალობა-ჩვეულსა,

ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა, სისხლითა ფრქვეულსა

(806,3—4).

რასაკვირველია, ტირილის დროს ადამიანს თვალთავან მხოლოდ ცრემლი მოსდის, მაგრამ, რაკი პოეტი გმირებს სისხლნარევი ცრემლს ან სისხლსა და ცრემლს ერთად აფრქვევინებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ამ შემთხვევაში გულისხმობს ტირილის ისეთ ჩვევას, როდესაც ადამიანი ფრჩხილებით სახეს იხოკს და თვალთავან მონადენ ცრემლებს ურთავს დაწვებიდან გადმოფრქვეულ სისხლს. მართლაც, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ტირილის დროს ხშირად სახეს იხოკენ და ამის შედეგად მათ სახეზე სისხლის ღვარი ჩამოსდით. მაგ. „ასმათს სდის ღვარი სისხლისა, დაწვეთავან ნახოკარისა“ (498,3), ან მის „მკერდსა წითლად უღებვიდა სისხლი დაწვეთა ნაწვეთალი“ (570,4); ასევე დაბნედილი ტარიელის გამო შეწუხებული ავთანდილი „პირსა იხოკს, დაწვეთა სისხლი ჩასდიოდა მისსა მკერეტსა“ (1343,1), ტარიელიც მოუცავს „სივდათა და სისხლისა დაწვეთა დენასა“ (310,4), დატმანთან შეფარებული ნესტანიც ნიადავ ცრემლსა ღვრის და „მჩქევრად სისხლის ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან“ (1147,3). ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები სისხლნარევი ცრემლს აფრქვევენ მძიმე სულიერი განცდის შედეგად მაშინ, როდესაც სატროფო სანუდამოდ დაკარგული ჰგონიან, როდესაც მიჯნურნი (მეგობარნი) ერთმანეთს დიდი ხნით შორდებიან, ან მაშინ, როდესაც მათ რაინე მოულოდნელი უბედურება დაატყდებათ თავს, ან ვინე მოუკვდებათ.

სხედასხვა უბედურებით გამოწვეული გლოვანი, ცყებანი და ვაებანი აღწერილია „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტშიც და, რაც საყურადღებოა, აქაც პერსონაჟები „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მსგავსად სისხლნარევი ცრემლს აფრქვევენ. „აზმათა“ ავტორის ცნობით, ბურღუხან დედოფლის გარდაცვალებისას გიორგი მეფემ თმები და წვერი დაიგლიჯა ოქროთმოსანი აბესალომის მსგავსად, და „ცრემლთა ნაკად დენითა ათასეულთა და ბევრეულთა მცემელმან მკერდსა, მკულელ ულონო-ქმნილმან აღიკუეცა თმანიცა თავისა მისისანი... და შემუსრვილითა გულითა აღისწრაფა შეყრად“ თამარისსა, „რომელსა ნათელი ცისკროვანება ჰაერისა მისისა სიმრუმედ გარდაქცეოდა, და ნაკადნი ცრემლთანი ოთხთავე [ე. ი. მამა-პვილის] თუალთავან, მოხუევასა შინა ურთიერთას, მსგავსად სამოთხისა მომცენარეობდეს სახედ გეონისა“ (გვ. 2). ასევე „აზმათა“ მიხედვით, გიორგი მეფის გარდაცვალება იყო რაღაც დიდი „საშინელება შთამოსაცხერი მანანათა და ვარსკულაეთა“ და, როდესაც ეს თავზარდამცემი ამბავი შეიტყო თამარმა, „უმრუმო ნათელი შეიზლუდა ბნელითა. თმათა დამფხურელსა თამარსა უღწრობდა წყარო სისხლისა

წყაროსა ცრემლთასა“ (გვ. 24)¹⁰⁸. შემდეგ ის და მისი მამი-
და, დედოფალი რუსუდან, „მომხუეველნი ურთიერთისანი
და მოლტობილნი სისხლ-რეულთა ცრემლითა შევი-
დეს ტაძარსა სამეფოსა“ (იქვე). იქ მყოფთაგან ყველანი დას-
ტროროდნენ უდროოდ გარდაცვლილ მეფეს და თვალთაგან მოსდიო-
დათ „სისხლ-რეულთა ცრემლთა ნაქადნი ათასკეცნი“
(გვ. 25)¹⁰⁹.

გიორგი-თამარისა და თამარ-რუსუდანის გლოვის ეპიზოდები
უნებურად გვაგონებენ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ეპიზოდს, სადაც
ძლიერი ექსპრესიულობითაა აღწერილი ტარიელისა და ასმათის ტი-
რილი. როდესაც ტარიელი ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ გამოქვა-
ბულში დაბრუნდა დაღრეჯილი და ყოველგვარ იმედდაკარგული,
ასმათი მის დანახვისთანავე „ატირდა, მალლად ცრემლითა, ზღვა-
საცა შესართავითა“ (221,3). ტარიელი მივიდა ქალთან და სასო-
წარკვეთილებით შესჩივლა: „დაო ასმათ, ხილნი ზღვასა ჩაგვიცივი-
დეს“, ე. ი. ნესტანი სამუდამოდ დაკარგეთ და ვეღარ ვიპოვითო.

ესე თქვა და მყერდა ხელნი იკრნა, ცრემლი გარდმოსწვიმდეს.

ქალი შეზნდა, მოეხეცია, ერთმანერთსა სისხლი სწვიმდეს.

იგი ტვერი გაუზმირა დანაგლეჯსა მათსა თმასა,

ერთმანერთსა ეხვეოდეს: ყმა ქალსა და ქალი ყმასა;

იზახიან, მოსთქაღიან, მოსკემდიან კლდენი ხმასა“ (222—223).

გიორგი-თამარის, თამარ რუსუდანისა და ასმათ-ტარიელის
ვაება და მოთქმა სამივე შემთხვევაში გამოწვეულია მათთვის საყ-
ვარელი ადამიანის დაკარგვის (ან გარდაცვალების) გამო. ამიტო-
მაც გმირები გულამაჰკენით ტირიან, ერთმანეთს ეხვევიან და სი-
სხლნარევე ცრემლებს აფრქვევენ (ერთმანეთს სისხლს აწვიმებენ).
აქ ჰიპერბოლურ-მეტაფორული ხერხით ასახულია მოთქმა-ტირი-
ლის ქართული ადათი, რომელიც ცნობილია საერთოდ ქართული
სამგლოვიარო რიტუალების აღწერილობებიდან¹¹⁰.

¹⁰⁸ შდრ. „ვეფხისტყაოსნიდან“ 1336,3-ე ტაეპი: „ალეფასა წყარო ცრემ-
ლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები“.

¹⁰⁹ შდრ. „ვეფხისტყაოსნიდან“ 272,1-ე ტაეპი: „ქალაა ცრემლი გარდმოს-
ცივდა ას-ნაკეცი, ბევრის ბერად“. ჩვენ ვერ გავიხიარებთ შ. ლლონტის
მოსახრებას, თითქო „ახმათა“ ავტორი „ეთეჯიკური გაახრების გარეშე გად-
მოგვესა [თამარისა და რუსუდანის ტირილი] ფაქტს“ (დასახ. წიგნი, გვ. 107).
„ცრემლთა ნაკადი ათას-კეცნი“ და „ცრემლი ას-ნაკეცი“ უმშვენიერესი მხატვ-
რული თქმებია, რომელნიც გმირების სულიერი მდგომარეობის სიმწვავეს გა-
ხაზავენ.

¹¹⁰ სისხლ-რეული ცრემლის შესახებ იხ. აგრეთვე შ. ლლონტის დასახ.
წიგნში (გვ. 96—100).

ასეთია ძირითადად ის ენობრივ-სტილისტური დამთხვევანი, რომლებიც მოეპოვებათ „აზმათა“ ტექსტსა და „ვეფხისტყაოსანს“.

შეცდომა იქნებოდა, თუ ამ ენობრივ-სტილისტურ დამთხვევათაგან თითოეულს ცალკე აღებულს ორივე თხზულებისათვის სპეციფიკურ მოვლენად ჩავთვლიდით. მაგ., დინამიკური მოქმედების აღწერისას ზმნების ჭარბად გამოყენება შეიმჩნევა აგრეთვე „ამირან-დარეჯანიანში“; მხატვრული გამეორებისა და მხატვრული ჩამოთვლის ნიმუშებს ვხვდებით „ვისრამიანშიც“; სისხლ-რეულ ცრემლებს აფრქვევენ ვისიცა და რამინიც; ვერბალური ალიტერაცია დამახასიათებელია ჰიმნოგრაფიული ძეგლებისთვისაც; შედარებებისათვის ასტრო-ფიზიკურ მოვლენებს იყენებენ ძველი ქართველი მეხოტბენიც და, დასასრულ, ბიბლიურ ანალოგიებს ხშირად მიმართავენ აგიოგრაფები, ისტორიკოსები და საერთოდ ძველი ქართველი მთარგმნელები და განონეტყველნი, მაგრამ ყველა ეს, ერთ მთლიანობაში აღებული და მხატვრულად გააზრებული, სპეციფიკური ნიშან-თვისებაა მხოლოდ „აზმათა“ ტექსტისა და „ვეფხისტყაოსნისათვის“. ძველი ქართული მწერლობიდან ვერ დავასახელებთ სხვა რომელიმე მხატვრულ თუ საისტორიო თხზულებას, რომელსაც მოეპოვებოდეს ყველა ის ენობრივ-სტილისტური და მხატვრული იდეური დამთხვევა, რომელნიც შეინიშნებიან „აზმათა“ ტექსტსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. ეს გარემოება კი უწყობს ხელს დასმული პრობლემის დადებითად გადაწყვეტას. თავისთავად „აზმათა“ ტექსტისა და „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ-სტილისტური და მხატვრულ-იდეური შეხვედრა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტია, რომელიც ცალკე აღებული არ კმარა „აზმათა“ საძიებელი ავტორის ვინაობის დასადგენად, მაგრამ, რაკი არსებობს ანტონ კათალიკოსის ცნობა რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ და ამ ცნობის წყაროა. ზემოთ განხილული „ბოლოსიტყვა“, რომელიც, ჩვენი აზრით, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის დასასრულს წარმოადგენს, მაშინ აღნიშნული ენობრივ-სტილისტური და მხატვრული იდეური პარალელები „აზმათა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთა იგივეობის სასარგებლოდ მეტყველებენ.

ამრიგად, ანტონის ბიბლიოგრაფიული ცნობის, თამარის მატრიანეთა ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზისა და „აზმათა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ-სტილისტური და მხატვრულ-იდეური პარალელების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „აზმათა“ ავტორი (ე. ი. თამარის პირველი ისტორიკოსი) არის შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევლი,

თამარის სამეფო კარის დიდებული და, როგორც იერუსალიმური პორტრეტის შესწავლამ გამოავლინა, დიდი სახელმწიფოებრივი თანამდებობის მქონე პიროვნება.

„ისტორიანი და აზმანი“ იმდენად მაღალმხატვრული, შინაარსიანი და მართალი ამბების შემცველი ისტორიულ-პანეგირიკული ძეგლია, რომ იგი ყოველმხრივ შეეფერება რუსთაველის სამწერლო საქმიანობას. მასში რუსთველური ჰაეროვნება გამოსჭვირის, რუსთველური ძარღვიანი სიტყვა ღღერს და რუსთველური ნიჭი და განათლება იგრძნობა.

ამიერიდან რუსთველური პრობლემების კვლევა-ძიებისას „აზმათა“ ტექსტს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე მას აქამდე ექცეოდა, რადგანაც „აზმანი“ თამარის ცხოვრების პირუთენელი პატიანია და მისი შინაარსობლივი მხარე დიდ დახმარებას გაგვიწევს შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და საწერლო მოღვაწეობის ამსახველი ფაქტების დადგენაში.

ცნობილია, რომ „აზმათა“ ავტორი რუსთაველს არ იხსენიებს, მაშინ როდესაც მას მოხსენიებული ჰყავს იოანე შავთელი, სარგის თმოგველი და საერთოდ თამარისდროინდელი გამოჩენილი საეკლესიო და საერო მოღვაწენი. ზოგიერთი რუსთველოლოგი ამ გარემოებას ხსნის იმით, თითქოს პოეტი სამეფო კარიდან განდევნილი იყო და შემატანე მას, როგორც დევნილ პიროვნებას, არ იგონებსო. ჩვენი აზრით, ამგვარი ახსნა არასწორი იქნებოდა. რუსთაველის ექსორიობის შესახებ ძველი წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება, ეს მხოლოდ მკვლევართა ვარაუდია, აღმოცენებული „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სტროფის უმართებულო ინტერპრეტაციის შედეგად. პირიქით, პოემის პროლოგისა და „აღორძინების ხანის“ ტრადიციული ცნობების თანახმად რუსთაველი თამარის თანამოღვაწედ მოჩანს და, თუ მას „აზმათა“ ავტორი არ იხსენიებს, მხოლოდ იმიტომ, რომ „აზმანი“ დაწერილი უნდა იყოს თვით რუსთაველის მიერ. მწერალი, როგორც თვითმხილველი და თანადაძმდური, თავისთავის მოუხსენებლად მოგვითხრობს თამარის ცხოვრება-მოღვაწეობას და მისგან ნახულ თუ გაგონილ ისტორიულ ამბებს, უმთავრესად კი ქართველთა მიერ თურქ-სპარს დამპყრობელთა წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო ლაშქრობებს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
1. ბიბლიოგრაფიული ცნობები რუსთაველის არმოღწეული თხზულებების შესახებ	5
2. რუსთაველის საისტორიო თხზულების „ბოლოსიტყვა“	19
3. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ავტორის ვინაობა, შედგენილობა, დაწერის თარიღი)	26
4. „ისტორიათა და აზმათა“ შედგენილობა	40
5. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ვინაობა	54
6. „აზმათა“ მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი „ვეფ-ხისტყაოსანთან“ მიმართებით	59